ეროვნული ბიბლიოთეკა
„43"
23 SEP 1924
№ 104

ᲓᲠᲝᲨᲐ

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲐ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲠᲔᲓᲐᲜᲖᲔ.

№ 8

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი.

ი. ჭალადიდელი—ლენინი და ისტორია.
ეონა ვაკელი—ოდა ლენინს.
„ „ რუსი მწერლები ლენინზე.
„ „ რუსი პოეტები ლენინზე. ლექსები: ვალერი ბრიუსოვის, დ. სამოილოვის, ნ. პოლეტაევის, ა. ირკუტოვის, კ. ზახაროვის და ვ. ილინას.
ი. გედევანიშვილი—რა იყო და რა მოხდა.
ს. შანშიაშვილი—სალეწი მანქანა.
ვ. ბარნოვი—ნაძვნარის დევი.
გ. ზინოვიევი—ექვსი დღე, რომელსაც ვერ დაივიწყებს
„ „ ჟორეს შენევიერ. რუსეთი.
ჟორეს შენევიერ—ვედრება.
კ. ეწრელი—დამწვარი ღამე.
ვ. ბ.—მხატვარი რ. გველესიანი.
შ. რადიანი—კ. მენიე.
შ. რ—ი—მაზრელი.
ანდრე—ჩვენი კულტურული ფრონტის გარშემო.
ვან-დერ-ბან—ტასოჭაბაშიძის „იუბილე.
ქრონიკა, ბიბლიოგრაფია, ილუსტრაციები და კარიკატურები.

1924 წ-ლ

დაიბეჭდა და გამოვიდა

კედლის კალენდარი და მოძრავი კალენდარი

გამოცემა სახელმწიფო გამომცემლოგისა

შედგენილი პ. ი. ზუმბაძისა.

კალენდარში შეტანილია: სამეცნიერო საეკონომიო სამეურნეო სამხატვრო და სალიტერატურო მასალეგი

კალენდარი სუფთად და მხატვრულადაა გამოცემული.

ფასი ერთ მან. ოქრ.

მოკითხეთ ყველა კიოსკსა და წიგნის მაღაზიაში

საწყოგი სახელმწიფო გამომცემლოგა ლორის მელიქ. ქ. № 5.

F 221
1924

„ЧЭМ
ВЕРХОВНОГО
СОВЕТА РСФСР
23 ФЕВ 1924
Вход. № 104

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

ორკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი.

განცხადების ტარიფი:

ერთი გვერდი . .	100 მ. ოქრ.
ნახევარი გვერდი .	50 მ. „
მეოთხედი გვერდი .	35 მ. „

ხელის მოწერა:

სავლი თვით . . .	1 მან. 20 კ. ოქრ.
ერთი თვით . . .	40 კ. „
ცალკე ნომერი ყველგან	20 კ. „

რედაქციის და კონტორის მისამართი:

რუსთაველის პრ. № 22.

მიიღება ყოველ მოწურა დიღის 9—3 საათამდე.

№ 8 პარასკევი, 15 თებერვალი 1924 წ. № 8

ლენინი და ისტორია.

სეისმოგრაფებს რომ წინასწარმეტყველება შეძლებოდათ, ლენინის დაბადების დღეს უთუოდ აღნიშნავდნენ მოსალოდნელ მსოფლიო მიწის ძვრას.

სად იყვნენ მოგვები, იროდი გაეფრთხილებინათ: მილიონ ბავშვს მაინც გაწყვეტდნენ ლენინის შიშით.

არც ერთი არ მოხდა, რადგან ძველი ქვეყანა განწირული იყო.

და სწორედ მაშინ, როცა ბნელეთი სისხლით მთვრალი, ტყვიის ზუზუნით ზეიმობდა,—მოვიდა ოქტომბრის ამირანი და თან ცეცხლი მოიტანა.

ცეცხლი ჩაუქრობელი.

გრიგალის ფრთებზე დაქანდა ის და არ აქვს საზღვარი მის მძლეობას:

დაიწვა რუსეთი მართლმადიდებელი...

დაიწვა კრუპპის გერმანეთი...

ინგლის-საფრანგეთი ამაოდ აძლიერებენ ცეცხლის მქრობელ რაზმებს...

ამაოა ყოველი ცდა.

ღმერთებმა ხელი აიღეს ქვეყანაზე.

მეფეებმა დაჰკარგეს სამეფო და

მონები მოდიან მეფის გვირგვინებით.

იყო სინამდვილე—ახლა ოცნებაა.

იყო ოცნება—ახლა სინამდვილეა.

—

ლენინი..

ყველა ქოხებში იცოცხლებს ეს სახელი,

ყოველ მაღაროში...

გადაშენდება ქრისტიანობა.

ჩინელი ბუდდას დაივიწყებს,

არაბი—მაჰმადს, მაგრამ

უკვდავი იქნება სახელი ლენინ, რომელმაც გააღმერთა მილიონი მონა.

—

გაივლის დრო..

თავისუფალ ხალხის ლეგენდებში ახალი ილიადით მოვა ჰომეროსი და დასწერს უკვდავ პოემას,

მოვა მუსიკის ბეთჰოვენი და შეჰქმნის ახალ გმირულ სიმფონიას ლენინის უკვდავებაზე.

ყოველი დღე გაადიდებს ლენინის სახელს, რომლითაც იწყება ხალხის ნამდვილი ისტორია.

ი. ჭალადიდელი.

ეროვ. ბიბლიოთ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდა ლენინს.

ცას შუბლ მაღალი ნამქერი მოსკდა
საზარელი ამბავი მოგვიტანა რადიომ:
„ლენინი აღარ გვყავს, ლენინი მოკვდა“...
დამწუხრებულა: პავლე, გიორგი, ირადიონ...
საზარელი ამბავი... ყველა მოწყენილი...
შავ მიწამ მიიღო ცხედარ ლენინის...
ო ლენინ, ლენინ!
შენი ხატება,
მარად აზრ მძიმე და გეგმიანი,
შენი ღიმილი და ღაღადება
ჩაგრულ ხალხს როდი დაუკვიანე!
და მოდი, როგორც მძლავრი მიწის ძვრა
დახეთქე მიწა და შეარყიე,
სად უწინ შრომის ვმირებს ჩეხავდნენ
იქ თვით მტარვალი დაამარხვე.
ნათელს აფრქვევენ შორი მნათობნი
დიდი მოძღვარი მათთან ენთება,
ხან გადიხრება აზიის ველზე,—
ყრუ სივრცეების ორნამენტებათ.
და ააჯანყებს ერებს და ხალხებს,
ჩინეთს, ინდოეთს და შავ არაბეთს,
ჩვენთან მტრულად მათ ხელს არვინ ახლებს,
დავაღებთ ყველგან მათთვის დარაბებს.
ვეტყვით: აქ მოდით, შრომისა შვილნო,
ლენინის ოჯახს შემოეხიზნეთ,
რომ ერთ ძალ-ღონით ჩვენ ვასრულებდეთ.
ჩვენ დიდი მოძღვრის დასახულ მიზნებს!
ლ ე ნ ი ნ!
შენ ყავდი ამ ცოდვილ მიწას
წარბ შეუხრელი ფატუმი, ჯადო;
სისხლი სდიოდა კაცობრიობას
ისევ ვით ფიცრულს ლანქრის ოქვათო...
იყავი ნება და ურაგანი,
დაბურღე მკერდი სისხლიან მიწის;
და დღეს ეს სივრცე თვალ უწვდენელი
რევოლუციის ქარიშხლით იწვის.
იწვის და იწვის ეს არე-მარე,
იწვის ევროპა დიდი აზია,
და ამერიკა თავის „ტროკებით“
საქმეს ჩემულობს იაფფასიანს.
მაგრამ მოძღვარო, შენი სახელი
დიდია მათზე მაინც ათასჯერ,
შენ, საკუთარი ფოლადის ხელით
ავ სულთქმის ძარღვი დანით გადასჭერ.
ლ ე ნ ი ნ!
ჩვენ ვგლოვობთ, მაგრამ არ ვსტირით,
შენი დაკარგვა თუმც არის მძიმე,
შენ დაგიტირებს ქარხნის საყვირი
და მზე მომავლის პირ-მოცამცემე!
შენი სიცოცხლე დღეს გვჭიროდა
სხვა დროზე უფრო,
მაგრამ განგებამ შენს კლდე სხეულს
სუნთქვა ჩაუქრო...
და აღარ გვყავხარ ენინოსი
და ნიაგარა,
მაგრამ არ ვსტირით ამ დაკარგვით
არა და არა.
აქ საქართველო ვრძნობიერი
და უენებელი,
მრავალი ურვა მან ოდესმე
თუ დაიამა,
როცა წარსდგება თავისუფალ
ერთა კრებულში

შენ მოგიგონებს, როგორც სპეტაკ,
უმწიკვლო მამას.
ლ ე ნ ი ნ!
შენ მოდი იმ დროს, როდესაც
უსამართლობის იდგა ტალახი,
მაგრამ ფოლადის ნებავ, გენიავ,
ეს სიძნელენი შენ გადალახე!..
უარყვე „მორალი“,
რომლის წყალობით ზრდიდენ „შავ მონებს“,
თვითონ ისინი მიუსიე უხეშ კანონებს,—
და დაუძახე ზბრბოს მღელვარეს და აჯანყებულს,
უნდა დაინგრეს კართაგენი მილიონთათვის!
და ბრბოც წავიდა, როგორც მსხვერპლზე
წამოვა დათვი.
ლ ე ნ ი ნ!
მამაო და პირველო მხსნელო მესია,
შენ აქ გაიგე თუ რამდენი დაუკვნესია
ყველა ტვირთ-მძიმეს, ქედ მოხრილს
და მკერდ ჩაჟანგებულს...
მოდი აანთე სიხარულით სოფელ-ქალაქი,
და მუცელ-მსხვილი, კმაყოფილი
მოქალაქენი
რევოლუციის მძაფრ კანონის
ჯაჭვით ალაგმე!
ლ ე ნ ი ნ!
ფატუმო და უკვდავ სახელო კაცის,
მეორედ მოსვლა შენს ნებაში განსახიერდა;
გვახსოვს ჰარიბალდ, და მრავალი
სახე სიმკაცრის:
ხალხის გულისთვის, რომ განწირულა...
მაგრამ შენ იყავ ამ ქვეყნისთვის
რკინის რადუსი,
და აღიმართე სამსხვერპლოზე
ისე გმირულად,
როგორც კოცონზე
აღიმართა იოან გუსი!..
გუსი ხომ დასწვეს სიმართლისთვის
და ჩაშავეს,
მაგრამ შენ ისე გაფოლადდი და გასალჯლდევდი,
რომ ახალ ქვეყნის მტრები უხვად გააცამტვერე,
და ხსნის იმედი გაუღვივე დაჩაგრულ ერებს!
ლ ე ნ ი ნ!
აღარ ხარ...
ხორცი უკვე, წაგვართვა ჟამმა,
მაგრამ ეს სული, ლენინიზმი
ჩვენთან იქნება ..
კვლავ შეგვასწავლი აღთქმულ ქვეყნის
სავალ ბილიკებს,
სანამ სიცოცხლე და ცხოვრება
არ ჩაინთქმება —
და მიწის ზურგზე ნიავ-ქარი
თუ იციგლიგების.
კაცობრიობას არასდროს არ დაავიწყდება
დიდი ქურუმი,
გენიოსი
და რკინის ნება,
გაივლის ლხინს თუ ჯირ-ვარამში
იგი იქნება
და გაიხსენებს დიდ ბუმბერაზს,
ახალ მესიას,
აჯანყებისთვის დედა-მიწის ზურგზე
მოვლენილს,
ამხანაგებო, მას სახელად
ვეძახით ლენინს!..

იონა ვაკელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსი მწერლები ლენინზე.

ჟურნალი „დროშის“ რედაქციამ მიიღო მოსკოვიდან ერთდღიური გაზეთი „ლენინი“, რომლის გამოცემაში მიუღიათ მონაწილეობა გაერთიანებულ ლიტერატურულ ორგანიზაციებს და ჯგუფებს-პროლეტარულ პოეტებიდან („კუზნიცა“) ფუტურისტებამდე („ლეფი“).

რასაკვირველია ამ წერილებში და ლექსებში არ არის სრული და ღირსეული დაფასება ლენინ.ს, მაგრამ დაბეჭდილი მასალა უთუოდ საინტერესოა. თითქმის ყოველი მწერალი გამოსთქვამს აღტაცებას იმის გამო, რომ იყო თანამედროვე ლენინის, რომ ნახა იგი და გაიგონა მისი შესანიშნავი სიტყვა.

პოეტი იეან ფილიპჩენკო სწერს თავის წერილში რომელიც შედგენს გაზეთის მოწინავეს: „აღარ არის გენიალური ხუროთმოძღვარი, აღარ არის ერთად ერთი უდიდესი ხელოვანი საქმის. „რუსული ლიტერატურა აღტაცებულია შენი სახით“

„შენ ხარ დროშა მეოცე საუკუნის“.

პროფესორი, ლიტერატურის ისტორიკოსი საკულინი სწერს:

„ლენინი იყო შემოქმედების გენიოსი და ხელოვანი რევოლიუციის. პუშკინმა ადიდა პეტრე დიდის გიგანტური სახე. საჭიროა ახალი პუშკინი, რომ მწერლობა გაუტოლდეს ლენინს. ერთხელ ილიჩმა გამოსთქვა სურვილი, რომ ფილოლოგებს შეედგინათ თანამედროვე ლიტერატურული ენის ლექსიკონი. შეუდგენ ამ იდეის განხორციელებას და მთავრობის თავმჯდომარე ინტერესით აღეგებდა თვალს ამ მუშაობას. თავისუფალ დროს ეღადმირ ილიჩი კითხულობდა ზოლას, უყვარდა ტურგენეევი და ავრეთვე ჩეხოვი.

მწერალი კასატკინი ასე ათავებს თავის წერილს: „ამ დარბაზში“—და აი იგი ასვენია ამ დარბაზში, კოლონებს შორის, სიკვდილის უკანასკნელ ტრიბუნაზე და თითქოს კიდევ ბრძანებლობს: „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით“ (უკანასკნელი ბუხარინისაა)

პ. კოგანი ამბობს: კაცობრიობა გაჰყოფს თავის ისტორიას ორ ნაწილად: „ლენინამდე და ლენინის შემდეგ“.

პოეტ სუხარტინის ლექსში არის ერთი მნიშვნელოვანი სახე:

„იქნება მიწათა მიწა
მისი საფლავი“.

მწერალი მ. ლევიდოვი სწერს: „კოსმიური, გრძნობა რეალობისა, რისგანაც თავბრუ ესხმება ჩვეულებრივ ადამიანს, ახასიათებდა ლევ ტოლსტოის და ავრეთვე ლენინს. იმ განსხვავებით, რომ ტოლსტოის თვალთხედვა მიმართული იყო ადამიანებზე, ლენინის კი ხალხთა იღბალზე.

მწერალი ქალი ლ. სეიფულინა იგონებს ლენინის მეუღლეს ნადეჟდა კონსტანტინოვნა კრუპსკაიას, რომელიც ყოველთვის გვერდში უდგა ლენინს და ახლაც სდგას მის ჯუბოსთან, როგორც ქანდაკება უკანასკნელ ყარაულზე. ქალის სახელია—ნადეჟდა. მომავალი თაობა მისცემს მას სხვა სახელს: „ერთგულება“. ილია ერენბურგი, „ხულიო ხურენიტოს“ ავტორი თავის წერილში:„ ჩვეულებრივზე და არა ჩვეულებრივზე“ წარმოიდგენს იმ დროს, როდესაც ლენინი სცხოვრობდა მუშების უბანში ორლეანის ქუჩაზე—პარიზში. აქ არის პატარა სახლი, რომლის წინაშე ეხლა ფუსფუსებენ ფოტოგრაფები. ქუჩაში გამოდის კარის ქალი (привратница). იგი გაკვირვებულია. იგონებს, რომ

ლენინის კვირა ტფილისში.



საპატიო ყარაული სასახლის წინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ სცხოვრობდა ეს და ეს. მას ხშირად კითხულობდენ პრეფეკტურიდან. აქ სცხოვრობდა დიდებული ადამიანი და მან ეს არ იცოდა? მაშ კარის ქალი ბრმა იყო? არა, ის არ იყო ბრმა. მაგრამ მდგმური იყო ჩვეულებრივი, მეტად ჩვეულებრივი ადამიანი. ვინ იფიქრებდა!... მაგრამ ეს ქალი არ არის დამნაშავე. უფრო ცბიერებმა არ იცოდენ, თუ რა იყო ლენინი. ეს იცოდა მხოლოდ მან. და ამაშია მისი დიდება. რა ვიცოდით ჩვენ მაშინ? შფოთვა და ხეტიალი. ყუმბარები და ლექსები. ჩვენთვის მოსაწყენი იყო პატარა სახლი ორლეანის ქუჩაზე. ამ დროს ლენინი იყო გოეტე „ფაუსტამდე“ და კიდევ კორსიკანელი პორიზის მანსარდებში. და ვინ იფიქრებდა, რომ ბავშურ რომანტიულ ბარიკადებიდან, წიგნთსაცავის ტომებიდან, ასეთ „უხერხულ მდგმურების“ კამათიდან იქნება შექმნილი უდიდესი ცოცხალი პირამიდა, პლანეტის მეხუთე ნაწილი, აშენებული ახალი გეგმით და დაკირული სისხლით? ყოველი მენშევიკი ლვოვ-როგაჩევსკი აკეთებს ასეთ დასკვნას თავის წერილში: „ლენინი და რუსულ ლიტერატურის მომავალი“. ჩვენამდე რუსულმა მწერლობამ შექმნა უმთავრესად ტიპი ზედმეტ ადამიანის (лишнего человека)—ონეგინის, პეჩორინის, ჩაცკის, ლავრეცკის, ობლომოვის, ნეხლიუდოვის, ივან კარამაზოვის, ძია ვანიასი, კოტიკ ლეტაევის, პლატონ კარატაევის (непротивление злу). ესენი იყვნენ სიტყვის გმირები, დამარცხებულნი ნებისყოფით, შრიგროვის მაზრის გამლეტები. მაგრამ რუსული მწერლობა ყოველთვის სცდილობდა გადაელახა საბედისწერო წრე და შეექმნა საქმის ადამიანი. ასეთი ცდები ჰქონდა მაქსიმ გორკის, ვერესაევს. მეოცე საუკუნეში გამოდიან მწერლები, რომლებსაც უნდათ შექმნან მოქმედების გმირი. შემდეგში ლიტერატურა განვითარდება ლენინის ნიშნის ქვეშ, რომელმაც თავისი პიროვნებით დაადგვირგვინა მწერლობის ოცნება და მოლოდინი. შეუძლებელია ლენინის შემდეგ დონკიხოტობა და გამლეტობა. ოქტომბრის შემდეგ მოვიდენ მწერლები-პილნიაკი, ვსევ. ივანოვი და სხვები, რომელნიც ეძებენ გმირს საქმისას და არა სიტყვისას. წარსული რუსული ლიტერატურა იყო აზნაურული, და ამ მწერლობას უნდოდა დაეძლია გამლეტიზმი. რუსულ მწერლობის მომავალია—გაღვიძებულ მასსების ეპოპეია და ამ გზაზე რუსულ მწერლობისთვის ლენინის გრანდიოზული ფიგურა იქნება, როგორც ვარსკვლავი – მუდამ მოელვარე და შთამაგონებელი.

იური სობოლევი თავის წერილში: „ლენინი მის თანამედროვეთა ნაწერებში“.—ამბობს: „ლენინი მოელის თავის ჰომეროსს და ტოლსტოის. მისმა თანამედროვეებმა ვერ შექმნეს „ღირსეული სიმღერა“, რადგანაც ᲔᲖᲔ დაბრმავებელია. მაგრამ მომავალ საუკუნეებში, როცა ლენინის სახელი გახმაურდება, როგორც გმირული ლეგენდა, მხატვრები და პოეტები არ აუვლიან გვერდს იმ ნაწერებს თანამედროვეებისას, რომელნიც უძღური იყვნენ გამოეხატათ მთელი სიღრმით შემოქმედება და ბუნება მასწავლებელის და ბელადის, თუმცა ცდილობდენ აღებეჭდათ ურჩ სიტყვაში მისი გიგანტური და ბრძნული სახე.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲐ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ.

ცაკის და სახკომსაბჭოს წევრები ლენინის სურათთან.

ტუგენხოლდი—კრიტიკოსი გამოსთქვამს სურვილს, რომ კრემლში დაიდგას ძეგლი, რომელიც იქნება დაგვირგვინება ლენინის სახის. ამ მონუმენტალურ ძეგლში, ამ მონუმენტში უნდა გამოჩნდეს ის დაუვიწყარი და დიდებული ტრაგედია, რომლითაც პროლეტარული მსოფლიო შეხვდა ლენინის სიკვდილს. ამ მონოლიტში უნდა გამოჩნდეს ლენინის სიმაგრე და ენერგია, რომლითაც მან განაყოფიერა რუსეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსი პოეტები ლენინზე.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ.

იგი ვინ იყო? იყო ბელადი
ხალხთა სურვილის და ნებისყოფის.
მან გამოსცვალა კაკობრიობის
გზა. გადალახა საუკუნენი.
და ოქტომბერი მან თვითონ შექმნა.
მან შემორკალა ჟამთა სირბილი.
და ეს ეპოქა უფრო დიდია,
ვინემ ბრწყინვალე დრო—რენესანსი.
ძველი ქვეყანა კვდება უძლური,
ახალი არის—ზღვა შემაერთი.
ოქტომბრის ცეცხლში მოსჩანს ლენინი
მოსჩანს საზღვარზე, ვით გოლიათი.
ო, დედამიწა! მწვანე პლანეტა,
პატარა ბურთო ვარსკვლავთა შორის,
შენი დიდება ეს სახელია—
კეთილშობილი და მშვენიერი!
ის მოკვდა! იყო სულ ერთი წუთი
ჟამთა სრბოლაში. მაგრამ ქმედითი,
ის აღემატა დაბალ სიცოცხლეს,
და ჩვენ ვადიდებთ მის სახელს მუდამ.

ვალერი ბრიუსოვი.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐᲖᲔ.

განა სტიროდენ მარშებით ორკესტრები,
განა სევდიანად გრგვინავდენ საყვირები,
არა, ქვითინებდა მხოლოდ ჩვენი გული,
რომელიც იცლებოდა უწშიდეს სისხლით.
განა დროშები იწვოდენ ტრაურში,
როცა შეიმოსენ ისინი შავით,
ეს ჩვენ დავიკლაკნეთ, როგორც ხანძარი,
როცა დავიბრმავდა ცრემლებით თვალები.
განა არმიელნი თოფებით გაიძაგრენ,
როცა მოდიოდენ როგორც ჩაქუჩები;
ეს ჩვენ ავიბურძგლეთ და დავიგრიალეთ:
არასოდეს, დახეევ უკან!
ცაზედ არ ზმუოდენ პროპელერები.
მონოპლანების არ იყო ფრენა.
შენი ლოზუნგები ცაზე დაფრინავდენ,
შენმა სიკვდილმა წინ გადაგვისროლა.
წითელი კუბო ირხეოდა მხრებზე,
გრიგალი კლაკნიდა დროშების ძახილს,
ყველა ფიცს სდებდა—ფიცს შეურყეველს:
ან გამარჯვება, და ან სიკვდილი.

დ. სამოილოვი.

ᲐᲠ ᲒᲕᲬᲔᲠᲐ.

მაინც არ გვჯერა, რომ დაგვათოვოთ
ტელეგრამები.
ის ჩვენთან არის დაუდგრომელი
დიდი კამანდარმი.
როგორც ყოველთვის სავსე ალერსით,
შეუდარები...
მას მიჰყავს მტერზე
მშრომელთა ჯარები.
არის ყრუ ღამე, თუ განრისხებით
მოდიან გრიგალები,
მაინც ბრწყინავენ და იცინიან
ლენინის თვალები.
მაინც არ გვჯერა, რომ დაგვათოვოთ
ტელეგრამები...
ის ჩვენთან არის დაუდგრომელი
დიდი კამანდარმი.

ნიკოლოზ პოლეტაევი.

ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝᲗ.

ეს უთოდ დარჩება—
ღიმილი მიხუჭულ თვალების...
ახლაც პორტრეტიდან
გვიცქერის იგი.
ყოველთვის ოცნების თვალით
დავინახავთ ჩვენ
თმებიდან გაძარცულს
გენიალურ თავს.
დაგვრჩება ხსოვნაში
მოღუნული ფართე მხრები,
როგორი სიმძიმე
უნდა დასწოლოდა მათ.

ანდრეი ირკუტოვი.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ.

არა, ახლა ვერაფერს იტყვი!
შეიძლება ერთი ან ორი წლის შემდეგ ..
როცა ყოველივე იქცევა თქმულებად.
და სევდას დაფარავენ თოვლები...
მაშინ, როცა ეს დანაკარგი
იქნება ნაკლებად მტკივნეული.
ჩვენ ახლა მივასვენებთ მამას და ძმას
დასამარხავად ჭალარა მიწაში.
არა, ახლა ვერაფერს იტყვი,
გარდა მაღალ, უვარგის ფრაზებისა.
დე, დაეფრქვიოს ამ სამარეს
ჩვენი მწუხარე თვალების სევდა.

კ. ზახაროვი.

ᲘᲚᲘᲩ.

ჩვენო ბელადო დიდშუბლიანო
და კაპიტანო ჩვენი გემისა,
მიგყავდა უცხო ნაპირებისკენ
რუსეთი, მასთან მთელი ქვეყანა!
შენ მიგვატოვე ოკეანეში.
უმწეოდ ვტირით. შენ არ აღსდგები!..
მაგრამ გვიბრძანებს შენი აჩრდილი,
რომ ჩვენ არ ვდვაროთ ამაო ცრემლი!
თვითონ სიკვდილის ჩუმ სარეცელზე
ხარ კაპიტანი მშობლიურ გემის.
მშვიდობით ილიჩ! უკვდავი სულით
შენ—დაეხმარე შენს მემკვიდრეებს.

ვერა ილინა.

რა იყო და რა მოხდა.

ვალიკო უცდიდა სოფიოს და რა წამს გაიგონა ეტლი გაჩერდაო უმალ გამოვარდა ქუჩაში. დაინახა, სოფიო ეტლს მიურდნობია და უძრავად დგას, მეეტლე მას შეჩერებია და თან ბუტბუტებს: „როდისლა გამანთავისუფლებ?"

ვალიკო მივარდა სოფიოს: „გენაცვა, სოფიო, რა ამბავია?"

— „რედიკული დავკარგე... ფული"... ძლივს წაილუღღუღა სოფიომ.

ვალიკომ ტაცა ჯიბეში ხელი, ამოიღო ფული, გაუსწორდა მეეტლეს, მოჰკიდა ხელი სოფიოს და თითქმის

სიცხემ უმატა სოფიოს. ბოდვა დაიწყო. ვალიკო მთლად დაიბნა, არ იცოდა რა ექნა. გაქცეულიყო ექიმისათვის, როგორ დაენებებინა თავი სოფიოსათვის?.. მიუდგა იქვე საწოლს სავარძელი, ჩაჯდა შიგ და შესცქეროდა სოფიოს. სოფიო დიდ ხანს შფოთავდა, მერმე ცოტა მიყუჩდა, დამშვიდდა, თითქოს ჩაეძინა. ვალიკომაც ჩასთვლიმა სავარძელში, მაგრამ ხშირად უცებ გამოიღვიძებდა ხოლმე და შეხედავდა სოფიოს. სოფიოს ეძინა...

დაატყო რა ვალიკომ სოფიო დამშვიდდა, გავიდა თავის ოთახში და მიწვა ისე გაუხდელი ლოგინზე.

დილის შვიდი საათი იყო რომ ვალიკოს უცებ გა-

ლენინის კვირა ტფილისში.

თავისუფლების მოედანი—სამგლოვიარო თაღი.

ხელით აიყვანა კიბეზე, შეიყვანა ოთახში და დასვენა საწოლზე.

უგრძნობლად დაეშვა სოფიო ლოგინზე, გული წაუვიდა. შეშინდა ვალიკო, ეცა წყალს, შეასხა სახეზე წყალი სოფიოს. სოფიო ოდნავ გონს მოვიდა, მაგრამ მეტად დასუსტებული იყო, სიტყვას თითქოს ვერ ახერხებდა. ვალიკომ მაჯა გაუშინჯა, შეატყო დიდი სიცხე. აღარ მოერიდა, გახადა ქალს და ჩააწვინა ლოგინში. სოფიო ვერაფერს გრძნობდა, მაშინალურად ემორჩილებოდა ვალიკოს, მძიმედ სუნთქავდა, თვალები ამღვრეული ჰქონდა.

მოეღვიძა. წამოხტა, გამოიფშვნიტა თვალები და ეცა სოფიოს ოთახს. სოფიოს გაეღვიძა. მოსულიერებულიყო, მაგრამ სახე მეტად გაუთორებული, თვალები ჩაცვივნული ჰქონდა.

ვალიკო მიუჯდა და ალერსით შეეკითხა: „სოფიო, ჩემო გვრიტო, როგორა გრძნობ თავს?"

— „არა მიშავს რა... ეხლა კარგად ვგრძნობ თავს... შენ შეგაწუხე, მაპატიე"!.. ღონე მიხდილი ეუბნებოდა სოფიო.

„მაშ გენაცვა, სოფიო, მე გავირბენ სამართველოში როტმისტრს დავეთხოვები და უმალ დავბრუნდები, თან ექიმს მოვიყვან?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სიტყვებზე სოფიო უცბად წამოჯდა ლოგინში, სტაცა ხელი ვალიკოს და კანკალით შესძახა:

— „ნუ, ნუ სამართველოში ნუ წახვალ... მეშინიან... მარტო ვერ დავრჩები... როტმისტრი?.. რომელი როტმისტრი?.. როტმისტრი იქ არ იქნება“... ურევდა სიტყვას სოფიო და თან ეხვეოუბოდა ვალიკოს, ცახცახებდა და სახეზე ძლიერი შიში ჰქონდა აღბეჭდილი.

ვალიკომ დააწვინა კვლავ სოფიო, ხელზე ჰკოცნიდა უალერსებდა, ამშვიდებდა თან ეუბნებოდა: „კარგი, კარგი, დავრჩები, არ წავალ... მაგრამ მაინც როგორმე უნდა შევატყობინო სამართველოში, რომ დღეს ვერ მივალ“.

სოფიო დამშვიდდა და ეხლა დამშვიდებული ელაპარაკებოდა ვალიკოს: „ნერვები მაქვს საშინლად მოშლილი... რასა ვლაპარაკობ მე თვითონ არ მესმის... წადი, წადი სამსახურში... მე არა მიშავს რა... ოღონდ მალე დაბრუნდი. შენ გენაცვალე მომიხმე მეზობლიანთ გოგო... ბავშს მოუაროს, მალე გაიღვიძებს... წადი, წადი... ჩემი დარდი ნუ გექნება“...

ვალიკო სამართველოში უცდის როტმისტრს, მაგრამ როტმისტრი არსადა სჩანს. უკვირს ვალიკოს და თან ღელავს: „რაღა დღეს გაუწყრა ღმერთი, იქ სოფიო ისეთ მდგომარეობაშია... როტმისტრი და სამსახურში დაგვიანება? ეს ხომ წარმოუდგენელია“... მალი მალ წამოხტება ვალიკო, მოუთმენლად დადის ოთახში, ხშირად ფანჯარაში გაიხედამს, როტმისტრი ხომ არ მოსჩანსო? მაგრამ როტმისტრი არსადა სჩანს. უკვე მეთერთმეტე საათი დაიწყო. მაგრამ როტმისტრი არსადა სჩანს.

შემოიღო კარები და ოთახში დეზების ღღარუნით შემოვიდა სამართველოს უფროსი პოლკოვნიკი. ვალიკო ფეხზე წამოხტა, თავი დაუკრა. პოლკოვნიკი შეეკითხა: „როტმისტრი ჯერ არ მოსულა?. რა ამბავია? გუშინ თქვენთვის ხომ არა უთქვამს რა?“

— „არა, ბატონო პოლკოვნიკო,“ მიუგო ვალიკომ.

ამ დროს კარი შემოიღო და ოთახში შემოვარდა გაფითრებული, შეშინებული სამართველოს ადიუტანტი.

„ბატონო, პოლკოვნიკო, დიდი უბედურება შეგვემთხვა... როტმისტრი... ეხლა ტელეფონით გადმომცეს სასტუმროდან, რომ... როტმისტრი... მოკლული უნახამთ... ოთახში“...

პოლკოვნიკი იქვე სკამზე დაეშვა, სიტყვა გაუშრა ყელში... ადიუტანტი განაგრძობდა: „წუხელის როტმისტრი სასტუმროში მისულა, ოთახი დაუქირავებია და ღამე იქ გაუტარებია, თან უბრძანებია, რომ დილის შვიდ საათზე გაეღვიძებინათ. მაგრამ ცხრა საათამდე კარი ჩაკეტილი ყოფილა და შემდეგ სასტუმროს პატრონს გაუღებინებია კარი და რომ შესულან ოთახში საწოლზე როტმისტრის გვამი დახვედრიათ. მე გავეცი განკარგულება, არაფრისათვის ხელი არ ეხლოთ და ეხლა თქვენს განკარგულებას მოველი“.-.

პოლკოვნიკი გონს მოვიდა, წამოდგა და უბრძანა

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲐ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ბავშვთა დემონსტრაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადიუტანტს: „აბა ეხლავე უნდა წავიდეთ სასტუმროში, თქვენ გავალებთ გამოძიების წარმოებას“... და გასწია ოთახიდან.

„ბატონო, პოლკოვნიკო! მოახსენა ადიუტანტმა: „თარჯიმანი დაგვჭირდება, იქ სასტუმროს მოსამსახურეებმა ბევრმა რუსული არ იცის“.

პოლკოვნიკი მობრუნდა, მოჭკრა თვალი ვალიკოს და უთხრა: „აბა თქვენ წამოგვყევით, თარჯიმანობას გასწევთ?“

— „ეშმაკმა წაგიღოთ,“ გაიფიქრა ვალიკომ: „იქ სოფიოს ვინ იცის რა ემართება და“... მაგრამ რას გააწყობდა, უარს ხომ არ ეტყოდა პოლკოვნიკს...

პოლკოვნიკმა, ადიუტანტმა და ვალიკომ მალე მიაგროალეს ეტლით სასტუმროსთან. დფეთიანებულნი და ზარდაცემული სასტუმროს პატრონი და მოსამსახურენი დაუხვდნენ მათ. ზევით ნუმრებთან დახვდა პოლკოვნიკს ადგილობრივი ბოქაული, რამდენიმე პოლიციელი და ექიმი.

გაალეს ოთახი, შევიდნენ და დაიწყო გამოძიება. ექიმმა გასინჯა გვამი, დიდხანს მოუნდა სინჯვას, დასუნა ტუჩებს და ბოლოს განაცხადა: „მოწამლულია, თითქმის თორმეტი საათის თუ არა მეტის წინაა გარდაცვალებული“... ადიუტანტი ოქმსა სწერდა, პოლკოვნიკი გაფაციცებით ოთახებს ათვალიერებდა. ვალიკო როტმისტრთან იდგა. ამ დროს პოლკოვნიკი დაიკუზა ერთ საჯარიერთან და იატაკზე რეიკულს მოჭკრა თვალი; აიღო და მოუტანა ადიუტანტს:

„აი ეს კი შეიძლება ბევრს რასმე გვეტყვის“, ხელში ეჭირა სოფიოს რეიდიკული. ვალიკომ მოჭკრა თუ არა თვალი რეიდიკულს უმალ იცნო. „სოფიოს რეიდიკული!?“.. გაუფლეთ თავში და ვეღარ აშორებდა თვალს. „საიდან, როგორ?“ ამ დროს პოლკოვნიკმა გახსნა რეიდიკული, ამოიღო ფული და ხელსახოცი. გაშალა ხელსახოცი და ზედ ამოკერილი წითელი ასოები აღმოჩნდა. „ს. მ.“ „სოფიო მაისუტაძისა“. უმალ მიხედა ვალიკო და თითქოს ვიღაც გავარვარებული შამფურით მის გულზე სჭრიდა ამ ასოებს. პოლკოვნიკი კი უკარნახებდა ადიუტანტს „ჩაწერეთ: რეიდიკული შავი ტყავისა... ხელსახოცი, ასოებით... „ს. მ.“... ყურში თითქოს ჩაქუჩით სცემდნენ ვალიკოს. დაჰკითხეს მოსამსახურეებს, სასტუმროს პატრონს, მეკარეს. გამოირკვა, რომ როტმისტრი საღამოს ერთ ქალთან ერთად მოვიდა სასტუმროში, შევიდნენ ნუმერში, მოითხოვეს ვახშამი, სასმელი. მეკარემ უჩვენა რომ ღამის ათი საათი იქნებოდა რომ ქალი ჩამოვიდა კიბეზე და წავიდა სასტუმროდან. ქალს სქელი პირბადე ჰქონდა აფარებული და ვერავინ იცნობდა.—

პოლკოვნიკი დარწმუნებული იყო, რომ აქ თვითმკვლელობას ადგილი არა ჰქონდა. როტმისტრს არავითარი ბარათი არ დაუტოვებია და რამდენათაც იცოდა პოლკოვნიკმა როტმისტრს არც უნდა ჰქონოდა თვითმკვლელობის მიზეზი. ცხადია რომ ყველაფერი ამ უცნობ ქალის ირგვლივ ტრიალებდა და გამოძიების მთელი მიზანი სწორედ ამ ქალის ვინაობის გამოცნობაში იყო. მაგრამ როგორ, რა გზით. მართალია ხელთ თითქოს მეტად მნიშვნელოვანი საბუთი ჰქონდათ, რეიდიკული და ხელსახოცი ასოებით, მაგრამ.... მხოლოდ ერთი კითხვა ვერ გამოერკვია პოლკოვნიკს: რა ნიადაგზეა ჩადენილი მკვლელობა?.. წმინდა რომანიულ მკვლელობასთან აქვს საქმე, თუ?... მიზეზი პოლიტიკურია და ეს წმინდა წყლის ტერორისტული აქტი-ა?....

ვალიკო მთლად გაშტერებული იდგა. ერთი ორჯელ კითხვით მიმართა ადიუტანტმა და ვალიკომ რაღაც დაბნეულად უპასუხა, ასე რომ ადიუტანტმა გაკვირვებით შეხედა და გაიფიქრა: „უჩვეცია და აღბად შეშინდა!...“ მექანიკურად უთარგმნიდა ვალიკო მოსამსახურეთა ჩვენებას, შინაარსი ჩვენებისა კი თითონ არ ესმოდა. მაგიდაზე იდო რეიდიკული და ხელსახოცი და სწორედ აქედკენ იყო მიჩერებული ვალიკოს თვალი. „სოფიო, აქ სასტუმროში, როტმისტრთან ერთად?... ფიფქიდან ფუძლებენილია!...“ ფიქრობდა ვალიკო. მაგრამ რეიდიკული? გზაში თუ დაკარგა, სასტუმროში, აქ როგორღა აღმოჩნდა?... იპოვა ვინმემ? რაღაც სწორედ იმან იპოვა ვინც ამ სასტუმროში როტმისტრთან ერთად მოდიოდა?.. რა კავშირი აქვს სოფიოს როტმისტრის მკვლელობასთან?.. აზრი ირევა, ხან საშინელა იჭვი გაურბენს ვალიკოს თავში. ერთში იგი დარწმუნებულია, რომ სოფიოსა და მკვლელობის შორის არავითარი კავშირი არ არის, მაგრამ... სოფიოსა და როტმისტრის შორის?.. განა შესაძლებელი არ არის სოფიო აქ როტმისტრთან ყოფილიყოს და დავიწყებიდეს რეიდიკული? მკვლელობა კი შემდეგში მოხდა?.., მეკარე ხომ ამბობს ქალი ადრე წავიდაო.... ტანსაცმელი ქალისა ვერ აღწერა მეკარემ, მხოლოდ თქვა რომ ქალს სქელი პირბადე ჰქონდა სახეზეო.

ვალიკოს კი კარგად ახსოვს, რომ სოფიო დაბრუნებისას უპირბადეთ იყო. მაშ რაშია საქმე?... რა ჯოჯოხეთური ქსელი შეიქმნა?.. ბოლოსდაბოლოს დაიწრიტა აზრი და ვალიკოს გონებაში ერთი საშინელი დასკვნა ჩამოყალიბდა: „მატყუებდა!“ მოაგონდა ვალიკოს სოფიოს შემოსავლის ფურცლები წყარო, სოფიოს ქცევა, თეატრში საიდუმლოდ სიარული,... „მატყუებდა, მატყუებდა!!! მაგრამ რა მიზნით, რისთვის? სათადარიგოდ ვყავდი? როტმისტრთან კავშირი ალბად წყდებოდა და ახალი მოკავშირე იყო საჭირო? იქნებ მთელი ამბავი სოფიოს მიერ მოთხრობილი მის გათხოვებისა და დაქვრივების შესახებ მტკნარი სიცრუე იყო, ზღაპარი განზრახან მოგონებული?“... „რისთვის მატყუებდა?“ კვლავ ეს კითხვა არ ეშვებოდა ვალიკოს. ხან წარმოუდგებოდა თვალწინ ღონე მიხდილი, გაფითრებული სოფიო და გულში სიბრალული აღეძრებოდა. აი დასცქერიან მას სოფიოს ღრმა თვალები და ვალიკო მათში უსაზღვრო სიყვარულსა ხედამს... აგონდება ის ნეტარებით სავსე საღამო, როდესაც ესოდენი ბედნიერება იგემა. მაგრამ აი აქ ეს რედიკული, ხელსახოცი ხომ მისია, საიდან, როგორ?..-

გამოძიება სასტუმროში დამთავრდა. პოლკოვნიკი, ადიუტანტი და ვალიკო დაბრუნდნენ სამართველოში.

მართალია ჯერ მეცადინეობის დრო არ იყო გასული, მაგრამ ვალიკო დაეთხოვა ადიუტანტს და გამოვიდა სამართველოდან... ეხლა შინ მისვლა ეძნელება, თითქოს ეშინოდა სოფიოსთან შეხვედრა. არ იცოდა როგორ მოქცეულიყო. გრძნობდა, თავს ვერ შეიკავებდა, სოფიო ავადმყოფი, ისედაც დატანჯული, იქნება ამ საქმეში არაფერ შუაშია და... მაგრამ არა, არა... ყოველად შეუძლებელია ფაქტების ასეთი ჯოჯოხეთური გადაკვანძა... უნდა გამოირკვეს საბოლოოდ საქმე. ადრე თუ გვიან ეს უნდა მოხდეს და რაც უფრო ადრე მოხდება ისა სჯობია. ვალიკომ ფეხი აუჩქარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინის კვირა ტფილისში.



ქალაქის აღმასკომის შენობა.

მივიდა სახლში, შევიდა ოთახში. სიჩუმეა, არა ისმის რა. სოფიოს ოთახის კარი მოხურულია. ვალიკომ იგდა მაგიდასთან, სკდილობდა დამშვიდებას, აზრების დალაგებას, მაგრამ გარკვეულ აზრს მაინც ვერ დასდგომოდა. ამ დროს მოესმა, სოფოის კარი გაიღო, იგრძნო სოფიო კარებში სდგას, მაგრამ მისკენ ბიხედგისა ეშინოდა.

„ვალერიან პეტროვიჩ!.. მოხვედით?“ მოესმა სოფიოს ხმა. ვალიკო მიბრუნდა მისკენ და ვერ იცნო სოფიო. გამხდარი, ფერ მიხდილი, ჩაცვივნული თვალებით, სოფიო მიპყრდნობოდა კარის ჩარჩოს, ეტყობა თავს ძალას ატანდა, ძლივს იდგა.

ვალიკო წამოდგა, გასწია მისკენ, ძმიმედ მიდიოდა, ფეხებში თითქო ბორკილი გაუყრიათო. სოფიო შეტორტმანდა და მუხლებში ჩაიკეცა, ის იყო იატაკზე დაეცემოდა, რომ ვალიკო არ მოშველებოდა. ვალიკომ მოხვია ხელი, წამოიყვანა და დასვა სავამოდელში. ღონე მიხდილი სოფიო რამდენიმე წუთს გაჩუმებული შესცქეროდა ვალიკოს. საშინელი ტანჯვა იხატებოდა მის სახეზე. თვალებში ცრემლი ბრწყინავდა. სოფიომ ღრმად ამოიოხრა და მის სახეზე უცბად მტკიცე გადაწყვეტილება ალიპეტდა. ქალმა ღონე მოიკრიფა, თავს ძალა დაატანა.

„ვალერიან პატროვიჩ,“ დაიწყო სოფიომ: „თქვენ ალბად უკვე გაიგეთ?.. რაც მოხდა... დრო ცოტა მაქვს... ალბად მალე სამუდამოდ დავშორდებით ერთმანეთს“...

— „რატომ უნდა დავშორდეთ?..“ უცბად წამოსცდა ვალიკოს, მაგრამ თვითონვე იგრძნო რომ სულელური კითხვა მისცა.

„რატომ?.. მწარედ გაიცინა სოფიომ: „ბიტომ... რომ დღეს თუ ხვალ... დამატუსაღებენ... მაგრამ თქვენ, თქვენ ყველაფერი უნდა იცოდეთ...“ აქ თითქოს ღონე მოეშვა და სოფიო უკან გადიხარა, ხელები ჩამოუშვა. მხოლოდ წუთს იყო გაჩუმებული, კვლავ ძალა დაატანა თავს და განაგრძო: „როტმისტრი... მე მოვკალი... როტმისტრის საყვარელი ვიყავი... თქვენ გატყუებდით... რატომ მოვკალი?... ჩვენ შორის ანგარიში გავასწორე... შური ვიძიე... თქვენ კი, თქვენ კი გატყუებდით... რატომ?.. არ ვიცი... ალბად გარყვნილობის შედეგი იყო... ასეთი ვარ... საზიზღარი... დამივიწყეთ, შემიძულეთ...“ წამოდგომა სცადა ქალმა, მაგრამ ვერ შესძლო, დაეშვა, გული წაუვიდა.

ვალიკომ აიყვანა ხელში სოფიო და გაიყვანა მის ოთახში, დააწვინა საწოლზე. სოფიო გონს მოვიდა, მაგრამ საშინლად დასუსტებული იყო. ახლა სახე გაეწითლდა, უცბად გააცხელა და სიცხე თანდათან მატულობდა... ბოდვა დაიწყო. ხშირად ვალიკოს სახელს ახსენებდა, უალერსებდა, სიყვარულს ჰფიცავდა... ვალიკო ძთლად დაიბნა, არ იცოდა რა ექნა. ზედიზედ მოწოლილმა საშინელმა ამბებმა მთლად არიეს. ზიზღი და სიბრალული, აღშფოთება და იმედის დაკარგვა, სამოთხის მოულოდნელი დანგრევა და თან სიყვარული, სიყვარული, ძიუხედავად ყველა მომხდარისა ერთმანეთში გადაირია, გადაიხლართა და საშინელ ქაოსად იქცა. რა ქნას, რა გზას დაადგეს?..

ამ დროს ქანდარმთა სამართველოში დიდი ფაცა-ფუცი იყო. პოლკოვნიკი პირადად აწარმოებდა გამოძიებას, მაგრამ ჯერ კვალი არსადა სჩანდა. „ს. ძ.“ აი ასოები, რომელნიც გამოძიების მთელს დერეს შეადგენდნენ და თვალიდან არ შორდებოდნენ პოლკოვნიკს... იმავე დროს როტმისტრის სამეცადინო ოთახში ადიუტანტი პოლკოვნიკის დავალებით ჩხრეკდა და სინჯავდა როტმისტრის ქაღალდებს.

გადასინჯეს საიდუმლო აგენტების ქაღლების და კაცების სია, მაგრამ „ს. ძ.“ მაინც ვერ გამოიცნეს.

უკვე სამი საათის განმავლობაში სინჯამს ადიუტანტი როტმისტრის ქაღალდებს, მაგრამ თვალსაჩინო ჯერ არაფერი შეხვედრია. პოლკოვნიკიც იქვე ზის.

„აი ეს მგონია გამოგვადგება ბ. პოლკოვნიკო“, მოახსენა ადიუტანტმა და გადასცა ერთი ქაღალდი. ეს იყო არზა სოფიო ალექსანდრეს ასულის მაისურაძის, რომელშიაც იგი დახმარებას მოითხოვდა, რადგანაც მისი ქმარი მსახურობდა სამართველოში და მოკლულ იქმნა რეგოლიუციონერთა მიერ. არზას დართული ჰქონდა როტმის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ.

სამგლოვიარო პროცესია ლიუქსემბურგის ქუჩაზე.

ტრის ხელით დაწერილი ცნობა: „მაისურაძე. აგენტი №, მოკლულია 19...წელს ამა და ამ თვეს „ჯგუფისტების“ მიერ... შემდეგ არზაზე პოლკოვნიკის წარწერა „მიეცეს ორასი მანეთი“.

პოლკოვნიკს სიხარულით გული აუტოკდა. „სოფიო მაისურაძე“. ეს ხომ სწორედ „ს. მ.“-ს ახსნა... ეხლა მხოლოდ მისამართი, მაგრამ ამას კი მალე გავიგებთ.

„დაუყოვნებლივ წადით“, მიმართა პოლკოვნიკმა ადიუტანტს, „მისამართთა მაგიდაში“ და პირადად გაიგეთ მისამართი სოფიო მაისურაძისა რა წამს გაიგებთ დაუყოვნებლივე გაგზავნეთ აგენტი, შეკრიბოს ცნობები, ვინ არის, ვინ ცხოვრობს მეზობლად. თუ გასულია ქალაქიდან, სად წავიდა. ერთი სიტყვით ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ და მოვძებნოთ ეს ქალი. ვგრძნობ რომ ნამდვილ კვალს მივაგენით...“

საღამოს ცხრა საათი იყო, რომ პოლკოვნიკი მოვიდა სამართველოში და აქ ადიუტანტმა წარუდგინა მოგროვილი ცნობები: სოფიო მაისურაძე სცხოვრობს აქ და აქ. ერთი ოთახი გაცემული აქვს, იქ ცხოვრობს სამართველოს მდივანი... რამდენადაც გამოარკვია აგენტმა მეზობლების გამოკითხვით ქალი და ვაჟი მეტად დაახლოებულნი უნდა იყვნენ. ქალი ამ ჟამად ავად არის, როგორც ეს გადმოსცა აგენტს მეზობლის მოსამსახურე გოგომ. მას უელის ვაჟი. სხვა არაკინ დაიარება... სამართველოში აღმოჩნდა კიდევ ერთი აგენტი, რომელიც თურმე კარგად იცნობდა სოფიოს ქმარს. გაგონილი ჰქონდა მისგან როტმისტრისა და სოფიოს კავშირი. ერთი სიტყვით ბურუსი თანდათან ქრებოდა. კვალი აშკარად სჩანდა.

პოლკოვნიკი გახარებული ეხლა მხოლოდ ერთი კითხვის გადაწყვეტას ცდილობდა: პოლიტიკაა თუ რომანი?..

სოფიო საღამოთი კვლავ ცოტა გამობრწყინდა და მოსულიერდა. ვალიკომ დააპირა ექიმის მოწვევა, მაგრამ სოფიომ არა ქნა.

„ექიმი მე ვერას მიშველის... მეტად გაწუხებთ... ღირსი არა ვარ თქვენი ყურადღებისა“, ეუბნებოდა ვალიკოს სოფიო: „მაგრამ მინდა ბოლომდის გაგაცნო ჩემი თავი... არ მინდა რომ თქვენში რაიმე სიბრალული დარჩეს ჩემს მიმართ... გაიგეთ ბოლომდის თუ ვისთან ჭონდათ საქმე“...

— „მერე, მერე“... გააწყვეტინა სიტყვა ვალიკომ, „დასუსტებული ხართ, ანდა რა საჭიროა“...

„არა, არა... ეს აუცილებლად უნდა მოხდეს, უნდა მომისმინოთ... მერე გვიანლა იქნება... ვინ იცის ამაღამ რა მომელის... თქვენ კი ყველაფერი უნდა იცოდეთ“...

და მოუყვა სოფიო თავისი თავგადასავალი... უამბობდა ყოველისფერს, არაფერს უმალამდა... ვალიკოს თვალწინ გადაშალა გულშემზარავი სურათი ქალის გახრწნისა და გათახსირებისა... ტანჯვა ფიზიკური და სულიერი, დამცირება ქალისა და ადამიანისა, მყრალი ჭაობი ჯაშუშობისა და პროვოკაციისა... არ ინდობდა თავის თავს სოფიო... დაწვრილებით და ზედმიწევნით დაუხატა ვალიკოს მკვლელობის სურათი, წვრილმანიც კი არ დაივიწყა.

„ეხლა სავსებით მიცნობთ... ეხლა ხომ მიხვდით, რომ ჩემთან დაახლოვება თქვენთვის დამამცირებელია... მე არ მინდა რომ ამ ტალახში თქვენც გაისვაროთ... მიტომ რომ... რომ... პირველი თქვენ იყავით, რომელიც მე... ლმობიერად... ადამიანურად მომექეცით“.

ყველაფერი უამბო სოფიომ ვალიკოს, მხოლოდ დაუმალა მკვლელობის ნამდვილი მიზეზი... გამოდიოდა რომ მხოლოდ შურის ძიებით იყო გამოწვეული, მაგრამ აქ თითქოს ყველაფერი არ იყო თქმული. რატომ შურის ძიების წყურვილი მხოლოდ ვალიკოს გაცნობის შემდეგ აღეძრა სოფიოს გულში?.. აქ სოფიო თითქოს ყველაფერს არ ამბობდა და ამ კითხვას კი ვალიკოსთვის მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. და მან პირდაპირ დაუსვა ეს კითხვა ვალიკოს.

„რატომ?.. მიტომ რომ... შემიყვარდი“!..

ამ დროს კარი დააკაკუნეს. ვალიკო გავარდა თავის ოთახში, კარი გაუღო და ოთახში შემოვიდნენ სამართველოს ადიუტანტი, ბოქაული რამდენიმე პოლიციელითურთ.

ბოქაული შეეკითხა ვალიკოს: „სოფიო მაისურაძისა, რომელ ოთახში ცხოვრობს?“ სოფიო ამ დროს კარებში იდგა, სრულიად დამშვიდებული.

— „მე გახლავარო!“ წამოიძახა მან და მოუახლოვდა ბოქაულს.

„დატუსაღებული ხართ, გაჰყევიო ამათ“, მიუთითა ორ პოლიციელზე.

მაგრამ ადიუტანტმა შეაჩერა, მიუბრუნდა სოფიოს და უთხრა: „მოემზადეთ, ჩაიცვით... ლოგინი დაგჭირდებათ... მგონია. ბავშვი გყავთ... შეგიძლიათ თან წამოიყვანოთ, ან და გვითხარით ვის ჩავბაროთ“...

— „თან წავიყვან“, უმალ მიუგო სოფიომ და გასწია თავის ოთახისკენ, მაგრამ ადიუტანტმა შეაჩერა: „მოითმინეთ, ბინა უნდა გავჩხრიკოთ“, მერე მიუბრუნდა ვალიკოს: „თქვენც მოემზადეთ, დატუსაღებული ხართ!“

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ



სამგლოვიარო დემონსტრაციაში მონაწილენი. რ. ლიუქსემბურგის ქ. მუშათა სასახლისაკენ.

თავზარდაცემული ვალიკო ისე იყო გატვრინული, რომ კარგად არც კი ესმოდა თუ რას ეუბნებოდა ადიუტანტი. სოფიო მივარდა ადიუტანტს: „ეგ რა შუაშია, მე ჩავიდინე, მე დამატუსაღეთ“...

— „საიდან იცით თუ რისთვის გატუსაღებთ“, შეეკითხა ადიუტანტი საზარელი ღიმილით.

„კარგად ვიცი და არცა ვმალამ არაფერს, მხოლოდ ამას კი გეუბნებით, რომ ესენი“, მიუთითა ვალიკოზე, „არაფერს შუაში არ არიან“...

— „ამას გავარჩევთ... ენახამთ... აბა ნუღარ ვაგვიანებთ“, უთხრა ადიუტანტმა ბოქაულს.

სოფიოს ღონემ უღალატა, ნახევრად გრძნობა დაკარგული იქვე დაეშვა სკამზე. „როგორ?.., ნუ თუ ყველა ეს ჩავიდინე მიტომ რომ ბოლოს და ბოლოს ხსნის მაგიერ ვალიკო დამეღუპა?!! უცემდა თავში სოფიოს: „მაგრამ ღონე, ღონე... ღმერთო ძალა მომეც, უნდა ვიხსნა რადაც უნდა დამიჯდეს!“...

დაიწყო ჩხრეკა და გასტანა შუადამემდე. მერმე ვალიკო და სოფიო ჩასხეს ცალ-ცალკე ეტლში და მცველთა თანხლებით გაისტუმრეს ციხეში...

დიდ ხანს გასტანა გამოძიებამ. ჟანდარმერია ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა საქმისთვის პოლიტიკური აქტის ხასიათი მიეცა, მაგრამ ამას მაინც ვერ ახერხებდა. ვალიკოს გაჩხრეკის დროს არაფერი უპოვეს. სოფიომ კიდევ თავიდანვე გამომძიებელს ყველაფერი გულახდილად უჩვენა, არაფერი დამალა და არც თავის თავს და სახელს ზოგავდა, პირიქით უფრო აზვიადებდა ყველა თავის ჩადენილს. გამომძიებელი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ვალიკოსა და სოფიოს შორის კავშირი გაება, მაგრამ ამაოდ. ვალიკო ყოველისფერზე უარს ამბობდა, აგრეთვე სოფიოც. ექვსი თვის გამოძიებამ ამ მხრით ვერაფერი შესძინა ჟანდარმერიას და სასამართლოს. ბოლოს და ბოლოს ვალიკო ამ საქმიდან გაანთავისუფლეს, მაგრამ ჟანდარმებმა მაინც ხელიდან არ გაუშვეს და ხუთი წლით ტურუხანის მხარეს გადასახლება გადაუწყვიტეს. იჯდა ვალიკო სატუსაღოში და უცდიდა მორიგ ეტაფს. სოფოსი დღიდან დატუსაღებისა არა იცოდა რა, რადგანაც სოფიო მეორე საპყრობილეში იმყოფებოდა. დადიოდნენ ციხეში ვალიკოს პარტიული ამხანაგები, არა ერთხელ შეეცადა მათ საშუალებით სოფიოს ამბების გაგებას, მაგრამ ამაოდ. სოფიოს მეტად სასტიკად ეპყრობოდნენ და მასთან არავის უშვებდნენ. ბოლოს ვალიკომ ამხანაგებს შეამჩნია, რომ იგინი საზოგადოთ რაღაც თითქოს თავს არიდებდნენ სოფიოს საქმეს.

სატუსაღოში საიდუმლოება ძნელად თუ დაიფარება, მეტადრე როდესაც საქმე პატიმარს ეხება. სატუსაღოში, სადაც სოფიო იჯდა ვინ იცის რა გზით, მაგრამ მაინც გაუგეს, რომ სოფიო ჟანდარმის „საყვარელია“ და „ოხრანკაში“ მსახურობდაო და ამან, რასაკვირველია, სოფიოსადმი საშინელი სიძულვილი გამოიწვია ტუსაღების შორის. სოფიოს ბოიკოტი გამოუცხადეს და ციხეში ბოიკოტი ეს ხომ საშინელება იყო. პატრონი სოფიოს არავინა ჰყავდა, არსაიდან არაფერი მოსდიოდა. პაწია შვილისა არა იცოდა რა და თან კვირა ისე არ გავიდოდა, რომ გამომძიებელს არ გამოეძახა და აქ იწყებოდა ქალის საშინელი ტანჯვა და წვალება. გამომძიებელი ერთის მხრით და ჟანდარმები მეორეს მხრით მთელი საათობით აწვალებდნენ ქალს და ძალას ატანდნენ, ოღონდ კი ვალიკო საქმეში ჩაერიათ და საქმისათვის პოლიტიკური ხასიათი მიეცათ. ჰპირდებოდნენ დიდ შეღავათს, თითქმის განთავისუფლებას, ფულს, მაგრამ ვერას ხდებოდნენ. სოფიო გადაჯერით უარყოფდა ვალიკოს საქმეში მონაწილეობას და კვლავ იმეორებდა, რომ როტმისტრი პირადი შურის ძიებისათვის მოკ�ა. ამ გზით რომ ვერას გახდნენ, ახლა იმას შეეცადნენ რომ სოფიოს უარი ეთქვა და ჩვენება შეეცვალა მისა და როტმისტრის ინტიმურ ურთიერთობაზე. მაგრამ აქაც ვერას გახდნენ. აუტანელ მდგომარეობაში ჩაყარდა სოფიო. ციხის ადმინისტრაცია ჟანდარმთა წაქეზებით სტანჯავდა და ავიწროებდა ქალს, ტუსაღები თავის მხრით უმწყრალდნენ სიცოცხლეს და ხსნა შეელა ამ საშინელ ჯოჯოხეთიდან არ სჩანდა. ეეღარ აიტანა ქალმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინის კვირა ქუთაისში.

ნაშუადღევის 4 საათზე. ქალაქის ბაღში მიტინგის შემდეგ სალიუტი.

საშინელი ტანჯვა და მძიმედ ავად გახდა. გადიყვანეს საპყრობილეს საავადმყოფოში, მაგრამ აქაც მისი მდგომარეობა ბევრად ვერ შეიცვალა. ყურადღებას არვინ აქცევდა, მოუვლელი, დასნეულებული ქალი სწრაფად მიექანებოდა სამარისაკენ. ექიმებს მისი მორჩენის იმედი არა ჰქონდათ და სრულებით ხელი აიღეს მკურნალობაზე.

უკვე რამდენიმე დღეა სოფიო ისე ცუდათ შეიქნა, რომ ლოგინს ვეღარ შორდება. იმდენად არის დასუსტებული, რომ ხელს ვერ ანძრევს. ბედშავ ქალის თავში მხოლოდ ერთი აზრი ტრიალებს: „სიკვდილი, სიკვდილი“!.. მაგრამ უცბად გაახსენდება პაწია შვილი და ცივი ოფლი დაასხამს: „ვინ იცის, რა მოუვიდა“?.. ხშირად ვალიკო წარმოუდგება თვალწინ და აუტანელ ტკივილს აგრძნობინებს გულში... მიდის დღეები და სოფიოს საქმე მაინც ვერ დამთავრებულა, თითქოს განზრახ აჭიანურებს გამომძიებელი და სოფიო კი თანდათან სამარეს უახლოვდება.

საავადმყოფოში მომკლელი ქალები პატიმართაგანნი არიან. ერთი ასეთი უვლიდა ვითომდა სოფიოსაც, მაგრამ მოვლა მისი მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა: დილით საღამოთი ცხელ წყალს მოუტანდა, შუადღისას საჭმელს, საზარელ წვენს და ათასში ერთხელ ოთახს გამოხვეტდა.

ერთ დღეს მსახური ქალი იყო კარგ გუნებაზე, თუ სოფიოს საცოდავმა მდგომარეობამ მას გული მოუტბო, ხოლო იგი მოუჯდა სოფიოს, ნუგეშს აძლევდა, თითქოს წამოუალერსა კიდეც. მართალია მისი ალერსი მეტად უხეში და თავისებური იყო და არც დამლაშებული სიტყვები აკლდა, მაგრამ სოფიოს თითქოს დიდი ხნის შემდეგ მზემ გაუშუქა. რამდენი ხანია ადამიანურად არავინ დაჰლაპარაკებია, გული ამოუჩუყდა და ისიც შესძლო, რომ მსახურს ქალს ხელი მაგრად მოუჭირა და თვალცრემლიანი შესცქეროდა. გაიცნეს ერთმანეთი და ამ დღიდან სოფიოს ცხოვრებამ თითქოს ოდნავ გაუღიმა. მუდამ დღე, რაწამს მსახური ქალი დროს მოიპოვებდა, შედიოდა სოფიოსთან და აქ დიდ ხანს საუბრობდნენ ხოლმე. მსახური ქალი ძველი ტუსაღი იყო, იცოდა კარგად საპყრობილის და პატიმართა ცხოვრება, ზნე ჩვეულება. თან და თან სმა ჭამა სოფიოს გაუმჯობესდა მსახური ქალის მოწყალებით. სად შოულობდა უკანასკნელი ვინ იცის, მაგრამ სოფიოს ზოგჯერ თეთრი პურის ნატეხი მოერთმეოდა, ხშირად ჩაი შაქარი, ზოგჯერ ხორციც. დატრიალდა მსახური ქალი, იმდენი ულიჭინა ექიმს და ფერშლებს, რომ სოფიოს მათაც ცოტაოდენი ყურადღება მიაქციეს, დაუწყეს წამლობა, გამოუწერეს კერძი...

შეეჩვია თანდათან სოფიო ახალ მეგობარს და მწყალობელს და გაუხსნა მას გული, უამბო თავის თავგადასავალი, თავისი უბედურება, თავის შვილის ამბავი. უთხრა რომ ერთად ერთი კაცი, რომელსაც შეეძლო ამ საქმეში დახმარება ისიც დაპატიმრებულია.

„მოიცა, მოიცა“, უპასუხა მსახურმა ქალმა: „შენ ამბობ, ის ყმაწვილი ციხეშია? გავიგებ სად არის... ქალაღდს მოგიტან, შენ გვარი და სახელი დამიწერე... გავიგებ სადაც არის... თუ ზევით ციხეშია იმასაც გავიგებ. იქაური ტუსაღები ხშირად მოჰყავთ აქ ექიმთან და აქედანაც მიდიან ხოლმე... შენ წერილი დაწერე, ქაღალდს გიშოვი და გავზავნა ჩემს თავზე იყოს. პასუხსაც მოგიტანენ... ამას ადვილად მოვახერხებ“...

მეორე დღეს სოფიომ უკვე იცოდა, რომ ვალიკო ზემოდ ციხეშია, რომ იგი როტმისტრის მკვლელობის საქმეს ჩამოაშორეს და ხუთი წლით გადასახლება გადაუწყვიტეს ადმინისტრატიული წესით. ეს ამბავი მოუტანა მსახურმა ქალმა და თან გადასცა ქაღალდი და ფანქარი. „წერილი მისწერე და დღესვე გავუგზავნი“-ო.

„რა პირით და სახით უნდა მივწერო?“ ფიქრობდა სოფიო: „ვინ იცის როგორ ვეზიზღები და რა თვალით მიყურებს“...

მაგრამ შვილისადმი სიყვარულმა გააბედვინა დედის გულს და სოფიომ მისწერა ვალიკოს წერილი და გადასცა მსახურს ქალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის იყო დილას ჩაი მიუტანეს ვალიკოს და კარების ამოჭრილში შემოიხედა მსახურმა ტუსაღმა და ღიმილით ბარათი გადასცა. ხშირად ხდებოდა ეს. დაპატიმრებული ამხანაგები უგზავნიდნენ ერთმანეთს მსახური ტუსაღის ხელით წერილებს და ვალიკო დარწმუნებული იყო, რომ ბარათი რომელმე ამხანაგისაგანაა. დღეს „მიღების“ დღეა და ალბად ვინმე, ვისთანაც მნახველებს არ უშვებენ, ვალიკოს სთხოვს ამბის გადაცემას მახლობელთათვის. მაგრამ დახედა რა ბარათს, ხელი აუკანკალდა, იცნო სოფიოსი იყო.

გაშმაგებით გადაიკითხა, სოფიო სწერდა: „მაპატიეთ, ვიცი რომ ჩემი ხსენება თქვენს გულში მხოლოდ ზიზღს გამოიწვევს, ვიცი რომ თქვენს წინაშე ვერაფრით გავიმართლებ თავს, მაგრამ... მაინც გწერთ, გწერთ უბედური, მომაკვდავი დედა, რომლისთვისაც ამ ქვეყნად მხოლოდ ერთიღაა დარჩენილი, უპატრონოდ დაგდებული პაწია შვილი...

მიუხედავად ყველა მომხდარისა, მიუხედავად ჩემი უსაზღვრო დანაშაულისა თქვენს წინაშე, მაინც გწერთ... ვწერ თქვენს კეთილშობილს და პატიოსან გულს და გევედრებით: მიშველეთ, დაიხმარეთ ჩემს პატარა ბიჭიკოს... ჩემთან არავის უშვებენ, ძმიმედ ავად ვარ და დღენი ჩემი დათვლილია. სიკვდილი ჩემთვის ხსნა იქნება, მხოლოდ ჩემი შვილი, შვილი აი რა მიმწარებს უკანასკნელ წუთებს... თქვენ გახსოვთ, რომ დაპატიმრების ღამეს ჩემი შვილი მეზობლიანთ ჩავაბარე და მას აქეთ არ ვიცი რა ბედი ეწია... მე მყავს უშვილო ძიძა და მამიდა, სოფ. მ-ში ცხოვრობენ... თუ როგორმე მიაწოდებთ ამბავს, იგინი ბავშვს წაიყვანენ და მათ ხელში უზრუნველყოფილი იქნება, მაშინ მე დამშვიდებული მოვკვდები და მოვშორდები ამ წუთისოფელს... ვიცი თქვენს თვალში მხოლოდ საზიზღოობას წარმოვადგენ, როგორც ადამიანი და ქალი, მაგრამ როგორც დედას მაინც უფლება მაქვს მოვმართოთ ასეთი თხოვნით... უშველეთ უბედურს დედას!..“

მართალია სოფიო ბარათს ხელს არ აწერდა, მაგრამ ვალიკომ კარგად იცოდა ვისიც იყო ბარათი.

ღიღიან დატუსაღებისა და განშორებისა სოფიო მუდამ თვალწინ ედგა ვალიკოს. პირველმა მწარე წუთებმა დიდიხანია განვლო და ვალიკომ ანალიზი გაუკეთა ყველა მომხდარს. სოფიოს პიროვნებას ვალიკოს თვალში ჩამოშორდა ყველა ის საზარელი ჩრდილი, რომელიც საშინელმა დრომ და გარემოებამ სოფიოს მოსცხო, მხოლოდ რჩებოდა მაინც ერთი რამ: „რატომ იმ თავითვე არ გამომიტყდა, რატომ მიმალავდა, მატყუებდა, მაშინაც კი როდესაც ვგრძნობ შევუყვარდი ღრმად, გულწრფელად?..“

მაგრამ მიღებულმა ბარათმა და საშინელმა ტანჯვამ, რომელიც გამოსჭვიოდა ქალის წერილიდან ეს კითხვაც უკუაგდო...

ერთი კვირის განმავლობაში ვალიკომ ამხანაგების საშუალებით საქმე მოაწყო. სოფიოს ნათესავებს აცნობეს ამბავი და მათაც სიხარულით აასრულეს სოფიოს თხოვნა, წაიყვანეს მისი ბავშვი და ეს ამბავი ამხანაგებმა მიუტანეს ვალიკოს. ვალიკომ არ დაყოვნა და წერილით გაუგზავნა სოფიოს, რომელშიაც ამხნევებდა და ახარებდა შვილის ამბით. მაგრამ მისივე წერილი მეორე დღესვე უკან მიუტანეს და მსახურმა გადასცა: „ქალი გუშინ მომკვდარა და დღეს მარხავენ“-ო...

საბრალო დედამ შვილის ამბავს ვეღარ მოუცადა.

* * *

განვლო ხანამ. ახალგაზდა კომუნისტების ერთ ერთ ჯგუფის საერთო კრებაა. კრებაზე მოწვეულია ცნობილი კომუნისტი ვალიკო, რომელმაც მოხსენება უნდა გააკეთოს „უპატრონოდ დარჩენილ ბავშვთა საკითხის და მათი მოვლის ორგანიზაციის შესახებ“. ახალგაზდა კომუნისტებს პირზე ყველას ვალიკოს სახელი აწერია... ვაიხსნა კრება, გამოჩნდა ჭაღარა მორეული ვალიკო და იგრიალა ტაშის კვრამ... მოხსენებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზდა მსმენელებზე და სათანადო რეზოლიუციაც გამოტანილ იქმნა. დამთავრდა კრება და ახალგაზრდები შემოხვიეენ ვალიკოს, დაიწყო კერძო მუსაიფი, შეკითხვები... ვალიკოს თვალთ მიეპყრო ერთმა ახალგაზდამ. თექვსმეტჩვიდმეტი წლისა იქნებოდა, მეტად ლამაზი და მოხდენილი ყმაწვილი იყო . აცქერდება მას ვალიკო და თან აზრი უტრიალებს: „რაქენა ვის მაგონებს?.. თითქოს მინახამს სადმე... მეტადრე ეს ჟუჟუნა შავი თვალები... სად მინახამს?.. ან ვისა ჰგავს?..„ დარწმუნებულია, რომ ყმაწვილი ვიღაცას აგონებს.

„ამხანაგო, თქვენ რა გვარი ხართ? ვეღარ მოითმინა და შეეკითხა ვალიკო ყმაწვილს.

— შალვა მაისურაძე, უპასუხა ყმაწვილმა.

„მაისურაძე?.. თქვენი მშობლები?“ ხმის კანკალით ეკითხება ვალიკო და ეხლა კი მიხვდა ვის აგონებდა ყმაწვილი.

— დედ-მამა არა მყავს, მამა არ მახსოვს, დედაჩემი კი...“ აქ სახეზე სიწითლე მოეღო, ბავშვს თითქოს სიტყვა გაუძნელდა, მაგრამ თავს ძალა დაატანა და დაამთავრა: „დედა ჩემი ციხეში მოკვდა“...

თითქოს ვიღაცაც წაჰკრა ვალიკოს: „სოფიო ალექსანდროვნა?..“ ყმაწვილს ახლა თეთრმა ფერმა გადაჰკრა სახეზე, მაგრამ კვლავ ძალა დაატანა თავს. თვალი თვალს გაუყარა ვალიკოს და მტკიცედ უპასუხა: „დიახ, სოფიო ალექსანდროვნა!“

მეტად აღელდა ვალიკო. „თან აზრი უტრიალებდა: „იცის ყველაფერი, თუ არა?“

შეხედა ყმაწვილს თვალებში და წაიკითხა მათში, რომ იცის, ყველაფერი იცის დედ ს შესახებ, თავის ნორჩ წმინდა გულში განსაჯა იგი, გაიგო, მიხვდა ყველაფერს და მზად არის პასუხისათვის...

ი. გედევანიშვილი.

ᲡᲐᲚᲔᲦᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ.

ᲙᲐᲚᲝᲜᲝᲑᲐ ᲥᲘᲖᲘᲣᲨᲘ.

ᲯᲔᲠ ᲘᲡᲔᲕ ᲑᲜᲔᲚᲐ...
ᲛᲝᲣᲮᲨᲘᲠᲘᲗ ᲛᲐᲛᲚᲔᲑᲛᲐ ᲧᲘᲕᲘᲚᲗ.
ᲥᲕᲐᲖᲘᲡ ᲨᲘᲛᲙᲔᲗᲘ ᲬᲐᲛᲝᲛᲓᲒᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲘᲖᲛᲝᲠᲔᲑᲐ:
ᲝᲡᲢᲐᲢᲘ ᲪᲘᲡᲙᲕᲔᲨ ᲛᲬᲝᲚᲘᲐᲠᲔ ᲮᲐᲜᲢᲐᲓ ᲘᲫᲐᲮᲘᲡ:
„ᲪᲔᲪᲮᲚᲘ ᲨᲔᲣᲜᲗᲔ, ᲙᲐᲠᲔᲒᲐᲠᲝ!.. ᲮᲔᲓᲐᲕ, ᲗᲔᲜᲓᲔᲑᲐ!“
ᲕᲨᲘᲛᲝᲑᲓᲐ, ᲐᲕᲓᲐᲠᲛᲐ ᲐᲠ ᲛᲝᲒᲕᲘᲡᲬᲠᲝᲡ.
ᲛᲗᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲠᲩᲝ ᲐᲠ ᲓᲐᲒᲕᲘᲚᲣᲞᲝᲡ!
ᲕᲛᲣᲨᲐᲝᲑᲗ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲗᲝᲗᲮᲛᲔᲢ ᲡᲐᲐᲗᲡ,
ᲓᲐ ᲕᲔᲛᲣᲠᲘᲑᲝᲗ ᲫᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲚᲔᲬᲠᲐᲡ!
ᲧᲕᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲔᲓᲐᲮᲘᲡ ᲤᲝᲬᲚᲔᲑᲘᲗᲝ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲡ.
ᲮᲝᲒᲜᲘ ᲛᲝᲡᲣᲚᲐᲜ ᲓᲐᲙᲕᲐᲚᲗᲣᲚᲜᲘ... ᲡᲬᲣᲔᲜ ᲩᲘᲑᲣᲮᲔᲑᲡ.
ᲯᲔᲠᲔᲚ ᲮᲔᲚᲪᲐᲮᲝᲪᲘᲗ ᲗᲐᲕᲘᲡᲬᲐᲙᲠᲣᲚᲘ ᲘᲗᲘᲡᲚᲘ ᲢᲝᲛᲐᲠᲔᲑᲡ.
ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ: ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲛᲐᲜ ᲒᲐᲚᲔᲬᲠᲝᲡ, ᲘᲫᲔᲜᲡ ᲥᲝᲛᲐᲒᲔᲑᲡ.
ᲓᲘᲓᲘ ᲗᲐᲘᲘᲡ *) ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲡ ᲛᲝᲐᲥᲪᲡ ᲑᲝᲚᲝᲚᲘᲗ ᲐᲠᲐᲧᲘ.
ᲥᲠᲗᲐᲛᲡ ᲐᲠ ᲘᲨᲣᲠᲔᲑᲡ.
ᲰᲞᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲛᲣᲨᲔᲑᲡ ᲛᲡᲣᲥᲐᲜ ᲓᲔᲓᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲜᲓᲐᲣᲠᲔᲑᲡ.
ᲖᲔᲗᲘ ᲩᲐᲣᲨᲕᲐ ᲝᲡᲢᲐᲢᲛᲐ ᲩᲐᲠᲮᲔᲑᲡ.
ᲓᲘᲓᲘ ᲠᲘᲛᲔᲜᲘ **) ᲬᲐᲛᲝᲡᲣᲓᲔᲡ ᲡᲐᲚᲔᲦᲘ.
— „ᲠᲘᲗᲐᲖᲔᲐ ᲝᲠᲗᲔᲚᲘ! ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲗ ᲩᲥᲐᲠᲐ!“
— „ᲯᲔᲠᲘ ᲩᲔᲛᲘᲐ!“ ᲘᲫᲐᲮᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ.
ᲛᲐᲡ ᲔᲪᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲐᲚᲐᲚ-ᲛᲐᲚᲐᲚᲘ:
— ᲯᲔᲠᲘᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲒᲘᲗᲝᲛᲝ ᲗᲐᲕᲘᲗ ᲪᲝᲙᲘᲐᲚᲘ!
— ᲕᲘᲜ ᲮᲝᲠᲘᲠ ᲮᲐᲠ, ᲨᲔᲜ ᲓᲐᲒᲐᲜᲔᲑᲝ!?
— ᲓᲔᲓᲐᲡ ᲒᲘᲢᲘᲠᲘᲗ! ᲐᲑᲐ, ᲒᲐᲰᲢᲔᲓᲔ!
— ᲨᲔ ᲩᲔᲛᲝᲚᲐᲚᲐᲕ! ᲒᲣᲨᲘᲜ ᲛᲝᲰᲡᲣᲚᲮᲐᲠ...
ᲛᲔ ᲙᲘ ᲙᲕᲘᲠᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲡ ᲕᲔᲚᲝᲓᲔᲑᲘ!
— ᲙᲝᲭᲚᲝ!
— ᲩᲐᲗᲚᲐᲮᲝ!
— ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲙᲘᲜᲢᲝ!
— ᲨᲔ ᲡᲐᲮᲔᲓᲐᲔᲚᲝ, ᲨᲔᲜᲖᲔ ᲬᲘᲜ ᲛᲔ ᲕᲐᲠ,
ᲒᲘᲜᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲨᲔᲜ ᲒᲐᲓᲐᲡᲯᲐᲛᲝ?
— ᲩᲮᲣᲑᲘ ᲓᲐ ᲚᲐᲜᲓᲦᲕᲐ, ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲣᲨᲕᲔᲠᲘ.
— ᲗᲣ ᲔᲒ ᲥᲝᲤᲐᲙᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲡ ᲚᲔᲬᲕᲡ,
ᲛᲔ ᲐᲠ ᲕᲣᲨᲕᲔᲚᲘ, ᲛᲔ ᲐᲠ ᲕᲣᲨᲕᲔᲚᲘ!
ᲙᲐᲩᲔᲒᲐᲠ ᲧᲕᲘᲠᲘᲡ: ᲫᲜᲐ, ᲫᲜᲐ ᲛᲘᲔᲪᲘᲗ, ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲝ!
ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲘᲡ ᲔᲡᲛᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲘ.
ᲮᲔᲚᲗ ᲛᲝᲛᲐᲠᲯᲕᲔᲡ ᲡᲐᲮᲠᲔ ᲓᲐ ᲙᲔᲢᲘ!
ᲨᲔ..... ᲠᲐᲓ ᲛᲔᲪᲘᲚᲔᲑᲘ! ᲩᲔᲛᲘ ᲯᲔᲠᲘᲐ!
— ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲒᲐᲒᲘᲯᲘᲓᲝ! ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲮᲐᲠ ᲪᲔᲢᲘ!
ᲡᲐᲪᲔᲛᲚᲐᲓ ᲛᲣᲨᲢᲘ ᲛᲝᲣᲚᲔᲠᲘᲐ!
ᲨᲘᲒ ᲩᲐᲠᲘᲝᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲨᲕᲘᲓᲔᲑᲔᲑᲘ.
ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ ᲬᲘᲕᲘᲡ.. ᲨᲙᲘᲠᲘ ᲢᲠᲘᲐᲚᲘᲡᲐᲡ.
ᲚᲛᲣᲡᲘ ᲡᲐᲚᲔᲦᲘ ᲫᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲧᲚᲐᲞᲐᲕᲘ.
ᲮᲕᲘᲗᲘᲥᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲓᲘᲗ ᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔᲔᲑᲡ.
ᲛᲢᲕᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲑᲣᲥᲘ ᲓᲐᲦᲐᲛᲔᲑᲐᲛᲓᲔ.
— ᲒᲐᲓᲐᲡᲬᲘᲗ ᲜᲐᲛᲯᲐᲡ! ᲜᲣ ᲓᲐᲐᲒᲣᲑᲔᲗ!
— ᲪᲝᲢᲐ ᲨᲔᲐᲧᲔᲗ! ᲐᲛᲮᲐᲒᲕᲐᲡᲣᲜᲗᲘᲥᲗ.
ᲛᲖᲔᲛ ᲓᲐᲐᲭᲘᲠᲐ. ᲙᲚᲐᲕ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲗ.
ᲜᲐᲢᲠᲝᲑᲔᲗ: ᲜᲔᲢᲐ, ᲒᲐᲬᲧᲔᲓᲔᲗ ᲠᲘᲛᲔᲜᲘ!
ᲔᲠᲗᲘ ᲪᲣᲚᲚᲣᲢᲘ ᲨᲔᲰᲬᲐᲠᲕᲘᲐ ᲙᲐᲙᲚᲘᲡ ᲨᲐᲕᲘ ᲒᲠᲘᲚᲝᲡ.
ᲛᲐᲡ ᲓᲐᲘᲫᲔᲑᲔᲗ ᲒᲐᲤᲘᲪᲘᲪᲔᲑᲘᲗ!
— ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲘ ᲮᲐᲠ! ᲠᲐᲗᲐ ᲒᲕᲓᲐᲚᲐᲢᲝᲑᲗ?
ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲒᲓᲔᲗ ᲤᲝᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲛᲘᲗ!
ᲗᲣ ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲔᲗ ᲪᲐᲮᲔ ᲦᲠᲣᲑᲔᲚᲘ:
ᲨᲔ ᲣᲠᲐᲢᲠᲝᲜᲝ, ᲓᲐᲒᲒᲘᲪᲐᲚᲔᲗ!
ᲮᲕᲘᲗᲘᲥᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲓᲘᲗ. ᲐᲠ ᲩᲔᲓᲔᲑᲘᲐᲜ.
ᲙᲐᲠᲒ ᲐᲛᲘᲜᲓᲔ ᲒᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲨᲣᲠᲔᲑᲘᲐᲜ.
ᲠᲝᲛ ᲮᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲡᲐᲠᲩᲝ ᲓᲐᲐᲑᲘᲜᲐᲜ.
ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲘᲪᲮᲝᲕᲠᲝᲜ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲪ ᲐᲪᲮᲝᲕᲠᲝᲜ!

1921 Წ. **ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲨᲐᲜᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

*) ᲗᲐᲘᲘᲐ—ᲔᲠᲗᲐᲓ ᲨᲔᲣᲭᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲫᲜᲔᲑᲘ.
**) ᲠᲘᲛᲔᲜᲘ — ᲚᲐᲛᲑᲘ ᲗᲐᲡᲛᲘᲡᲐ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაძვნარის დევი.

(ისტორიული).

და შეჰქმნა კაცი მიწისაგან და შთაბერა პირსა მისსა სული სიცოცხლისა.

* * *

ალგეთის მარცხნივ, გუდარეხის მწვერვალის დასწვრივ, შენდებოდა დიდებული ეკლესია იმ სამლოცველოს მაგვარად, რომელი დაჰნაკლებოდა ქრისტიანობის პირველ ხანში კერპთა სავანეს. ხევის პირი ამ ადგილას უჟრო ვაკეა, დაღმართი ნელ-ნელა დაშეებული, თანითანობით. ხეს რომ ამოხვალ და გაივაკებ, უხე წყაროს ჭნაბაე გადმომდინარეს. ამ წყაროს გვერდზედ შემზადებინათ ტაძრის ადგილი: დაესწორებინათ, ჩაეკირნათ, საძირკველი დუღაბით ჩაეყარნათ; ღრმა სარდაფი დაეტანებინათ გელაზებით ამოტანილი. ვიწრო ხვრელით უერთდებოდა იგი ჯურღმული დიდს გვირაბს, რომელს გაევლო მთა და გასულიყო ქართლისაკენ მიმართულ ხევში. წყაროსთან პირი ექმნა გვირაბს, მერმე ისევ ღრმად ჩასდეკლო, თვით ტაძარი და დიდძალი მასალა იყო საჭირო სხვადასხვა გვარი. კარგა ხანი იყო, რაც ტაძრის ტანს აგებდნენ. კედლები, სვეტები, თაღები, დერეფნები უკვე აეტანათ და შეეკრათ. შენობა არ იყო ერთობ დიდი, არც მეტად მაღალი, ცოტა მძიმეც მოსჩანდა თვალთათვის; მაგრამ ისეთი მკვიდრი და ძლიერი, რომ მის შემხედველ დროთა დენას ყოვლის დამრღვეველს გული უწუხდა: იგი თამამად შეებრძოლებოდა სტიქიონთა დამშლელ-დამხრწვნელ მოქმედებასა.

უკვე დრო იყო ალმართათ იგი გუმბათი, რომლის საფუძვლად აგებულ იყო მთელი შენობა: ის თვით ცა იყო შენობისა, მისი მიზანი, მის მიზანი, მის მედიდურად დაგვირგვინება. დღე დღეზედ მოელოდნენ ამ ძნელი საქმისათვის დიდ ოსტატს ბაკურ ბერდაიულსა.

* * *

ბაკური აქამდისინ მხოლოდ შიგადაშიგ დაჰხედავ-

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ.

სამგლოვიარო პროცესია პარტიულ კომიტეტიდან პარიზის კომუნის მოედნისკენ.

და ალგეთამდინა. უმთავრეს გვირაბს უერთდებოდნენ სხვა ხვრელები, რომლებს დაექსელათ მთელი კვირნავი ალგეთისა და მის მარცხენა შემდინარეს შუა.

გუდარეხის მწვერვალზედ, პატარა წყაროსთან, უწინ იმ ზეგანის მცველი კერპი იდგა. ეხლა იქ უზარმაზარი ჯვარი ამმართათ მთოლან ქვიდან გამოკვეთილი: „გულდამაანთ მამიდა“ სასწაულთმოქმედი. მწვერვალისა და გვირაბის პირის ანგელოზები ღამ-ღამით ნათელ ბირთვებად თუ ცეცხლის შუბებად გადად-გადმოდიოდნენ ერთმანეთში, მეტადრე ელვა-ჭექის დროს.

შენობის მახლობლად მთელი თაექვე მოდებული იყო ალგეთის პირზედვე მოჭრილ უზარმაზარ ლოდებით. სხვანაირი ქვაც ბევრი იყო შორიდან მოტანილი. მარმარილოს ზოდებიც სჩანდა. შენდებოდა ციხე—გალავანი, სამდა სამუშაოს და ჰხელმძღვანელებდა შენობაზედ მდგომ ოსტატებს. არ ეცალა: მრავალი ციხე-დარბაზი თუ ეკლესია შენდებოდა ქართველთა ამ მყუდროდ ცხოვრების დროს და ყველგან საჭირო იყო ჰაზრიანი თვალი შემოქმედ ხუროთმოძღვრისა. შენობებში საფრთხილო ადგილს მაინც თითონ აგებდა თავისი ხელით: ვერვის ანდობდა. დიდად განვითარებული და გამოცდილი იყო იგი ხუროთმოძღვართ უხუცესი. ბიზანტიაშიც იცოდნენ მისი სახელი. ბატონი მეფე ამაყობდა, რომ იმისთანა ხელოვანი ახლდა მას. მისი ანაგები შენობები დღესაც აკვირვებენ ადამიანს. მისგან შეზავებული დუღაბი ქვაზედ მაგარია. ამ დუღაბით შელესილ კედელს მარჯვენას დააჭდობდა. ეხლაც იხილვის მის ხელის სახე უშლელად. მონასტრის აღაპებშია ბაკურის სახელი შეტანილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულდასმით დაათვალიერა შენობა. არ დაიწუნა. მხოლოდ მოაშლევინა გუმბათის ფუძე, რომელი ზევით განიერ გრკალად შემორტყმოდა ერთად თავმოყრილ სვეტებს თუ კედელ-თაღებსა.

— ამ სარტყელზედ უნდა დაეყრდნოს გუმბათი მთელის თვისის სიმძიმით, იგი კი.... აბა, ონისე, გახედე ამ კვარცხლბეკის წრეს, თუ შეატყობ რასმე.

— უკვე ონოფრე, ბატონო ბაკურ!..... აგერ მარჯვენივ წრე ოდნავ შემრუდებულია თითქმის ერთს წყრთაზედ.

— მხოლოდ უნაკლულოდ მომზომელი თვალი და უტყუარი ალღო შეჰნიშნავს ამას! ეგ სიმრუდე, თითქმის შეუმჩნეველი, მთელ გუმბათს შეარყევს ოდესმე, საუკუნეთა განმავლობაში. აქ არც ერთი ხაზის გამრუდება არ შეიძლება! ქრთილის ტოლი რაიმ მანკი მთელს ტანს შეჰლახავს.

ლენინი მიტინგზე 1921 წ.

— როგორადაც მწყობრ სიმღერაში.

— სწორედ! გუმბათი ქვით ნთქვამი საგალობელია ამმაღლებელი.

თითონ დიდი ოსტატი დაადგა გუმბათის ატანას.

— ონისე! ქვის გამოყვანას ეხლა სხვას ვეღარავის ვანდობ. აირჩიე საუკეთესო ხელოსნები. მათგან გამოთლილმა ყველა ნაჭერმა მაინც შენ ხელში უნდა გაიაროს და ისე მომაწოდონ ზეკვით. ჩემი იარაღი იხმარე. სხვას კი ნურვის ჩაუგდებ ხელში.

რა იარაღი იყო! ბევრნაირი; სულ შეწყობილი.

მუშაობდა დაკვირვებით დიდი ოსტატი. არა ჩქარობდა. მის ხელში ქვის გარშემორტყმა თვითეულ სრედა ახალ სახედ შეამკობდა ნაგებ სიმაღლეს, ანეითარებდა მწყაზარ მის ტანს, მისსა მშვენებას. ისეთი სისწორით ნაკეთები მასალა მოსდიოდა, რომ დიდს ოსტატს აღარ სჭირდებოდა ჩაქუჩით შეჰხებოდა მას. უნაკლულოდა ჯდებოდა მასალა თავის ადგილში. ონოფრე მხოლოდ ხანდისხან მუშტრის თვალით ათვალიერებდა ოსტატის ხელოვნებას, რომ ვარაუდი გაეწიენა და ჰანგი არსად შეეშალა უფროს მქმედისთვის.

* * *

ამ ციხე-ეკლესიის აგებას ერთგულად ეკიდებოდა ხალხი: სამღთო საქმე რომ მზადდებოდა. სულის საიხი, შენდებოდა ნივთიერი კეთილყოფის ზღუდე-სიმაგრეც. გარემო სოფლებს დაკალებული ჰქონდათ შეჰშველებოდნენ: ქვისა თუ ხე-ტყის მოზიდვა, მუშა ხელია მიშველება. ხალხი უამურად არ ასრულებდა ბრძანებას; ბეგარის გარეშეც ეხმარებოდა ორსავ ცხოვრებაში დამხმარ კარგ საქმეს. ეხლა, როცა დიდი ოსტატი თითონ მუშაობდა აქ და შენობა უნდა მალე მოთავებულიყო, უფრო მეტი ხალისი და ერთგულობა გამოიჩინეს. ხევის თავადი კვირიკე კაკათელი, უმთავრესი მზრუნველი ამ დიდ საქმეში, მთლად ყურადღებად გარდაიქმნა: ულუფას აწვდიდა; თითონაც ხშირად დაჰხედავდა და ამხნევებდა. გაისმა ხმა, თავადის მეუღლეს მოუსურვებია შენობების ნახვა, ქალიც მოჰყავსო მზეთუნახავი მირანდოტი. უამათ ოსტატებს: სტუმრობა სახეირო იქმნებოდა პირად მათთვის და ტაძრისათვისაც; დაპსაჩუქრებდნენ მშრომელთ, შესწირავდნენ საყდარს, გაამშვენებდნენ. მზე საშუადღეოზედ იყო, რომ გაისმა ხმა:

— მობრძანდებიან ბატონები!

— ქალებიც მოჰყავთ?

— ალბათ! ტახტრევანდები მოჩანან.

უნდოდათ ხელი აეღოთ სანუშაოზედ და შეჰგებებოდნენ მომავლებს, მაგრამ დიდმა ოსტატმა არ ინება.

— შრომაშივე გვნახონ ყველა თავის ადგილას! გადმოსძახა.

მივიდნენ, დაიარეს, გასინჯეს. თვალი მოსჭრა გუმბათის ნაქკომმა და აღნაგობამ, თუმცა ჯერ ხარაჩოში იჯდა იგი.

— უნაკლულო წრედ არის მოვლებული გუმბათის ძირი.

— ხომ ქვისა არის მთელი ყელი, მაინც მსუბუქი მოსჩანს ყარყარა, თითქო ბოჭჯებს არ აწევს, თავისითა სდგას.

— ჰაეროვანია ეს მკვიდრი გვირგვინი შენობისა. ჯადო ოსტატის ხელში ქვას ფრთა შეუსხავს, თითონ წასული მაღლა მაღლა, ეთერზედან სდგას.

ოსტატს იამა ესეთი შეფასება თვისის შემოქმედებისა და განუმარტა:

— ტაძარი ღვთის სახლია ცაში მყოფისა, ჰხამს ზეცისაკენ ეწეოდეს კაცის ფიქრსა; ხოლო გუმბათი... ცას უნდა ჰგავდეს მეუფის სამყოფს!

— გრძნობას მარად აამაღლებს ხილვა ამისი!

— მთლად მე ნუ მიმაწერთ: მასალას ჩემი შეგირდი მიმზადებს ონისიმე და ისე მოწყობილად, რომ ბევრი მოსაზრება და აწონ-აზომა აღარ მჭირდება: მადლიანი ხელი აქვს დალოცვილს.

— მწერი ონოფრე? არ უნდოდათ გამოეშვათ მონასტრიდან, მაგრამ ვუბრძანე და მაახლეს.

შებრძანდნენ, სადაც მუშაობდა ონისე. ტანკენარი ასოსავით წამოიმართა, დახარა თავი ბატონთ წინაშე. წამოეშალა დანაკეთილ შუბლზედ ჩაგრეხული თმათა ტეკრები, ბოლოშეხრილ მშვილდებამდინ დასწვდა ფაფარი. გადაისვა მარჯვენაი ურჩ ბუნჯგლებზედა. ნთალი თითებით შემკული თათი სამკაულად აისახა მუქ ბარდებზედა. როსტომისებურ მხარ-ბეჭითან ახალგაზრდას მწირის სამოსი საბატონო ტალავარად დაჰმშვენებოდა; ტყავის ქამარი ვიწრო წელზედ სამეფო სარტყლად. პასუხს ვეღარ იძლე-

ლ. ტროცკი, ვ. ლენინი და კამენევი 1920 წ. მიტინგზე.

ოდა აღელვებული; ენა ებმოდა. მარცხენა ხელით ახლად აშლილს წვერს ებრძოდა, ულვაშს არხევდა. მის დანახვაზედ ქალის ბაგეს აეთვისა ღიმი დამცინი, ხოლო მის თვალნი განცვიფრებამ დაადიდრონა. შენიშნა მწარმა; უნებლიეთ ჩაკვირდა ქალწულის სახეს, მის მეტყველ თვალებს, უნაკლულო აღნაგობასა. გასცდნენ. გადიარეს ონისესთვის ძნელმა წუთებმა.

— მთლად ახალგაზრდა ყოფილა შენი ნაქები შაგირდი.

— ოცდა სამი-ოთხი წლის ჭაბუკი გახლავსთ.

— ბერად შედგომა მაგისთანა ვაჟკაცისათვის!

— არ დაიშალა: ბერი ბიძა აგულიანებს. დიდი ნიჭი აქვს. გამიგზავნეთ ბიზანტიას განსასწავლადა, შეაედრეთ ბატონ მეფესა.

— დაამშვენებდა ჩემსა ეგ რაზმსა. რა ძლიერი სჩანს! მოუხდება აბგარ-აბჯარი.

მამას ეთანხმებოდა ქალი თვის გულში: შეუდარებელი რაინდი დადგებოდა იგი მწარი ქალის ფიქრითაც.

* * *

წავიდნენ სტუმრები. კიდეც დაივიწყეს ეს შემთხვევა. მხოლოდ ონოფრეს ვეღარ დასცალდა იგი. არა! დაივიწყა იმანაც ყველანი და ყოველივე, გარდა მოღიმარე მზეთუნახავისა, გაკვირვება რომ ჰსახოდა ლამაზ თვალებში. ვეღარ მოჰშორდა იგი ქალი მის გონების თვალს; მარად წინ ედგა, ნამდვილ ის იყო.

— ხსოვნისაგან ანახაზი მისი აჩრდილი.

— არა! თითონ ის ქალი ხორცშესხმული! ოდნივ ღიმის; ანათებს თვალებს.

ახალგაზრდას მისი მახვილი მეხსიერება მიმკრთალ სახეს არ უჩვენებდა სინამდვილისას, აჩრდილს ფერმიხდილს; მისი ხსოვნა თითონ საგანს ინახავდა თვის სალაროში და ისეე ცოცხლად წარუდგენდა ხანთა შემდეგა: გაიღებოდა თილისმინ საკინის კარი, გამოვიდოდა ფერუცვლელი პიროვნება, ნივთი, ქმედობა. ცოცხლად მოეევლინებოდა მწირს იგი ქალი, ნივთიერად: ჰხედავდა ტურფას, ჰყნოსდა იგი ყვავილოვან ხორცთ სუნნელებას, მიესმოდა აღტაცებულს იმისი სუნთქვა, მისი ხმაური; მკლავსაც მოჰხვევდა, შეიგრძნობდა თვით შეხებასა, თუ გაებედნა.

გრძნობდა ცდუნებას; შეეცადა დავიწყებასა; ბევრჯერ ილოცა; თვით ჩვენებას ეეედრებოდა.

— განვედი ჩემგან, მაცთურო ჩემო მშვენიერო, სულზედ უტკბესო!

ვერ გასჭრა ვერამ! სულ თვალთ წინ ედგა ტურფა ქალი ბერობად მიხრილს. დახე ცოდვასა: არ აღონებდა მოჩვენება, სევდას არ ჰგვრიდა; სიმხიარულეს მიუბყრობდა ყვავილოვანსა, უბრყვილო რამ დაამებას მტკივნეული გულს.

— კვლავ მოხვედ ჩემთან, სახიერო, არ დამივიწყე?! რა კეთილი ხარ! არ უკადრისობ; გებრალები ვიღაც მწირი ცხოვრებიდან გაბიჯებული...

არ უშლიდა მუშაობას; კიდეც ჰშველოდა: ახალი. სებდა.

— და აჩრდილი მწირს შრომის ჟამს ეხმარებოდა?

ძლიერ ცდილობდა მისის ეშხით უნაკლულოდ ესრულებინა საქმე ნატვირთი. ეს აამებდა ტურფა ჩვენებას: მოვიდოდა, დაჰხედავდა; მოუწონებდა; მის თვალებში გამხნევებას შენიშნავდა, ლამაზ თვალებში. რა დიდი სასყიდელი იყო ეს მისთვის! მთლად კანკვიფრებული იყო დიდი ოსტატი ონისეს ნამუშავარით.

— არ მეგონა, ესეთის სისწრაფით დახელოვნდებოდი. ოღონდაც რომ დიდი ნიჭი მოეცა შენთვის შემოქმედს. ძლიერ ვეცდები სამზღვარ გარედ გაგაგზავნინო, თვით ხელმწიფე მობრძანდება და მასაც შევთხოვ.

მხოლოდ ის აჯავრებდა ბაკურს, რომ მისი ძვირფასი შაგირდი არაფერს ხალისობდა: საერთო მხიარულებაში არ ერეოდა, კიდეც ერიდებოდა ხალხს, თანამშრომელ ოსტატთანაც ცოტას იტყოდა. განმარტოებით დადიოდა ჩაფიქრებული.

* * *

დროც აღარ ჰქონდა ეხლა ონოფრეს: ორნაირი სამუშაო გასჩენოდა ერთმანეთზედ უფრო საფრთხილო; გუმბათის ქვის ლარს რომ აელებდა, აყალიბებდა და უნაკლოდ დათლილს აწყობდა; ზოდსაც ჭკერჩნიდა, ჰსთლიდა, ჭკვერავდა, რაღაცა სახეს აქანდაკებდა. ამ საშრომს არვის უჩვენებდა; განცალკეეებით მუშაობდა: არდაგებით დაეფარნა უცხო თვალისგან.



ვ. ლენინი სიტყვით აკილებს წითელ ჯარს პოლონეთის ფრონტზე.

— დაუძახე ონისიმეს: საღილის დროა.

— ვიყავ, უთხარი; ხმა არ გამცა, თითქო ვერ ესმის.

— რას აკეთებდა?

— თეთრ ქვას ჭკვერავდა.

ნელნელა ისახებოდა ონისეს სამუშაო, გამოდიოდა განუკვრეტელ რაიმ ჯანღიდან არ არსებობის; ახალახალ ნაქვის ისხავდა ოსტატის ხელში; იკრიბებოდა, მატულობდა ნათალ ქვაში მისი მზგავსება, ვისიც დასახვა ჰსურდა სურვილით ახალ ოსტატსა. და წარმატება ხალისს აძლევდა მოქმედ ხელოვანს, ჰმატებდა ძალას, შრომის უნარს მიაწოდებდა.

გადიოდა დრო. ყელყელობდა გუმბათის ყელი. კიდეც დასრულდა ლამაზ სვეტად შორით მჩინარი. შეუმჩნეველად გრკალდებოდა ყოველ მხრიდგანა; ეწყობა საფუძველი გუმბათის ცასა, "თითონ კამარას" ადონაის საკანედ ნაწესს.

სრულდებოდა მარმარილო, ინაქვთებოდა. დრუნგილის ქალი! როგორა ჰგავს იგი მზიას, თვის პირველ სახეს! და შეჰქმნა კაცი მიწისაგან! მაგრამ... მხოლოდ ტანი მისი, ხორცი თუ ძვალი, ნივთიერი მისი სხეული. სახეა მისი დიდებულად გამოყვანილი, მაინც უსულო, უსასკო, ლოდის ნაკვეთი. სიცოცხლე მოეც, სული ცხოველი! ან... წუთსაც დაიმსხვრეს, არ არსებობდეს!..

ვ. ლენინი და მისი და მ. ი. ულიანოვისა.

— ონისიმე! უნდა მაჩვენო, რასა ჰმუშაობ.

— არა, ოსტატო! უსულო არის და შეურაცხ ჰყოფს ვისაცა ჰხატავს, ქალწულ მშვენებას.

— ვერ ნესმის კარგად.

— შენგნით ნაშენი თუნდ ეს გუმბათი, მით არის კარგი, რომ ცოცხალია: გაგრძნობინებს, თვით გაცნობს, გეტყვის. მანამდისინ კი...

— მანამდისინ კი ყორეა მხოლოდ, თუნდაც მაგარი: შემოქმედს ხელი ვერ შეუხია.

— მას გავაკოცხლებ, შთავბერავ სულსა!.. მაინც, ოსტატო, ეს საშრომი როდი მიშლის ჩაბარებულ საქმის კეთებას. თუ აღარ ხარ კმაყოფილი ჩემის ნაშრომის?

— რას ამბობ, კაცო! აღტაცებაში მოგყეევარ ამ ბოლო ჟამსა. ესე დიდი წარმატება ამ მცირე ხანში?!..

და ლოცულობდა ონისიმე, ევედრებოდა დიდ შემოქმედს, მიეცა ძალა, რომ შესძლებოდა ჩაედგა სული იმ სახეებისთვის, მისგან შექმნილ მშვენიერისთვის. ჩაკინებით ჩაჰყურებდა ქვისგან ნაკვეთ ლამაზ აღალმას, გარნა უსულოს.

— მომმადლე ძალა, შემოქმედო, მომეც ნიჭი სასწაულისა და გმსახურებდე სიკვდილამდე, შეგწირო სული.

— ოცნებაში ჰხედავ სახეს სიცოცხლით სავსეს?

— ეხედავ, დიდო შეპოქმედო! ეჰა, მიღიმის.....

— იმოქმედე, ნუ დასცხრები, სცადე მრავალ გზის!

და ეჭირა საჭრეთი კვერი და ჩაჰყურებდა აღგზნილ თვალებით ქანდაკებას ჯერეთ უსულოს.

— ამოძრავდნენ, შემოქმედო, ტუჩნი ესე მზეთუნახავის, ჩჩვილის ღიმილით გაეპოს ბაგე ვარდს აკოკრებულს! იტყოდა მწირი.

და სიოს სინაზით შეახებდა მჭრელ ხელსაწყოს ბაგეთ არესა.

— გაიღიმა!..... მისმინე, ღმერთო?! ბალღის ღიმილი

ქალის სახეზედ! ღიმის სინათლე ეფინება მწყაზარ ღაწვებზედ, მიდის თვალთაკენ.... ახ, ეს თვალები....

— მიეც მათ სხივი სიცოცხლისა, შემოქმედო ყოვლად ძლიერო! იტყოდა მწირი.

და სიოს სინაზით შეახებდა მკრეელ იარაღს თვალთა არესა.

— აანდა შუქი! აელვარდა ნაპერწკალი ცნობიერების! მოღიმარე განცვიფრება შუქურ თვალებში!....

და შთაბერა პირსა მისსა სული სიცოცხლის!

* * *

— გუმბათის ცა იწურება, მალე შაიკვრის.

— ონოფრემ ბევრი დახმარება გაუწია დიდ ოსტატს ამ ძნელ საქმეში.

— მართალია! თითონვე ამბობს ამას ამბაკო; მადლობელია.

— ისეთი ხელოვანი გამოდგა ონისე, რომ ბატონის ქალის სახება გამოუკვეთნია მარმარილოდან.

ვ. ლენინი 1921 წ.

— ვიცი! შენობების დათავებისას რომ დღესასწაულს გამართავენ, მაშინ მიართმევსო ქანდაკების ზღვნად.

— გადამეტებულსაც ამბობენ: იმ ქვის სახებას თურმე ლოცულობს; მიწას გართხმული მის წინაშე ბევრს უნახავსო.

— ხატი იქნება, თუ ეკედრება. ყოველად წმინდა ქალწულის სახე თუ გამოკვეთა.

— გავიგებდით, თუ კი ვნახავდით; ძე ქრისტიანის არვის უჩვენებს!

— შეუჩადრია, ისე ინახავს. დროს რომ იპოვის სამუშაოდ, მაშინ ღა გახსნის. ახლოს მაინც არავის უშვებს, მეტადა ჯავრობს.

ეს ამბავი იცოდნენ კიკეოელთა ოჯახშიც და მიელოდნენ საიშვიათო ზღვენს. ბატონ კვირიკეს ალეთქვა ბაკურისათვის, დიდ ყურადღებას მიეაქცევო მაგ ნიჭიერ მწირს. მწყობრად მიდიოდა ყოველივე; ბედნიერად დათავდებოდა, თუ ეშმაკს არ შეშურებოდა და ბნელით არ დაეფარნა იგი ნათელი.

მონასტერშიც მივიდა ონოფრეს ამბავი. წინამძღვარმა და ქრისტეს ¡მიერ ძმათ მადლობა შესწირეს უფალს, რომ მათ შორის აღმოჩნდა რჩეული, რომელმაც სახელი გაითქვა საეკლესიო ხეროთ-მოძღვრობაში. იმედი იყო, მისი მარჯვენა დაამშვენებდა დიდებულ ტაძრებით ბევრს მხარეს ღვთისმშობლის ხვედრის საქართველოსი. ეს მწირის ბიძამაც სასიამოდ მიიღო, მაგრამ მეტი ყურადღება მიაქცია იმ ამბავს, რომ მის დისწულს კაცის სახე გამოეკვეთნა ქვიდგან და .... თაყვანსა სცემდა.

— ქვის ხურო რომ ლოდს გასთლის და სახეს გამოიყვანს ეკლესიის დასამშვენებლად: ჯაჭვით დაბმულს ლომს-ბელიარს, მსხმოიარე ვაზს იეროს, რომელი არს ვენახი ჭეშმარიტი, კეთილ რამ ყვავილს სამოთხისას, ეს წესი არის და მისახვედრი. მაგრამ ქალის გამოკვეთა მარმარილოდან და მის წინ დიდი აღტაცება ჭაბუკისაგან... სხვას ვხედავ აქ მე. დაიხსენ, ღმერთო, სულიერი შვილი ჩემი ცთუნებისაგან! სთქვა ბერმა.

და ჩაიცვა ქალამნები, აიღო კვერთხი, დაადგა გზასა: თავის თვალით უნდა ენახა ყოველივე მივიდა. შეევიდა ონოფრესთან.

— მშვიდობა შენდა, საყვარელო შვილო ჩემო!

— მშვიდობა თქვენს მობრძანებას, ღირსო მამაო. გვაკურთხენ!

ბერმა აკურთხა. ეამბორა. ჩამოჯდა ქვაზედ. მიაელმოავლო თვალი ფარდულსა. ქვები ელაგა დათლილ-დაკვერცხილი.

— ეკლესიისა?

— დიაღ, მამაო!

— შეგიწეროს! მიხარის: ღმერთს ნიჭი მოუცია შენთვის, ჩემო დისწულო. მოვიდა ხმა, ქვიდან წმინდანის სახეც გამოვიგზრია.

მწირი შეჰკრთა, ფერი ეცვალა; პასუხი ვერ გასცა.

— მიჩვენე, შვილო საყვარელო! მიამეცა რომ დავინახავ კეთილს გზაზედ შენს წარმატებას.

სდუმდა ონოფრე; ადგილიდან აღარ იძროდა. ბერმა რიხიანი სახე მიიღო და უბრძანა, დამორჩილებოდა. მწირი ნაჩვევი იყო ბიძის ბრძანებაზ ასრულებას და დამორჩილდა! გადაჰხადა დაფარნები თვის ნამოქმედარს. ბერი დააკვირდა. განცვიფრება აეხატა სახეზედ. შუბლი შეიკრა. ბოროტი ცეცხლი აეგზნო თვალებში.

— ახალი სახე ძველის კერპისა!

— ბატონ კვირიკეს ქალის სახება.

— თვით ბელზებული იმ ქალის სახით!

— რა ბრძანებაა?!

— არა ჭქმნა თავისა შენისა კერპ! თუ დაგავიწყდა, შე უბადრუკო, ვითარ მოიღო მოსემ კერპი იგი, რომელ ჭქმენს ძეთა ისრაილისათა, და დამუსრნა იგი წვლილ-წვლილად?

მწირი უსიტყოდ იდგა განრისხებულ ბერის წინ: გამოუთქმელმა ჯავრმა კრიჭა შეუკრა. მისმა დუმილმა უფრო განარისხა მსახური ღვთისა. წარსდგა ნაბიჯი. ჰაერში ჯვარი გამოსახა ქანდაკების წინ. წარსთქვა:

შეიმუსრნეს ნიშითა და სასწაულითა ჯვარისათა ყოველნი წინააღმდგომნი, ძალნი!

და დასწვდა ჩაქუჩს. ელდა ნაცემმა მწირმა შესძახა

— არა კაცს ჰკლა!

და გადაფრინდა მისკენ.

გვიან ღა იყო: მოხედა რკინა მარმარილოს. დაიკვნესა ქანდაკებამ და შეიმუსრა. მწირმა შეჰკივლა განწირულად და დაეცა ნამსხვრევების წინ.

— და მეყსეულად სულმან არაწმინდამან დაიკვეთა იგი! წარსთქვა ამბაკომ.

მიეშველნენ. აბრუნებდნენ. მოსულიერდა. ადგა, აკრიფა ნამსხვრევები, შეკრა არდაგში და გაემართა. გასცდა ეზოს, ტაძრის გალავანს. მიდიოდა აღმა-აღმა. მიეფარა ხშირსა ნაძვნარსა.

— მიდის შემცოდე მონასტერშია! იქ მოინანებს! დაასკვნა ბერმა.

და დამშვიდდა. სხვებმაც მეტი ყურადღება აღარ მიაქციეს ამ ამბავს. თანდათან დაივიწყეს. არ ივიწყებდა მხოლოდ დიდი ოსტატი. ის ეხლა უფრო მტკიცედ დაადგა თავის განზრახვას: გამოეტანა ეს ცხებული მონასტრიდგანა ძალის მექონთ შემწეობათა და გაეგზავნა განსასწავლად სამხღვარ გარეთა. მწირი არ მისულიყო თვის მონასტერში, ეგონათ, სხვა რომელსამე სავანეს თუ შეეფარაო. არც ეს გამართლდა: არსად აღმოჩნდა.

—:—

გაიარა დრომ. გავიდა ხანი. დიდ ნაძვნარში გამოჩნდა დევი. საშინელი დიდი იყო ნაძვნარის დევი. წვერულვაში და ჯაჯი თმა წელამდი სსცემდა. ტყაპუჭი ჰქონდა ტანთ მოხვეული. ყავარჯენად გალოპრილი ნაძვი ეჭირა. ბევრმა ნახა ალგეთის პირს, გამოქვაბულში, ულრან ტყეშია. უწყინარი დევი იყო: ადამიანს, არც საქონელს არას ერჩოდა. ეს იყო ძნელი: მოსწვდებოდა, ვისაც ნახავდა, შეაყენებდა, ცეცხლის თვალებს ჩაშტერებდა და... გაუშვებდა.

— სჯობს, არ გაეკეცე: ძალიან ჯავრობს.

— ან სად წაუხვალ საშინელ დევსა?!

ყამოთიყამად გაისმოდა ულრან ტყეშა, მღკიმეებში, თუ მდინარის პირს დევის ქვითინი საზარელი, ხანაც ხარხარი: ნაძვნარის დევი ხან ტიროდა, ხან იცინოდა.

ვასილ ბარნოვი

ვ. ლენინის დაკრა ს.-რევოლიუც. კომიტეტის ქალის მიერ 30 აგვისტოს 1918 წ.

ლ ე ნ ი ნ ი კ უ ბ ო ს ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის მუშათა მთავრობა



1) რამზაი მაკდონალდი — მინისტრთა თავმჯდომარე, სალაროს პირველი ლორდი და გარეშე საქმეთა მინისტრი, 2) სიდნეი ვებ—ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი, 3) სნოუდენ—ფინანსთა მინისტრი, 4) კლაინს, ლორდი—ბეჭდის მცველი, 5) არტურ ჰენდერსონ—შინაგან საქმეთა მინისტრი, 6) ქ. ვედჟვუდ—კანცლერი ლანკასტერის სამთავროსი, 7) ლორდ ხოლდენ, ლორდ—კანცლერი, 8) ტომას შოუ—შრომის მინისტრი, 9) დ. უიტლი—ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი, 10) ტომსონ—ჰაეროსნობის მინისტრი, 11) ს. ოლივიე, მინისტრი—ინდოეთის მმართველი, 12) ლორდ პამრურ—მეფის საბჭოს თავმჯდომარე, 13) ტრეველიან, განათლების მინისტრი, 14) ხარტსხორნ—ფოსტის მინისტრი, 15) ფოლშ—სამხედრო მინისტრი, 16) ტომას—ახალშენთა მინისტრი.

ᲔᲥᲕᲡᲘ ᲓᲦᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲘᲕᲘᲬᲧᲔᲑᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ.

თითქოს გუშინ ნადეედა კონსტანტინოვნა ამბობდა „ყველაფერი კარგად მიდის. ინადირა. მე არ წამიყვანა, ძიძა არ მჰირდებაო. დროს ტარებაც (წიგნების კითხვა) რიგზედაა. სულიერი განწყობილებაც კარგია— ხუმრობს, ხარხარებს. ექიმებიც ეხლა იმას ამბობენ, რომ ზაფხულისათვის ლაპარაკს შეიძლებესო...“

და ექიმებიც ამას ადასტურებდნენ.

ეხლა კი დავგირეკეს: ილიჩი გარდაიცვალაო...

... ერთი საათის შემდგომ ჩვენ მავეშურებთან გორკში უკვე გარდაცვლილ ილიჩთან: ბუხარინი, ტომსკი, კალინინი, სტალინი, კამენევი და მე. (რიკოვი ჩაწვა, ავადაა). მიედინართ ავტომობილით.

წარსულში, როდესაც ილიჩი კარგად იყო, როგორ მიმეჩქარებოდა ხოლმე გორკისაკენ ილიჩის დაძახილზე— თითქოს ფრთები მესხა! ეხლა კი...

შევაჩერით ვარსკვლავებს. ეცდილობთ სულ გარეშე ზე ლაპარაკს. ილიჩი გარდაიცვალა, რა მოგველის, რა იქნება? გზა კი ისე გრძელია—მთელი ორი საათი უნდა. გზა შეკრულია თოვლის გორებით. ტელეფონის მავთული ზარსა სცემს. არე ნათლითაა მოსილი. კაშკაშა ღამეა.

აი სოჭელი გორკი. ალაფაფის კარებთან უკვე ჯგუფებს თავი მოუყრიათ— ეს ამხანაგები ორიან ლენინის მცველ რაზმიდან. ისინი ფიჭვის შტოებით ჰვენენ გზას იმ სახლამდე, სადაც ასვენია ილიჩი. მახსოვს ამას წინად რამდენიმე კვირით ადრე მე, კამენევი და ბუხარინი ფინჯრიდან პარკს გავსცქერიოდით, როდესაც ვლადიმირ ილიჩ სასეირნოდ მიჰყავდათ. ალერსიანად, კეთილ ილიჩისებურ ღიმილით ის გაბედული ხელით თავიდან ქუდს იხდიდა, რომ მისალმებოდა სწორედ ამ ამხანაგებს, თავის მცველებს. როგორ გაუბრწყინდათ ამათ სახეები. როგორის სიყვარულით შეჰყურებდენ თავიანთ ილიჩს ეს ბუშები, რომელთაც ბავშვებივით უყვარდათ ის... დღეს კი ეპათ თავი ჩაუღუნიათ, ერთმანეთს ეკვრებიან, ჩურჩულებენ, ცრემლს იხოცენ.

შეეედით სახლში. ილიჩი მაგიდაზე ასვენია. უკვე მოუსწრიათ მისთვის ახალ ტუფურკის გადაცმა. ყვავილები. ფიჭვის ტოტები. მოთავსებულია დიდ ოთახში. აქედან ღიაა აივანზე გა! ასვლელი. ყინავს. ამ აივანზე 1920 წლის ზაფხულს ჩვენ ვსვამდით ჩაის და ვწუეეტდით ვარშავაზე შეტევის საკითხს.

ზამთრის ნათელი თოვლიანი ღამეა. ოთახში, სადაც ასვენია ილიჩი, ცივა. მეტი სინათლეა. დანათის მთვარე მრავალი ვარსკვლავია. აივნის ღია გასასვლელში გლეხის სახლები სულ ახლოს მოსჩანან. ილიჩი— გლეხურ რუსეთის ფონზე. დაუფიწყარი სურათია.

ილიჩი ცოცხალივითაა. თითქოს დასასვენებლად მიწოლილა. არა, იგი სუნთქავს კიდეც, აი, აი მეკრდი, შეირხევა. სახე მშვიდზე უმშვიდესი. ნაოჭები გამქრალან. სახის ქვედა ნაწილში, კისრისაკენ დარჩენია ხვეულები. ამას წინად გაპარსული. სულ ახალგაზრდათ მოსჩანს. კეთილი, კეთილი და ნაზი სახე. გგონია, თითქოს ბერი კაცს გული მოსდის, რად მაცქერდებიან ამოდენა ხანს და რად მოსდით ცრემლიო. ვის გაუგონია, რომ ბოლშევიკები სტიროდნენ... შუბლზე კოცნა, ილიჩის მშვენიერ, სწორუპოვარ შუბლზე. ეს შუბლი ეხლა ცივია, როგორც მარმარილო. გული გაგმირა ფიქრმა: ნუ თუ მართლაც **საუკუნოდ, სამუდამოდ!..**

ღამის ორ საათზე კრემლში დანიშნულია ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სხდომა. უკან ვბრუნდებით მატარებლით. მხოლოდ ერთი საათით დავიგვიანეთ, შეეედეთ. ეს წუთიც სამუდამოთ დაუვიწყარი დარჩება. ყველა 50 კაცი შემოკრეფილია... ხმას არ იღებენ. სამარისებური სიჩუმეა. უთუოდ, ისინი კარგა ხანია სდუმან,— ყველა ისინი, უშიშარი ლენინელები, მთელი პარტიის მიერ დარჩეული მებრძოლები, არა ერთხელ პირის-პირ სიკვდილის მნახველნი, სხედან პირშეკრულნი. ხმას ვერ იღებენ. შემდეგ იწყო ბაასი. დილამდე ისხდნენ. დაობლებულნი. ამ საათების განმავლობაში უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს ვიდრე მთელ განვლილ ცხოვრების დროს, თანაზიარ ბრძოლის მრავალ წლებში.

სამშაბათს მთელი ცენტრალური კომიტეტი და მთელი ც. კ. კ. მიდიან სოფელ გორკისაკენ. მესამე კლასის ორ ვაგონში—ლენინის პარტიის მთელი გენერალური შტაბია. სანთლის ნაპრები მკრთალ შუქს ვაგონებს ჰფენს. სხვა და სხვა კუთხეებში შეჭედილან ცალკე ჯგუფებად. სდუმან. ზოგან ერთმანეთს უზიარებენ რატომღაც ციხის შთაბეჭდილებებს. ამხანაგი, რომელიც აი ამ წუთში „ხუმრობდა“, სრულიად უბოროტოთ მოუთხრობდა თუ როგორ აწამეს ის მეფის კატორღაში ორლლოვის ცენტრალში, იგივე ამხანაგი ერთი წუთის შემდეგ, მოსწრებულ დროს კუთხეში ცრემლს იწმენდს, სხვის შეუჭჩეველად.

მივედით სადგურთან. აქედან ნაწილი ცხენებით მიდის, ნაწილიც—ფეხით. გრძელთა, ვიწრო გზაზე მიიკლაკნება სოფ. გორკისაკენ ცკ-ს წევრები.

მოდიან და მოდიან სულ ახალი და ახალი ამხანაგები და მეგობრები. ილიჩის ნეშთის პირველი საპატიო დარაჯები. ის დგაასვენეს წითელ კუბოში, თავქვეშ—პატარა წითელი ბალიშია. კიდევ უფრო ნაზი, კიდევ უფრო კეთილია მისი სახე. ხელი თითქოს ცოცხლისაა. იგი სულ უკანასკნელ წუთამდე ყველაზე ცოცხლად დარჩა.

* * *

ოთხშაბათს დილით ადრე გამოსვენებაა გორკიდან. ჩამოასვენეს კიბეზე. გამოიტანეს ქუჩაში. აქ სახე ერთბაშად უფრო მოკვდა. რამოდენიმე რბილი თოვლის ფიფქი დაეცა ილიჩის ტუფურკას. საჩქაროდ მოვაცილეთ... ოთხი ვერსი ფეხით. მთასვენებენ, რა თქმა უნდა, ხელით. მთელ გზაზე გლეხობაა. 13 წლის გლეხის ბიჭები დაგლეჯილ მაზარებში ცრემლებს იხოცენ. პირჯვარს არავინ იწერს. პირველი გვირგვინები—უბრალო, ფიჭვის ტოტებიდან.

კავშირთა სახლის საკოლონნო დარბაზი. ვინ გაამშვენიერა ასე ეს დარბაზი? ვისმა მოყვარულმა და მოხდენილმა ხელმა მორთო ეს დარბაზი ასე სასწაულებრივ, რომელსაც დაებედა გახდეს ისტორიული? და რა კარგია, რომ ჩვენ დროზე უარყოფაკით პირველი გეგმა, რომ დაგვესვენებინა ილიჩის ნეშთი კრემლის ერთ ერთ სასახლის დარბაზში. რა კარგია, რომ ხალხის გამოთხოვება ილიჩთან მოხდება სწორედ კავშირთა სახლში!

კავშირთა სახლის მშვენიერი დარბაზი გადაიქცა ზღაპრად. მარტო ეს დარბაზი—შესანიშნავი, სასწაულისებური, დიადი სამგლოვიარო სიმფონიაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აქ დაიწყო უმთავრესი—უდიადესი, დაუვიწყარი: ქუჩებში გამოჩნდა ხალხი. მუშათა კლასი, მისი შვილები. რა მშვენიერი სახალხო კრებული იყო! გაუთავებელი ცოცხალი დენა ხალხის ტალღების. დღე და ღამე, შეუჩერებლივ. ზამთრის მოკლე დღეებში და გრძელ ღამის სუსხში მოსკოველ ქუჩებში იდგნენ ასი ათასობით მუშები, მათი დედები, ცოლები და დები, იდგნენ გლეხები, წითელ არმიელები, მოსწავლეები, ბავშვები, მთელი, მთელი ხალხი თავის რიგის მოლოდინში: რათა შევიდეს „სვეტებიან“ დარბაზში და ახლოს გაუაროს ბელადის და მასწავლებლის ნეშთს, 700 ათასმა კაცმა გაიარა ამ დარბაზში ოთხი დღის განმავლობაში. და ეს ხალხი კიდევ უფრო გაიზრდებოდა, რომ შაბათს დაკრძალვის წინ არ შეეჩერებინათ. ამაზე უდიდესი სურათი ქვეყანას არ უნახავს ხალხი თითონ დაირაზმა.. ხუთი მილიციელი იოლად აუდიოდნენ წესრიგის დაცვას იქ, სადაც 50 ათასი კაცი იყო. საქმე ადვილი გასაგებია: ეს 50 ათასი **თითონ** იცავდა წესს. უსიტყვოთ, ერთი აზრით მოცულმა, ერთის გრძნობით გამსჭვალულმა, ამ უსაზღვრო მასამ თითონვე შეჰკრა თავისი ორგანიზაცია. თითქმის ფიზიკურად შეიძლებოდა იმისი მოსმენა, თუ როგორ აერხვდა ფრთებს ილიჩის გენია ამ განსაცვიფრებელ სახალხო მასის თავზე. ყველა განსაკუთრებით დარბილებული იყო, თავაზიანი და კეთილი ერთი მეორისადმი. ყველანი თითქმის ერთმანეთს თვალებში შეჰყურებდნენ ნუგეშის და გაგების მოლოდინში. სახეები უფრო გამომეტყველი შეიქნენ. ყველა განიცდიდა ისტორიულ მომენტს, და ეს აღბეჭდილი იყო თითოეულის სახეზე.

გაუთავებელ მძლავრ ნაკადათ შედიოდა ეს ტალღა სწორეთ „სვეტებიან“ დარბაზში და იქედან მეორე კარების რიგებიდან ისევე ორგანიზაციულად ინთქმებოდა გარეთ. როგორც ზღვა ეალერსება კლდეს, ისე ეს მძლავრი ხალხის ტალღა თვალებით ეალერსებოდა ხალხის საყვარელ, მის უახლოეს მეგობრის უსულო ნეშთს.

ამ დარბაზიდან წასვლა შეუძლებელი იყო. საათობით იდგა ყოველი ჩვენგანი და უთვალყურებდა ამ მშვენიერ ბრბოს, სულში იკრებდა მის გრძნობებს. შეუძლებელი იყო ამ სურათიდან თვალის მოშორება. დღისითაც დილის ხუთ საათზედაც თქვენ აქ ასობით ნახავდით ყველაზე უფრო საქმით დატვირთულ ამხანაგებს. ხალხი კი მოდიოდა და მოდიოდა, კიდევ უფრო მშვენიერი, კიდევ უფრო შემჭიდროებული. მუშათა მასსა მეორეთ განიცდიდა თავის რევოლიუციას...

აი, სწორედ ასეც უნდა გაგვესვენებინა ჩვენ ჩვენი ილიჩი. უბრალო ხალხმა, ლენინის იდეებით გამხნევებულმა, ჩვენთან ერთად მოუმზადებლად მოაწყო ეს დაკრძალვა.

* * *

... სამგლოვიარო მარშის მკვნესარე ხმები. ამ მარშის მოსმენა აუღელვებლად ყოველთვის ძნელია. ეხლა კი მას ასრულებენ ვის კუბოს თავზე?—ლენინის!..

მთელმა პარტიამ გაიარა აქ საყვარელთაგან უსაყვარლესის კუბოსთან.

მუშებს და მუშა-ქალებს ხელში აჰყვანდათ ბავშვები, უჩვენებდნენ მათ ილიჩს და რაღაცას ყურში ჩასჩურჩულებდნენ.

საპატიო ყარაულში—განსვენებული ილიჩის ცხედართან გაიარეს მუშათა კლასის ყველა საყვარელმა ადამიანებმა. თითქოს ყველა ქარხნების დაზგიდან მოდიოდნენ მუშები. თვითეულ ყაზარმიდან—უბრალო წითელარმიელები. მხოლოდ მუშათა რჩეულებს, მათ, ვინც უყვარს და ვისაც ენდობა **მთელი მასსა**, წოლად ხვდათ ამ სადარაჯოზე დგომა. გლეხი და მუშა ქალები, მეზღვაურები და წითელ-არმიელები, პარტიული ვეტერანები და მომავალი ახალგაზრდობა, რუსები და გერმანელები, კომინტერნელები და „ნაციონალები“! მუშებიან მშვენიერ, საუცხოო ბავშვებს, ამ პიონერებსაც კი ხვდათ საყარაულოდ დგომა. როგორის აღერსით დაუსვებდა მათ თავზე ხელს **ცოცხალი** მოხუცი...

საპატიო ყარაულში მდგომ იმ წუთშივე ეცვლებოდათ სახეები. აი სდგას ყარაულში ფინელი რევოლიუციონერი კომენი. ივლისის დამარცხების შემდეგ ჩვენმა პარტიამ მას მიანდო ილიჩის დაცვა. უდიდეს საშიშროებათა დროს მას ერთი კუნთიც კი არ შერხევია სახეზე. ეხლა კი ის ფერ-მიხდილია მკვდარივით. და ამათთ მალავს ცრემლს.

ილიჩი კი წევს წინანდებურად მშვიდი, კეთილი, თითქოს კიდევ უფრო ბრძენი, ყველაფრის შემცნობი. და მართალს ამბობს ბუხარინი: თავის უკანასკნელ ბრძანებას იძლევა—პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ბოლშევიკებო, მთელი ქვეყნისა, შეკავშირდითო!

* * *

შაბათი საღამოა. საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის კავშირის საბჭოთა მეორე ყრილობაა. ნადეჟდა კონსტანტინოვნა სიტყვას ამბობს. ვინ დაივიწყებს ამ მომენტს, სიხუმეა. ბუზის ფრენაც კი მოისმის ამ ვეებერთელა აუდიტორიაში. სწორედ ათი სიტყვით გამოხატა მთელი არსება ლენინის და ლენინიზმის.

— მისი გული ძგერდა ყველა მშრომელთა, ყველა დაბეჩავებულთადმი მხურვალე სიყვარულით. თვითონ ის ამას არასოდეს არ ამბობდა.... ის არა მარტო ლაპარაკობდა და მოგვითხრობდა ხოლმე, ის გულდასმით უსმენდა თუ რას ეუბნებოდა მას მუშა... მუშათა კლასი გაიმარჯვებს მხოლოდ როგორც ბელადი ყველა მშრომელთა. მას ესმოდა, რომ ეს ძალა უფლება მუშათა კლასს ესაჭიროება არა იმისთვის რომ ტკბილი ცხოვრება მოიწყოს სხვა მშრომელთა ხარჯზე, მას შეგნებული ჰქონდა, რომ მუშათა კლასის ისტორიულ ამოცანას შეადგენს—ყველა დაჩაგრულთა განთავისუფლება... რუსი მუშა ერთი მხრით მუშაა, მეორეთი კი გლეხია.

— ამხანაგებო, გარდიცვალა ჩვენი ვლადიმირ ილიჩი, მოკვდა ჩვენი საყვარელი, ჩვენი ახლობელი. ამხანაგებო კომუნისტებო, მაღლა ასწიეთ ლენინისათვის ძეირფასი დროშა, დროშა კომუნიზმის. ამხანაგებო მუშებო, მუშა-ქალებო, ამხანაგებო გლეხებო, გლეხის ქალებო, მშრომელნო მთელი ქვეყნისა, დადექით მჭიდრო რიგებით ლენინის დროშის ქვეშ, კომუნიზმის დროშის ქვეშ...

დიახ, ეს სიტყვა ისტორიულ წუთის სიმაღლის ღირსი იყო. დიახ, იგი ვლადიმირ ილიჩის ღირსი იყო. დიახ, ეხლა ჩვენ კიდევ და კიდევ ერთხელ დავინახეთ ჩვენი ნადეჟდა კონსტანტინოვნას მხნეობა. რაც უფრო ძნელი იყო ხოლმე მომენტი მით უფრო მაგარი და მამაცი იყო ნადეჟდა კონსტანტინოვნა. მაგალითად, 1917 წლის ივლისის დღეებში. მაგრამ—**ეხლა**! მხოლოდ მას შეეძლო ასეთ წუთებში ეთქვა სიტყვა და მასთან—**ასეთი** სიტყვა.

გაივლიან წლები და ათეული წლებიც, ამ მშვენიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა
Ф.№

სიტყვას წაიკითხავენ, იგი გულში ჩაწვდება კომუნისტების ახალ და ახალ მოდგმებს.

ჩვენ ყველას, დანარჩენ ორატორებს, ვინც გამოვედით ყრილობის ამ სხდომაზე, გვეშინოდა ატირების პირველ სიტყვისთანავე. და ამიტომ ჩვენ ვცდილობდით „ბანზრახ ცივად ყოფნას“. და მოხდა არა ის, რაც ჩვენ გვსურდა. სიტყვები ბაგეებს არ შორდებოდენ. სიტყვების გუნებაზე არ ვიყავით... გლეხებმა სმოლენსკიდან, პუტილოვის მუშამ, წითელ პრესნის მუშა—ქალმა, აღმოსავლეთის ხალხების ორატორებმა გამოისყიდეს საღამო....

შუადამისას ილიჩის კუბოს კიდევ ერთხელ ჩაუარა მეორე ყრილობამ. მთელმა საბჭოთა რუსეთმა.

დილით ასევე ორგანიზაციულად ჩაიარა პეტროგრადის (ლენინგრადის) დელეგაციამ—1.200 კაცზე მეტმა. მუშები, მუშა-ქალები, წითელ არმიელები, ახალგაზრდა ობა ყველანი სტროდნენ. სად-სად, მაგრამ პიტერში მუშებმა კი იცოდნენ თავის ილიჩის სიყვარული, განსაკუთრებულ ნაზ სიყვარულით. ისინი, ვინც პირველად მიჰყვებოდნენ ლენინს ცეცხლში, ეხლა მოვიდნენ რომ გამოესალმონ მას. ფერ-მიხდილი სახეები, ძალით გაჩერებული ცრემლები, მოკრძალებული სიჩუმე. „პიტერცეკმთან“ ერთათ ჩამოსული, მათი ორი ორკესტრი სტირის მთელ იმ დროს განმავლობაში, სანამ ჩაიევის დელეგაცია... თან ჩამოიტანეს საუცხოო დროშა—უკეთესი ჩვენ არ გვინახავს. ამართავენ ამ დროშას კუბოსთან ახლოს. იძინე მშვიდათ, ილიჩ...

* * *

კვირა. 27 იანვრის დილა. უკანასკნელი საპატიო ყარაულები. მაღალი, მწყობრი, გამარჯვებული—ისმის „ინტერნაციონალი“. გამოგვაქვს ილიჩის ცხედარი. რა კარგია, რომ ეს აღრიან დილით ხდება! რაღაც განსაკუთრებულ შემსუბუქების გრძნობას განიცდი.

ზამთრის სუსხში—თითქოს განგებ თავს დაგვატყდა 26 გრადუსიანი ყინვა—**მილიონნი ხალხი** მოვიდა წითელ მოედანზე, რომ თავი დაეხარა ილიჩის ცხედარი წინ. და კიდეც—ამ ხალხზე უდიადესი ქვეყანას არა უნახავს რა.

რა კარგია, რომ ილიჩის დამარხვა აკლდამაში გადაწყვეტეს! რა კარგია, რომ ჩვენ დროზე მოვიფიქრეთ ეს! ილიჩის ცხედარის მიწაში დამარხვა—ეს მეტის-მეტად აუტანელი იქნებოდა...

აკლდამაზე მოკლე, მაგრამ სრულიად საკმაო წარწერაა: **ლენინ.** აი აქ, ჭეშმარიტად, არ შეჩერდება ხალხის დენა. აქვე ახლოს აღმოაცენდება ლენინის მუზეუმი. თანდათან მთელი მოედანი გარდაიქცევა ლენინის ქალაქად. გაივლის ათეული წლები, საუკუნეები—და ეს საფლავი თანდათან უფრო ძვირფასი და ახლოელი შეიქნება ხალხის თვეულ და ასეულ მილიონებისათვის, მთელ კაცობრიობისათვის. აქეთ დაიწყება სანუკვარი მოგზაურობა არა მარტო ჩვენ რესპუბლიკათა კავშირის ყველა კუთხეებიდან, რომელსაც ხმელეთის მეექვსე ნაწილი უჭირავს, არამედ ჩინეთიდანაც, ინდოეთ-ამერიკიდან, მთელი ქვეყნიდან.

ოთხ საათზე კუბოს აკლდამაში ვუშვებთ საპატიო სალიუტის დროს. სალიუტით პატივს სცემს მთელი საბჭოთა რუსეთი. პეტროგრადში ტრაურულ დემონსტრაციაზე ამ დღეს მონაწილეობა მიიღო 750 ათასმა კაცმა—მეტმა, ვიდრე რომელიმე სხვა პიტერის დემონსტრაციაში მთელ ამ წელთა განმავლობაში.

მოსკოვში ხალხი მიდიოდა წითელ მოედანზე რათა თაყვანი ეცა ილიჩის ცხედარისათვის.. აქ, მთელი ხალხის დასანახად, ამართულიყო კუბო ლენინის ცხედრით. პიტერში კი ხალხი მიდიოდა მარსის მოედანზე (რევოლიუციის მსხვერპლთა ველზე), სადაც შეეძლო ენახა მხოლოდ 53 დანთებული კოცონი—თანაბარი რიცხვი ვლადიმირ ილიჩის წლებისა. და მაინც მოვიდა მთელი ლენინგრადი.

ხარკოვში მთელი ხალხი დემონსტრაციაზეა ილიჩის პატივსაცემად. როსტოვში, კოსტრომაში, კიევში, არხანგელსკში—ყველგან იგივეა. მილიონი გული თანაბრათ სძგერს. პარიზში, ქრისტიანიაში, პეკინში, ბერლინში, პრაგაში, ლონდონში—მთელ ქვეყანაზე მილიონნი ხალხი იმეორებს ერთ სახელს: **ლენინი.**

აკლდამაში ჩვენ ვაფარებთ კუბოს ორს დროშას—ორს 10.000 დროშადან, რომელიც მონაწილეობდნენ ტრაიურულ დემონსტრაციაში. ესაა—კომინტერნის და რ. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტის დროშები. მაგრამ უკანასკნელ წუთს აკლდამაში, ყარაულის შეუმჩნეველად, შემოდის ერთი ხანში შესული გლეხი. შეიცადა რა მოხერხებულ დრომდე, მან გადმოგვცა პატარა შაი ტილოს ნაჭერი სარანის მაზრის გლეხების წერილთან ერთად. ორ უმძლავრეს ორგანიზაციათა დროშის გვერდით, რომელიც შიშსა ჰგვრიან მსოფლიო ბურჟუაზიას, მოეწყო დროშა... სარანის მაზრის გლეხებისა.

არ შეიძლება იმ წუთის დავიწყება, როდესაც მთელი წითელი მოედანი, თავ მოხდილი 25 გრადუსიან ყინვაზე მღეროდა „თქვენ მსხვერპლი გახდით“.—ვერ დაივიწყებ გაქვავებულ მრავალ ათასიან ხალხს, როდესაც ილიჩის კუბო მიჰქონდათ აკლდამაში. სამუდამოთ დაუვიწყარია ყველა ნათესავების და ახლობლების გულის ძგერა. არასოდეს, არასოდეს არ შეიძლება ამ წუთების დავიწყება...

რატომღაც მახსენდება ის საღამო, როდესაც ლენინი საზღვარ გარეთიდან პეტროგრადში ჩამოვიდა: ღამე ფინეთის სადგურზე, შეხვედრა, ათეული ათასი მუშები და ჯარისკაცები. ეხლა კი—ეხლა მილიონები. მაშინ დიად ბრძოლათა წინა დღე. ეხლა კი—ეხლა დასრულებული შეტაკებები და გადამწყვეტ გამარჯვებათა შემდეგ შესვენება. ეხლა მთელი ხალხის მიერ, ყველა ხალხთა მიერ ცნობა.

* * *

მოკვდა ლენინი. ქვათ, ლოდათ გვაწვება თითოეულს ჩვენგანს გულზე ეს სიკვდილი. არა ადამიანური სიმძიმეა, არავის არასოდეს არ განუცდია ასეთი საშინელი წუთები. მაინც, მაინც ჩვენ რატომღაც გვგონია, რომ ლენინიზმი არა თუ ცოცხალია, არამედ მისი აყვავება ჯერ მხოლოდ დასაწყისშია. დიახ, ეს უეჭველად ასეა: ლენინის იდეების ნამდვილი გამარჯვება ევროპაში, ამერიკაში, აღმოსავლეთში, მთელ დედამიწაზე ჯერ კიდევ წინაა.

რომელს ჩვენგანს დაავიწყებდა ეს ექვსი დღე—უძილო, მშფოთარი, ტყვიისებური, მაგრამ იმავ დროს სასტიკი და მშვენიერი? დაგვისახელონ ჩვენ მეორე სახელი კაცობრიობის უახლოეს ისტორიაში, რომელიც ასე მძლავრად უტოკებდა გულს მილიონებს და ათეულ მილიონებს მთელი დედამიწის ადამიანებისას. ამ ექვსმა დღემ რაღაც ხაზი შემორკალა, რაღაც ზღვარი დასდო ორ რუსეთს შორის ილიჩის **სიკვდილამდე** და მისი სიკვდილის **შემდეგ.** რუსეთმა განახლებულად იგრძნო თავი. აქამდე ლენინის ავადმყოფობის დროს იგი სთვლიდა, რომ ილიჩს

ეროვნული ბიბლიოთეკა

„.... ეხლაც მიჰყავს რუსეთი დამბლა დაცემულ ხელით."

ეხლა მან იგრძნო, რომ ამას იქით ჩვენ მარტო ჩვენი თავის ანაბარა დავრჩით, რომ ჩვენ გადაელახეთ რაღაც ახალი საზღვარი. რუსეთმა საკუთარ თავისაკენ მიიხედა და დაინახა, რომ ის **ახალია**, რომ ის გახდა ახალი იმიტომ რომ ლენინმა მისკა მას საუკეთესო ნაწილი იმისა, რაც თითონ ჰქონდა. ღრმათ, გულ ჩათხრობილათ ქვეყანა დაუფიქრდა თავის საკუთარ ბედს. და, მოიწყვეტს რა ცრემლს თავის გენიალურ ბელადის გასვენების შემდეგ, მაგარი ნაბიჯით და მაღლა აწეულ თავით იგი წინ გასწევს იმ გზაზე, რომელზედაც მიჰყავდა იგი ლენინს.

და უფრო კი ჩვენი პარტიის ცხოვრებაში ილიჩის სიკვდილის შემდგომ იწყება ახალი ხანა. ჩვენი პარტია განსაკუთრებით ღრმათ და გულ ჩათხრობილათ ჩაუფიქრდება თავის აწინდელ ბედ იღბალს. განუზომელად მძიმეა, სრულიად აუნაზღაურებელია დანაკლისი, დიად ქვეყნის ცხოვრების ხელმძღვანელობა, კომინტერნის და პარტიის მუშაობის გაძღოლა **უილიჩოთ** — როგორ ენ გიგანტური ისტორიული პასუხისმგებლობაა! თითოეული ჩვენი პარტიის 400,000 წევრთაგანი ეხლა, ილიჩის სიკვდილს შემდეგ უნდა შეიქნეს უკეთესი, ულრმესი, უწმიდესი, უფრო მამაცი, უფრო ფრთხილი, უფრო გამძლე.

თითოეული, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ცოცხალი ილიჩი, თავის დღეების აღსასრულამდე შეინახავს ამ სახეს თავის გულში.

... ლენინის სურათები არ სჩანან,
მისი მზგავსი არ ყოფილა და
არც არის. საუკუნეები, ალბათ,
დაასრულებენ მის დაუხატავ
სურათს...

რაც არ უნდა იქნეს, რაც არ უნდა გველოდეს ჩვენ ლენინის ხატება ყოველთვის გაანათებს მთელი ქვეყნის მშრომელთა და დაჩაგრულთა გზას.

მჭიდროთ, ლენინის ჯარის რიგებო! ქვეყანას ჯერ არ უნახავს ჯარი, უფრო მზად მყოფი ბრძოლისათვის და უფრო ღირსი გამარჯვებისა ვიდრე ჩვენი.

— მშვიდობით, ილიჩო! მშვიდობით ლენინო!

მთელ ქვეყანას, მთელ დედამიწას ედება, როგორც გამოძახილი, ეს უკანასკნელი გამოსალმება ბელადისა და მასწავლებლისადმი.

მუშაობისაკენ, მუშაობისაკენ, მუშაობისაკენ! — როგორც გვასწავლიდა ჩვენ ილიჩი.

ლენინი მოკვდა — ლენინიზმი სცოცხლობს. სცოცხლობს ჩვენს დიად პარტიაში, კომინტერნში, მთელ მსოფლიოს რევოლიუციონურ მოძრაობაში. როდესაც პროლეტარული რევოლიუცია გაიმარჯვებს მთელ ქვეყანაზე, ეს იქნება, უწინარეს ყოვლისა, ლენინიზმის გამარჯვება...

გ. ზინოვიევი.

ჟორჟ შენევიერ.

ჟორჟ შენევიერს უახლეს ფრანგულ პოეზიაში აქვს თავისი ადგილი. ის არის პოეტი სოციალისტი, შეუერიგებელი ანტიმილიტარისტი, კარგი მუსიკოსი და კიდევ ბატაკებული ორგანიზატორი მასსიურ „ხალხურ დღესასწაულების" („Fêtes du Peuple"), რომლებმაც ასეთი სახელი მოიხვეჭეს საფრანგეთში.

შენევიერი ჟეშმარიტი პოეტია: მას ახასიათებს პათოსი, გამოწვეული სოციალურ ჩაგვრებით. უნანიმიზმის შკოლა, რომელსაც ეკუთვნის შენევიერი ცნობილია, როგორც „ანგარიანი პოეზია", — ამ შკოლამ იცის საიდან მოდის ის და რა უნდა, ეს არის პოეზია ადამიანობის, პოეზია შრომის და ბედნიერების, პოეზია ათოლოებული სოციალური გრძნობის.

ვედრება, რომლის თარგმანი იბეჭდება ჩვენს ჟურნალში არის ნაწყვეტი მისი დიდი პოემის, რომელიც არის მოთავსებული მის უკანასკნელ წიგნში „სალამი ქვეყანას".

ვ ე დ რ ე ბ ა.

ხალხი, რომელიც ამბიჯებს ქუჩების ქვებზე,
როგორც მატარებელი ლიანდაგზე, რომელსაც მიჰყავს იგი
უსაზღვროებაში;
ხალხი, რომელიც მძიმედ ამბიჯებს მიწის სამოსელზე,
როგორც ფურცელზე, სადაც მუდამ ხაზავენ შენს ისტორიას
შენი ლანჩების ყველა ლურსმნები.
ხალხი აქაური და შორი (მე არავინ არ მინდა გამოტოვო),
ხალხი ორივე მატერიკების, და თავისუფალ არქიპელაგების,
ხალხი ადამიანთა, არ სებათა, რომ დადიან დგომით,
განთებულნი სახის და ხელის-გულთა სამეულ ბრწყინვალებით.
მე შენ მოგმართავ მუდარით,-მე-თვითონ ადამიანი,
დაბადებული ამ პარიზში, კაცთა შორის, რომელნიც შრომობდენ
და საღამოს ბრუნდებოდენ, რომ შენსავით დამსხდარიყვნენ სატრაპეზოდ.
ახლოა ჟამი, როცა შენ გამოხვალ ძველ წაღიდან,
გაარღვევ ქუჩების რკალს, რომ შეზღუდულ შენი მღელვარება,
შენი ნიაღვარი დაიფრქვევა, დაგვირგვინებული ხმიერ ქაფით,
სივრცეში, რომელიც გავს ქარების გიგანტურ ვარდს,
უსაზღვრობაში რომ ასობს თავის ისრების წვეტებს.
მაგრამ რომელ გზას აირჩევ, რომ დაიღვარო ახალ სარეცელში,
ამ იდეალურ ჰორიზონტით შეზღუდულ ველზე?
ხალხო! შენ გეუბნები, იფიქრე ამ განთიადზე,
რომლიდანაც შენ გაშორებს მხოლოდ უკანასკნელი სერობა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე გევედრები, გამიგონე—
გაზაფხულივით ძლიერო ხალხო!
შენი გამარჯვება უნდა ჰგავდეს
მაისის მოელინებას!

შენ, ვისაც მოგელის გამარჯვება, შეგიძლია იყო გამარჯვებული?

ამას არ ვიტყვი პირფერობით,
მე ამას ვიტყვი სიყვარულით:
გეშინოდეს უკანასკნელი წვეთის
ყოველ გამოკლილ ჯიქის ფსკერზე!

შენ იგემებ სასმელს და ნუთუ დაგიპყრობს შენ ლოთობა?

ისმინე: კვირტიდან რომ ფოთოლი გამოდის—გამარჯვებული.

ისმინე: ნაყოფი რომ ბუტკიდან გამოდის—გამარჯვებულია.

ისმინე: დღე და ბავში, რომ იბადებიან, გამარჯვებულნი არიან.

იყავი ფოთოლი, ნაყოფი, დღე და ბავში,
რადგანაც გამარჯვება—ნობათია,
და არა გადაგდებული ტყავი.

მე ვამბობ: დადგა დრო
სიყვარულის გამოცხადებისა ქვეყნისათვის,
და შენ გეკუთვნის ეს ხარება,
შენ—ვისი ტანჯვები იგრიხებიან
ურკვნ ისტორიის მინდვრებზე,
სადაც ომები აღნიშნული არიან სინგურით.

გაახილე შენი თვალები, თუ ისინი სპეტაკნი არიან
გაშალე შენი ხელები, სადაც ანათებენ
სასწაულნი, შენს სამეფოს რომ აღმართავენ
ნუ დაივიწყებენ ისინი დიდების დღეს
სიუხვის ანტიურ ხელის გაქნევას,
რომელიც არიგებს პურს მშიერებისთვის.

ისმინე: მდინარენი ჩამოვიდნენ შორეულ მყინვარებიდან,
დაეშვენ პურის მინდვრებით და გაიარეს სატახტო ქალაქები,—
მაგრამ ისინი ყველა გაითქვიფენ გამათანასწორებელ ჭღვაში.

ადამიანო, მე შეგადარებ შენ ამ თვითეულ ნიაღვარს,
ხალხო, იყავი როგორც ზღვა, ყველა ხომალდ დებს რომ აკანავებს.

და იტევს ყველა წყლებს, რომ განბანოს ისინი.

ნუ უდი მაგიერს, ნუ ზრდი სიძულვილს,
ნუ დაატყვევებ გალიაში
ფრინველს, რომელსაც მოეფერები შენ,—
მაგრამ მიესალმე მის ფრთებს,
და გაჰყვები მას მწვერვალებზე,
სადაც გაგიტაცებს შენ მისი მისწრაფება.

პირს ნუ დამუწავ, იმღერე სიმღერები.
ნუ აღრჭინებ კბილებს: გაიღიმე.
ნუ დაემგვანები მაცდურ ცას,
რომელიც ლაქვარდოვანია მხოლოდ ჩრდილოეთ ქარისაგან,
ნუ შეიმოსები ზამთრის დღის სიწმინდით,
რომელსაც მოკვეთილი აქვს თავი მოულოდნელი ღამით.

გაფიცებ პატარა ბავშვების ცელქობას,
ვისი სიხარულია—სილა და ტიკინები.
გაფიცებ ახალგაზდა ქალების სიყვარულს,
ვისი სიხარულია—ყვავილები და ლალები.
გაფიცებ ნივთების უცხო სილამაზეს,
ბედნიერებისათვის რომ არიან შექმნილნი.
გაფიცებ ცას, რომელიც უღმერთოდაც მშვენიერია,
და შემოდგომას, უხვი რომ არის,
და ველურ გვირილის უნაზესი სახელით,
სიხარული რომ მოაქვს სევდიან ოთახში.
და ჩემივე სახელით, მომავალის და მართლმსაჯულების სახელით

გეფიცები შენ, უძლიერესო ხალხო: ნუ დაამსხვრევ
ახალ ფიალას, რომლიდანაც შენ შესვამ,
თუ არა და შენ ვერასოდეს ვერ დააშრობ შენს წყურვილს
იყოს მსუბუქი და მხიარული შენი ნაბიჯი,
როგორც ნაბიჯი ზაფხულის განთიადისას.
ნუ დაგიპყრობენ ცდუნებანი,
როგორც უსარგებლო ხავსი.
მე მინდა რომ შენი ცქერა იყოს წინამორბედი
და დარაჯი ძლევამოსილ ჟესტის!
ო ხალხო, მოვიდეს შენი მეფობა.
მაგრამ ნუ იქნება მეტი მკვლელობა:
მშვენიერება და სათნოება—
მე იმათზე გელაპარაკები შენ. იფიქრე,
როდესაც სალამოთი გულში ჩაგიხუტებს სიმშვიდე.
იმიტომ რომ გამარჯვებულო,
რომ შენ კიდევ აღადგინო ძალმობრეობა;
იმიტომ რომ, თუ შენ დაივიწყებ ყველაფერს,
და ისევ აააშენებ გალავანს ბედნიერ ბაღის ირგვლივ;
იმიტომ რომ, თუ შენ გაბრაზებული
და კბილების ღრჭენით, როგორც ძაღლი,
მოინდომებ ჩვენს გადაგდებას ახალ ღამეში,—
მაშინ, ო ხალხო, მე ვუვირი:
სჯობია, რომ დაიმსხვრე, მიწავ, და თქვენ დაიღუპეთ ადამიანნო!

. . . . . .

თუ გაიგე შენ ჩემი სიტყვა? თუ გაიგე—წინ!

ჟორჟ შენევიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამწვარი ღამე.

მთვარის კოცონზე საღამო იწვის!—
ვით ცრემლიანი ქალის თვალები!...
ყუჩდება ხმები ცოფიან მიწის,
მსოფლიო სტირის განაწვალები!..

ინთება ქუჩა ელვისოს ჩქერით!
მიჰქრის რონოდა და რეკავს ზარებს!
ქალაქის მკერდი ქუჩების მღერით
ზანზარებს,—სდგება—და კვლავ ზანზარებს!

მუსიკის ხმებში საღამო თვრება,
აპრელდა ხალხით პროსპექტი ნელი.
საღამო დნება, საღამო ჰქრება,
საღამო იწვის როგორც სანთელი...

და მეც ვსეირნობ პროსპექტზე კენტად,
(პირ ღია სანდლებს რა ეშველება)
უფულო ჯიბე მაწუხებს მეტად
და ჩერონეცი მომეჩვენება...

აკაკის ძეგლი უსიტყვოდ არის
(გულ სატკენია ეს დაუბრება)
და თეთრი სხივი ალმაცერ მთვარის
მგოსნის თეთრ წვერებს ესაუბრება.....

ქარხანა ოფლით დანასველები,
დინამო ჰანგით რომ დუდუნებდა;
მიწვა დროებით, დანასვენები,
ნოემბრის ქარის ჭიანურებთან!!!

ო! ჩაიფერფლა საღამო წყნარი,
ღამე მთვარისგან სხივებს იპარავს
დადუმდა ქუჩის, მათხოვრის ქნარი
კენტი ფეხის ხმა სიჩუმეს ჰბზარავს!..

ქვითინებს ქარი და სევდიანი
მთაწმინდის ფერდობს კვნესით ედება...
ფრიალებს დროშა წითელ ფრთიანი
და წითელ ქალაქს ეალერსება....

სიჩუმემ ღამე ასწია ნეკით!..
დარაჯი ჰხუჭავს დაბერილ თვალებს!—
ბეჭების რხევით, ულვაშის გრეხით,
შორს ჩოხოსანი აცილებს ქალებს.....

აშლილი ლანდი გადირბენს ქუჩებს!—
აჰყვება სახლის ვიწრო ბნელ კიბეს!;
ბოროტი ღიმი დასერავს ტუჩებს
და მსხვილი მუშტი გაბერავს ჯიბეს.....

ღამემ ცისკარის შხამი დალია!!!
მზის სხივზე იწვის ბნელი სამყარო!
მთვარემ სიყვარულს გადაალია
ცრემლათ დამდნარი სხივების წყარო!..

დილამ სიბნელეს გადაჭრა ღიმი
ყვითელ ფოთლების ნამით ნამული...
აღსდგა ქალაქი თავის სიმძიმით,
და საყვირებით—ქარხნის ხმაურით!...

ანთებულ ცის წინ ლოცულობს მიწა!...
აინთო ხატი ცოდვილ ტფილისმა
გაფითრდა ღამე,—ღამე წაიქცა,
დაიწვა ღამე როგორც თილისმა....,

კაკი ეწრელი,



რ. გველესიანი.

მხატვარი რ. გველესიანი.

წელს სრულდება 40 წ., რაც გარდაიცვალა დიდათ ნიჭიერი მხატვარი რ. გველესიანი. ულმობელმა სენმა ადრე იმსხვერპლა იგი. არ მისცა საშუალება, სავსებით გაეფურჩქნა თავისი სამხატვრო ნიჭი.

რ. გველესიანი დაიბადა კახეთის ს. შალაურში. 1859 წ. ათი წლისა მიიბარეს საცხენისის სკოლაში, რომელიც იმყოფებოდა ალაზანს გაღმა. პატარა რომანოზი აქ სწავლის დროსვე იქცევდა ყურადღებას, უყვარდა ხატვა. 1875 წელს მან ეს სასწავლებელი გათავა და ჩამოვიყვანეს ტფილისში, მეფის მოადგილის კანცელარიასთან არსებულს ტეხნიკურ კონტორაში შედის სამსახურში. აქ უფრო მეტი ყურადღება მიიქცია და ურჩიეს შესულიყო სასწავლებლად ტფილისში არსებულ მაშინდელს სამხატვრო სკოლაში. აქ მან დაჰყო სამი წელიწადი და გათავების შემდეგ 1881 წელს მიდის პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში, სადაც ბრწყინვალედ აბარებს საკონკურსო გამოცდებს. იგი ჩარიცხულ იქმნა აკადემიის მოწაფედ.

თეორიული კურსის გათავების შემდეგ გველესიანი ითვლებოდა ჟურნალ „ზაღუშეენოე სლოვოს“ თანამშრომელ—დამსურათებლად. მანვე შეასრულა ვ. ს. სოლოვიოვის „ბედნიერება“ და ს. დ. დოროჟინის „ზამთრის“ ილიუსტრაციები. ამის შემდეგ საზოგადო ყურადღება მიიქცია და ბევრ სამუშაოს უკვეთავდენ. უკანასკნელ დროს მან საზღვარ-გარეთელ გამომცემელთაგანაც მიიღო დაკვეთა, მაგრამ სამწუხაროდ ჩრდილოეთის სუსხიანმა ჰავამ მისი ჯანმრთელობა დაავადა და იძულებული შეიქმნა 1883 წელს ზაფხულში სამშობლოში დაბრუნებულიყო დასასვენებლად. მიუხედავად ფილტვების ავადმყოფობისა იგი შეუსვენებლივ მუშაობს და ამხადებს ნახატებს აკადემიისათვის. ზაფხული გაატარა თავის საყვარელ კახეთში ს. შალაურში. იგი სენისგან ვერ განიკურნა. წინააღმდეგ ექიმებისა და მეგობრების რჩევისა კვლავ გასწია პეტერბურგისაკენ; თან წაიღო თავისი ზაუხულის ნამუშავარი ალობომი. რომელიც წარადგინა აკადემიაში. პროფესორებმა ამ ალბომის ნახვის და მოწონების შემდეგ ალბომშივე ჩაუწერეს „ქების ღირსია“. რომანოზი უფრო გულმოდგინეთ შეუდგა მუშაობას, მთელი 1884 წელი მან დაჰყო პეტერბურგს აკადემიის კურსის გასათავებლად. მან თავის მიზნს მიაღწია. აგვისტოში თავისუფალ მხატვრის დიპლომი მიიღო. მხოლოდ საკმაოდ დაავადმყოფებული სეტტემბერში დაბრუნდა საქართველოში. მას განზრახვა ჰქონდა სამშობლოში ჯანმრთელობა აღედგინა და შემდეგ გამგზავრებულიყო საზღვარგარეთ, კიდევ სწავლის გასაგრძელებლად, მაგრამ სამწუხაროდ მას ეს ნატვრა ვერ შეუსრულდა. ულმობელმა სენმა იგი ლოგინს მიაკრა. გარდაიცვალა 1884 წ. 30 ნოემბერს. აღსანიშნავია ის გარემობა, რომ რ. გველესიანი მუშაობდა თვით მძიმე ავადმყოფობის დროსაც. ლოგინში მწოლიარემ, სიკვდილის რამოდენიმე დღის წინად დაასრულა ილიუსტრაციები—ნემიროვიჩ დანჩენკოს პატარა მოთხრობისა, „რისთვის არ გავხდი მონადირედ“—ეს ნახატები უფროსმა ძმამ ალექსანდრემ გადაგზავნა რუსეთში.

რ. გველესიანი ასაფლავეს ჰეტრე-პავლეს სასაფლაოზედ. აქვს დარჩომილი რამოდენიმე ფერადებით ნახატი, ეტიუდი და დიდი ტილო. „მობანავე ქალი“. ეს სურათი ასლია იტალიელ მხატვრის ბელოლის სურათისა, მაგრამ დიდის ხელოვნებით არის შესრულებული. მეტად საინტერესოა ალბომი, რომელიც ზაფხულში აქვს კახეთში დახატული აკადემიისათვის 1883 წ.

ალბომში მრავალი სურათია ფანქრით ნახატი, რომელთა შორის შესანიშნავია, „ავლაბრის ხიდი“, „დახურული ბაზაზხანა“, „მოედანი“, ქართველი ქალის ტიპები“. „შალაურის პეიზაჟები“, და თვით სოფ. „შალაური ალაზნის ველით“. აქვეა მანგლისის პეიზაჟები და სხვა. ჟურნალ „Новь“-ში დაბეჭდილია მისი ფანქრით ნახატი საქართველოს ტიპები „აჭარელი“ და „ხევსური მეცხვარე“ ყველა ეს ზემოთ ჩამოთვლილი სურათები და ალბომი ინახება რომანოზის უფროსი ძმის ალექსანდრეს სახლში, რომლის საკუთრებასაც შეადგენს. გარდა ამისა თვით ალექსანდრემ გადმომცა, რომ „რომანოზის გარდაცვალების შემდეგ ერთი ალბომი მრავალ ნახატებით მთხოვა სახსოვრად რომანოზის სკოლის ამხანაგმა მხატვარმა შამშინოვმაო. თხოვნა აუსრულე და მივეცეო“. რამდენადაც ჩვენ ვიცით შამშინოვიც აღარ არსებობს. ვის უნდა დარჩენოდა ეს ალბომი? საჭიროა, ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს ქართველ მხატვართა საზოგადოებამ და მოსძებნოს იგი. აგრეთვე ჩვენ ვიცით, რამოდენიმე მისი ნახატი ჰქონდა აწ განსვენებულს ალ. პ. სარაჯიშვილს. ან ეს ნახატები ვის ხელთ არის? საჭიროა ამასაც ყურადღება მიექცეს, რათა არ დაიკარგოს ამ ნიჭიერ მხატვრის ნახატები შთამომავლობისათვის.

ვ. ბ.

მოქანდაკე კ. მენიე.

პონსტანტინ მენიე.

ევროპის პატარა სამრეწველო სახელმწიფოში, მაღაროებისა და ქარხნების ბელგიაში შრომა ძლიერ ადრე შეიქნა ობიექტი ხელოვნების ასახვის. აქ წარსული საუკუნის მე-40-ე წლებში მხატვარმა ჟან-დე-გრუმ თავისი შემოქმედების მთავარ წყაროდ მშრომელი ხალხი გაიხადა. მაგრამ ჟან-დე-გრუმ მშრომელებში დაინახა მხოლოდ გასაჭირი და აწუხარება, მისთვის მუშა იყო ზრომის იარაღი. მუშა-შემომქმედი, მუშა-მებრძოლი, ახალი ცხოვრების დამწყები მისთვის უცხო დარჩა. მაგრამ ბელგიამვე მისცა ხელოვნებას პირველი მოქანდაკე, რომელმაც თავის შემოქმედებაში მოგვცა: გამაბრუებელ მანქანების გრიალი, ქვანახშირის ფენების სიმძიმე, მუშის ძალის საშინელი დაჭიმულობა და სხვა.

ეს იყო კონსტანტინ მენიე, რომელიც დაიბადა 1831 წ. 12 აპრილს ბელგიის სატახტო ქალაქის ბრიუსელის მახლობლათ ლოვენში, ქვანახშირის მაღაროების ცენტრალურ ადგილში. მან მთელი თავისი ვიჟობის წლები, ბავშობა, გაატარა მუშათა წრეში „შავ მხარეში“.

კონსტანტინ მენიე შემდეგ შეიქნა ერთი უდიდესი წარმომადგენელთაგანი ახალი პროლეტარული კულტურის და ქვეყნიერების. მან საფუძველი მისცა ახალ პროლეტარულ ხელოვნებას, უჩვენა ყველას, რომ ქარხნის, მაღაროების და სოფლის მუშებში არის მშვენიერების და მხატვრული შემოქმედების დაუშრეტელი წყარო, ცხოვრების დიადი განცდები, რომელიც ყველა ტუშარიტმა შემომქმედმა უნდა ასახოს შემოქმედების რეალ ფაქტებით.

და ამ თვალსაზრისით შეეხო თვით მენიე ცხოვრების დინამიკას. უკვდავია მისი „მრეწველობა“, „მუშების მაღაროებში გამგზავრება“, „მთესავი“, „მჭედელი“ „ზრომის ძეგლი“ და სხვა. ისინი ამ ფაქტის საუკეთესო დამტკიცებაა, მასში მთელი სიძლიერით გამოხატულია ინდუსტრიალური ზრომის ძლიერება.

საპრეწველო პროლეტარიატთან ერთად მენიემ მოგვცა მრავალი თვალწარმტაცი სურათი მდიდარ ფულანდრი-

მ თ ი ბ ა ვ ი. ნახ. კ. მენიესი.

მ თ ე ს ა ვ ი. კ. მენიესი.

მღვიმის მთხრელები. კ. მენიესი.

ის მიწის მუშებისა: მეხრეები, მთესველები, მრეწავნი, მკვლელები, ცელის რიტმიულ გაქანებით, დამახასიათებელ ეკსტაზით, ფართე და გაბედულ ხელის მოძრაობით, რომელიც სთესავს მარცვალს მომავალ ახალ ცხოვრების სიმბოლოს.

მენიეს მუშები არ არიან მარტო მონები და შრომისთვის ტანჯულნი. ისინივე არიან გმირი-მებრძოლნი, რომელთა მუშაობაზე დაფუძნებულია მთელი კაცობრიობის მატერიალური კულტურა და სულიერი ცხოვრება, რომლის ლოგიკამ მსვლელობამ, მენიეს აზრით, ტანჯული კაცობრიობა უნდა მიიყვანოს ახალ ჯერ არ ნახულ ქვეყნამდე.

შალვა რადიანი.

ფრანს მაზრელ.

მსოფლიო იპერიალისტურმა ომმა დიდი სიძლიერით გამოიწვია ევროპის კულტურის წარმომადგენელთა სულიერ ვითარებაში გარდატეხა.

ერთი ნაწილი პაციფისტური სულთქმებით გაიმსჭვალა და ომის საერთო ფერხულში ჩაება, რათა სხვისი უბედურებით და ტანჯვით თავიანთ სამშობლოს კეთილდღეობა შეექმნათ.

მეორე ნაწილი, პირიქით, არა თუ ომის ფერხულში არ ჩაება, არამედ ყოველგვარ საშუალებით ებრძვის ბურჟუაზიისგან იმპერიალისტურ ზრახვებით გამოწვეულს ომს. მათი სულის ძლიერი ამოძახილი მოწოდებაა მშვიდობიანობისა და კაცთმოყვარეობისადმი.

ამ უკანასკნელ აზროვნების წარმომადგენელთა შორის განსაკუთრებით სპეციალური ადგილი უჭირავს ცნობილ ბელგიელ მხატვარ-იუმორისტს ფრანს მაზრელს, რომლის მდიდარი შემოქმედება წარმოადგენს გულგამგმირავ მოვლენას თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოების წინააღმდეგ.

ფრ. მაზრელმა რელიეფურად გამოხატა 1914—18 წ. ომში მონაწილე ევროპის სახე. ევროპა, რომელიც მოგე-

ბის მიზნით ჩაფულია გამყიდველობის, მტაცებლობის და სისხლის მორეგში.

ამ მხრით თანამედროვე ევროპამ ორი დიდი სახელი იცის: ჟორჟ გროსს და ფრანს მაზრელ. პირველიც და მეორეც ერთ ნიშანს უმიზნებენ, რათა ყოველგვარი საშუალებით ძირს დასცენ ბჩაგვრელი საზოგადოება.

მზგავსად გროსსისა, მაზრელის საყვარელ თემებს შეადგენს ცხოვრების ყოველი ფაქტი. ის საკმაო სიძლიერით სახავს, როგორც ფრაკში გამოწყობილი ჩასუქებულ-ჩარგვალებულ ბურჟუას, ისევე ტანჯვა გაჭირვებაში ჩავარდნილ ჯარის-კაცს საშინელ ბარიკადებზე, ომიდან დაბრუნებულს მებრძოლს, რომელმაც ბრძოლის ველზე დასტოვა ადამიანის დამახასიათებელი ფიზიკურ-სულიერი მეობა: ფეხი, ხელი, გონება და სხვ. მხოლოდ იმისთვის, რომ განცხრომით ყოფილიყო საზოგადოების „რჩეული“ ნაწილი. მას მრავალ მასალას აძლევს რეტტერის დეკეშათა საგენტო, ტიტონის სიტყვები, კენტემბერგის „წინდა მამა“ ეფის კოპოსის იმპერიალისტური მოწოდება და სხვ.

და ასეთი ფაქტების მქონე სამყარო მაზრელის აზრით უნდა მოკვდეს, რადგანაც მას კაცობრიობა მიყავს გადაგვარებისა და დაღუპვისაკენ, რომლისგანაც ხსნა შეუძლია მხოლოდ პროლეტარიატს თავის ძლევამოსილ რევოლიუციით, ბრწყინვალე გამარჯვებით; ამის წინამორბედთ გვევლინება ფრანს მაზრელ თავის შემოქმედებით.

Ш. Р-ი.

ჩვენი კულტურული ფრონტის გაბრუმეო

წერილი პირველი

თვითოეული სახელმწიფოს, თვითოეული ხელისუფლების მოვალეობაა კულტურული ფრონტის განმტკიცება, თუ მას გულწრფელად სურს ხალხის სულიერი და ნივთიერი კეთილდღეობა საფუძვლიან ნიადაგზე დამყაროს.

საბჭოთა ხელისუფლებამ ამ უდავო ჭეშმარიტებას თავის დროზედ ანგარიში გაუწია და თავისი ნივთიერი რესურსების უდიდესი ნაწილი კულტურული ფრონტის განსამტკიცებლად აამოძრავა.

რუსეთი რომანოვების გვარეულობის დროისა და რუსეთი საბჭოთა ხელისუფლებისა კულტურულად განვითარების მხრით ერთი მეორესაგან ძლიერ დაშორისშორებულია.

მეფობის დროის რუსეთი ხალხის გონებრივად განვითარებას განზრახ ხელს უშლიდა, ხალხს ერთგულს მოკეთეს და მეგობარს სდევნიდა და ციხეებში ალპობდა, ყოველ ცოცხალ და თავისუფალ აზრს მუხრუჭს უჭერდა.

საბჭოთა ხელისუფლების რუსეთი კი ხალხს, მშრომელი მასის გათვითცნობიერების საქმეს პარველ ხარისხოვან საქმედ სთვლის და ამისათვის არ ზოგავს არც შრომას, არც ენერგიას და არც ნივთიერ საშუალებას.

ცხადია, ამ ორი ხელისუფლების პოლიტიკის შედეგებიც სულ სხვადასხვაა რუსეთის კულტურულად განვითარების სარბიელზედ.

საქართველოში აგერ უკვე მესამე წელიწადია, რაც საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა და აქაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ კულტურული ფრონტის განვითარება პირველხარისხოვან საგნად დასახა.

მართალია, სახელმწიფოს ძმიმე ეკონომიური მდგომარეობა მეტად აფერხებდა და დღესაც აფერხებს ჩვენი კულტურული დაწესებულებების და საქმეების წინმსვლელობას, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლება შესაძლებლობის ფარგლებში მაინც სცდილობს საქმე საკეთილოდ მოაგვაროს და ნივთიერ საშუალებას არ ზოგავს.

საკმარისია აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფოს მთელი ბიუჯეტის 51% ჩვენი კულტურულ დაწესებულებათა საჭიროებას ხმარდება.

ჩვენ ამ ჟურნალის საშუალებით განზრახვა გვაქვს დრო გამოშვებით, წერილის ზემოთ აღნიშნულ საერთო სათაურით, მკითხველებს მივაწოდოთ ცნობები იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა, რა კეთდება ან რა არის საჭირო გაკეთდეს ჩვენი ნაციონალიური კულტურის ასაღორძინებლად და განსამტკიცებლად საქართველოს ფარგლებში.

დღეს დღეობით ამ პატარა წერილში ვვსურს ვავუზა

შვილის ცხოვრებიდან, რომელიც დამამტკიცებელია იმისა, თუ რაგვარ გაჭირვებას განიცდიდნენ ისეთი ხალხის მესაიდუმლეთნიც კი, როგორიც იყო ეგნატე ნინოშვილი.

1893 წელს ტფილისში პირველად ჩამოვედი მე და რუსთაველის ქუჩაზედ, ყოფილ მუხრანსკის სახლებში, სადაც იმ ჟამად რესტორანი „პურ ღვინო“ იყო მოთავსებული, სანდრო თოიძემ, ამ რესტორანის მაშინდელმა მეპატრონემ, ერთი პატარა ოთახი დამიათმო უფასოდ, სანამ რაიმე ცხოვრების წყაროს გავიჩენდი.

ოქტომბრის ერთ ერთ საღამოს ჩემთან ოთახში შემოვიდა ახალგაზდა ძალზედ გამხდარი და ფერმიხდილი ყმაწვილი, რომელმაც წერილი გადმომცა ქუთაისელი ერთი ჩემის კარგის მეგობრისაგან.

ამ წერილის მომტანი, მწერდა ჩემი მეგობარი, ეგ-

ᲪᲘᲙᲕᲐ. ნახატი დ. ᲥᲣᲗᲐᲗᲔᲚᲐᲫᲘᲡ.

ნატე ნინოშვილია, გაიცანი და აბა შენ იცი, თუ დახმარებას აღმოუჩენ. ტფილისში უნდა დაბინავდეს და, თუ რაიმე ადგილი არ იშოვნა, ცხოვრება გაუჭირდება. შეეხმაურე ყველას, საცა ხმა კი მიგიწვდებოდეს, ეგნატესათვის არავინ არ დაიზარებს ადგილის მიცემას.

მივიღე საპირო ზომები, მაგრამ სამწუხაროდ ვერას გავხდი. ქართული დაწესებულებები იმ ჟამად ნივთიერად ძრიელ შეეწიოვებულნი იყვნენ და ყველგან უარი მითხრეს. სახელმწიფო დაწესებულებებში ადგილის შოვნა სრულიად უიმედო იყო და თვითონ ეგნატეც უარს ამბობდა ბიუროკრატიულ დაწესებულებებში სამსახურზედ.

ამ რიგად თვითონ უადგილომ და ერთგვაროვანად ბედის მაძიებელმა განსვენებულს ეგნატე ნინოშვილს ადგილის მოძებნაში ვერაფერი დახმარება ვერ აღმოუჩინე.

განსვენებული ამ დროს კუკიაში სცხოვრობდა ერთ ერთ ამხანაგთან. ეატყობდი ნივთიერად დიდ გაჭირვებას განიცდიდა. რამდენჯერმე ერთად ვისადილეთ, ვიეახმეთ თუმცა ესეთ სადილებს და ვახშმებს ეგნატე ძრიელ ერიდებოდა და მხოლოდ დიდის თხოვნის შემდეგ სთანხმდებოდა.

სანდრო თოიძემ, რომელიც იმ დროს ქართველ ინტელიგენციას დიდ ნივთიერ დახმარებას უწევდა, მახსოვს ძალიან მორიდებით და სრულის გულწრფელობით შესთავაზა განსვენებულს, სანამ იგი რაიმე ადგილს მოსძებნიდა უფასოდ ოთახი და სადილები, მაგრამ ეგნატემ შესაძლებლად ვერ დაინახა ამ წინადადების მიღება და კატეგორიული უარი განუცხადა აწ უკვე განსვენებულს „ჩვენ სანდრო ბიუს“.

ორი თუ სამი დღე ეგნატე არ შემოსულა ჩემთან ბინაზედ. ერთ საღამოს სანდრო თოიძე შემოვიდა ჩემს ოთახში და ეგნატეს მიერ მოწერილი წერილი წამიკითხა.

განსვენებული დაახლოვებით, როგორც მახსოვს, შემდეგი შინაარსის წერილს წერდა სანდრო თოიძეს: „ჩემო სანდრო! ძალიან მიჭირს და გთხოვ ოცდა ხუთი მანეთი მასესხოთ. არ შეგაწუხებდი, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს. თუ არ დაგირჩეს ხელთ ეს ფული, მაინცა და მაინც თავს ნუ შეიწუხებ და იცოდე, რომ არც მე დაგვიდურეები. რამდენიმე ხნის შემდეგ ერთმანეთს შეეხვდებით შენ მეტყვი იმ დროს ფული ხელთ არ დამირჩაო, მეც გეტყვი, ჩემი სანდრო, არა უშავს, სხვისაგან ხელი მოვინაცვლე და იოლად წავედიო და ამრიგად ისევ ძველებურად განვაგრძობთ ნაცნობ მეგობრობას“-ო.

აი ასეთ ნივთიერ შეეიწროებას, ასეთ სულიერ ტრაგედიას განიცდიდენ სიცოცხლის დროს ჩვენი მშრომელი მასის გულწრფელი მოკეთენი და მესაიდუმლენი და გამკითხავი კი არსაიდან არ სჩანდა.

ამ ჟამად კი გარემოება სულ სხვანაირად შეიცვალა და ჩვენი საზოგადო მოღვაწეების ნივთიერი მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა.

საქართველოს რესპუბლიკის საბჭოთა მთავრობამ 1921 წლის 21 აგვისტოს დადგენილებით სამოდამოდ დაიკანონა ჩვენი საზოგადო მოღვაწეების პენსიით უზრუნველყოფა.

მეტად დიდი და საგულისხმიეროა ამ დადგენილების პრინციპიალური მნიშვნელობა ჩვენი ხალხის კულტურულად ზრდისა და განვითარების საქმეში.

ამიერიდან თვითოეულ ჩვენს საზოგადო მოღვაწეს, მწერალს, მსახიობს, ხელოვანს და სხვა საზოგადო დარგში მომუშავეს, რომლის შრომა ხალხის კეთილდღეობისკენაა მიმართული, შიში არ ექნება, რომ იგი სიცოცხლის დროს ნივთიერად უმწეო მდგომარეობაში ჩავარდება და სიკვდილის შემდეგ მისი ცოლშვილი ულუკმაპუროდ, ღვთის ანაბარად დარჩება.

საქართველოს კომისართა საბჭომ 1921 წლის 21 აგვისტოს დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად შეადგინა საეწყებათაშორისო კომისია, რომელსაც დაავალა ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის მოელა-პატრონობა და მისი ცხოვრებაში სამართლიანად გატარება.

კომისია სრული სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუდგა საზოგადო მოღვაწეთათვის პენსიების დანიშვნის საკითხს.

პენსიების დანიშვნის დროს კომისია ხელმძღვანელობდა იმ პრინციპით, თუ რამდენად ესა თუ ის მოღვაწე რესპუბლიკანურ მასშტაბით ცნობილია როგორც საზოგადო მოღვაწე სამწერლო, სასცენო, სამეცნიერო და საპედაგოგო ასპარეზზედ და რა ღირებულებისა და ხასიათის მოღვაწეობა მიუძღვის ამა თუ იმ დარგში.

ასეთი პრინციპი დაუდგა საფუძვლად საუწყებათაშორისო კომისიამ თავის გადაწყვეტილებას, როცა მან დაუნიშნა 150 საზოგადო მოღვაწეს მუდმივი პენსია, თვითეულს 13-39 მანეთი ჩერვონეცით, ყველას კი 4500 მან. თვიურად.

შეიძლება ითქვას, რომ კომისიის მიერ დასახული სახელმძღვანელო პრინციპი სავსებით არ იყოს დაცული პენსიონერთა სიის შედგენის დროს.

ხოლო ერთი კი რამ აშკარა და უდავოა; კომისიამ სრული რწმენით და შეგნებით, სრულიად ობიექტიურად და სიფრთხილით შეიმუშავა პენსიონერთა სია და, თუ ამ სიაში ყველა პენსიონერი თავის ადგილას არაა, მაინცა და მაინც ბრალს კომისიას სავსებით ნუ დავაკისრებთ.

ყოველ შემთხვევაში სია საზოგადო მოღვაწეთა, რომლებიც ამ ჟამად პენსიას ღებულობენ, სულ მცირედის გამონაკლისით, სწორადაა შედგენილი.

ჩვენ აქ საკითხის სულ სხვა მხარეს გვინდა მივაქციოთ მკითხველის ყურადღება.

მთავრობა, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, ამ ჟამად მხოლოდ 150 საზოგადო მოღვაწეს უზრუნველყოფს ყოველთვიური პენსიით.

თუმცა მთავრობის ასეთი დადგენილება მეტად დიდ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის კულტურულად წინმსვლელობისათვის, მაგრამ, ჩვენის აზრით, აუცილებლად საჭიროა პენსიონერთა რიცხვი 200-დე მაინც კიდევ გადიდდეს, და ამნაირად ნივთიერად უზრუნველყოთ ისინი, ვინც პენსიონერთა სიის გარეშე დარჩა და ამავე დროს ღირსია ასეთი უზრუნველყოფისა.

მართალია, ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიური მდგომარეობა ამ ჟამად შედარებით მძიმეა, მაგრამ საზოგადო მოღვაწეობაზედ დახარჯული თვითოეული კაპიკი ერთი ასად დაუბრუნდება ჩვენს რესპუბლიკას მკვიდრთა კულტურული ღირებულობის სახით.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საუწყებათაშორისო კომისია გადასდგამს სათანადო ნაბიჯებს, რათა ნივთიერად უზრუნველყოს ის ჩვენი საზოგადო მოღვაწეები, რომლებიც ჯერჯერობთ კიდევ პენსიონერთა სიის გარეშე არიან დარჩენილნი.

ანდრე.

ტასო აბაშიძე (25 წლის იუბილეის გამო).

ტასო აბაშიძის იუბილე.

კვირას, 10 თებერვალს, რუსთაველის თეატრში შესდგა ქართული სცენის დამამშვენებელის, ტასო აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილე. ამ საღამოს რუსთაველის თეატრი არა ჩვეულებრივს სანახაობას წარმოადგენდა. მსახიობი ქალის პატივსაცემად აუარებელ საზოგადოებას მოეყარა თავი. თეატრი ვერ იტევდა დამსწრეთ. ყოველი კუნჭული და კუთხე-გასავალი დაკავებული იყო. ბევრიც უბილეთობის გამო უკან გაბრუნდა. წარმოადგინეს ძველი ფრანგული კომედია „პარიზელი ბიჭი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქართული სცენის უხუცესთა, საზოგადოების საყვარელ მსახიობთ ვასო და მაკო აბაშიძეებმა. იუბილიარი ასრულებდა პარიზელი ბიჭის ჟოზეფის როლს. იუბილიარის გამოსვლას სცენაზედ საზოგადოება ფეხზე ადგომით და გულმხურვალე ტაშით შეეგება. გადმოაბნიეს ყვავილები და მისალოცი ფერადი ბარათები. ამ საღამოს იუბილიარი შეუდარებელი იყო. კომედიის შემდეგ წარმოადგინეს ოპერეტა „მასკოტ“-ის უკანასკნელი მოქმედება. იუბილიარი მეროდა ბეტინას პარტიას. აქაც თავისი ხმით და ცოცხალი ხალისიანი თამაშით დაატკბო საზოგადოება. დასასრულს შესდგა საზეიმო მილოცვები. ყვავილებით მორთულს სცენაზედ თავი მოეყარათ აუარებელ კულტურულ-საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენლებს. მცირე ხნის შემდეგ გამოჩნდა თვით იუბილიარი, რომელიც მოჰყავდათ თაკის შვილებს ვასო და მაკო აბაშიძეებს. მუსიკამ ტუში დაუკრა. მთელი საზოგადოება ფეხზედ ადგა და ოვაციები გაუმართა. მსახიობთა კავშირის სახელით მიულოცა აკაკი ფაღავამ. საქართველოს კომისართა საბჭოს სახელით მიმართა მარიამ ორახელაშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნა მისი ღვაწლი და უსურვა კვლავ ნაყოფიერი მუშაობა მშობლიურ სკენაზედ. კომისართა საბჭომ ამასთანავე იუბილიარს მიართვა 500 ჩერვონეცის მანეთი. სრულიად საქართველოს ხელოვანთა და მწერალთა კავშირების სახელით მიმართა მგოსანმა ი. გრიშაშვილმა. ქ. ბათომიდან იყო დელეგატად წარმოგზავნილი მსახიობი ალ. იმედაშვილი. მიულოცეს სახელმწიფო ოპერის, ქართულ აკადემიური დრამის, სომხური, რუსული, თურქული, და სახალხო სახლის ქართულ დრამის წარმომადგენელებმა, ქ. დუშეთიდან ს. რევაზიშვილმა, ქალ. აღმასკომის სახელით მიულოცა მოქ. ბუხნიკაშვილმა და განაცხადა, რომ აღმასკომმა იუბილიარს მიართვა 200 მანეთი ჩერვონეცით. 50 გირვანქა სტერლინგი მიართვა ორმა უცნობმა ქართველმა. იყო აგრეთვე სხვა მრავალი მოლოცვები, წერილები, მოსალოცი დეპეშები საქართველოს ყველა კუთხიდან. მოსკოვიდან დეპეშით მოულოცა რეკისორმა ა. წუწუნავამ. იუბილიარმა ამასთანავე მიიღო მრავალი საჩუქრები და ფული სხვადასხვა პროფკავშირებიდან. დასასრულს საზოგადოებას სამადლობელი სიტყვით მიმართა თვით იუბილიარმა, გულწრფელი მადლობა გადაუხადა „მისი მცირე ღვაწლის ასეთი დიდი დაფასებისთვის“. ზეიმი დასრულდა ღამის 2 საათზედ.

ᲕᲐᲜ—ᲓᲔᲠ—ᲑᲐᲜ.

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲣᲚ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ.

სამშაბათს თებერვლის 5-ს, ხელოვნების სასახლეში სრულიად საქართველოს პროლეტარულ მწერალთა კავშირის მიერ, გაიმართა ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო, ვ. ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად. დარბაზში დასვენებულია ლენინის სურათი თალხით მოირთული. საღამო გახსნა კავშირის თავმჯდომარემ სანდრო ეულმა. მან დამსწრეთ მიმართა მოკლე სიტყვით და მოუწოდა დამსწრეთ ფეხზე ადგომით პატივი ეცათ ბელდის ხსოვნისთვის. ხორო კ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით ასრულებს სამგლოვიარო ჰიმნს. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ამხ. რაკ. კალაძემ, მან აღნიშნა ლენინის გენიოსური ჯუა, შეეხო მის ფოლადურ პიროვნებას და აღნიშნა რომ უდიდესი პატიოსანებმა მისი ხსოვნისა იქნება თუ მისი მოწაფენი დავდებთ ფიცს რომ ვემსახურებით ერთგულად მის უკვდავ იდეებსო. პროლეტარიატმა დაკარგა უდიდესი მასწავლებელი და მის შესასწავლად არის საჭირო მრავალი წლები. რ. კალაძის სიტყვის შემდეგ ხორომ შეასრულა ინტერნაციონალი. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ს. თოდრიამ, რომელიც შეეხო ლენინის პიროვნებას, აღნიშნა თუ როგორი იყო მისი დამოკიდ ბულება ამხანაგებთან, ამასთანავე გაიხსენა ეპიზ ოდები ლენინთან შეხვედრისა, როდესაც ამხ. თოდრია მუშაობდა სტამბაში, სადაც აწყობდა გაზეთს ლენინის რედაქტორობით. თოდრიას შემდეგ სიტყვას ლენინის შესახებ ამბობს ი. გედევანიშვილი. საღამო დასრულდა ლექსების კითხვით, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: ს. ეულმა, პ. სამსონიძემ, ერთაწმინდელმა, იონა ვაკელმა, შაქრო ნავოლეღელმა, გ. ხეჩუაშვილმა, შინატეხელმა და სამგლოვიარო ჰიმნით, რომელიც დასწერა ლენინის სიკვდილზე ახალგაზრდა მუსიკოსმა ელიორზიშვილმა.

ი.

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

სახელმწიფო გამომცემლობა: მზადდება გამოსაცემად ქართული სიტყვა—კაზეულ მწერლობიდან წიგნები:

ვაჟა—ფშაველა.—პოემები, ტომი 2.

პ. ინგოროყვა. რუსთაველიანა 2 ტომად.

ა. ყაზბეგი. მეორე ტომი.

აკაკი წერეთელი. რჩეული ნაწერები სამ ტომად.

მხატვარ ნიკო ფიროსმანზე მონოგრაფია. სურათების რეპროდუქცია ფერებით დამზადდა მოსკოვსა და პეტროგრადში. იბეჭდება საუკეთესო ქაღალზედ. წიგნშია წერილები ფიროსმანზედ: ქართულად, რუსულად და ფრანგულად.

ᲘᲒ. ᲛᲐᲩᲐᲑᲚᲘᲡ ᲨᲔᲥᲡᲞᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲔᲑᲘ ინგლისურიდან. ჰამლეტ, ოტელო, მაკბეტ, მეფე ლირი, რიჩარდ III, ანტონიოს და კლეოპატრა, კორიოლანოს, იულიოს კეისარი იბეჭდება.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ. სახელმწიფო გამომცემლობა შეუდგა ლენინის ნაწერების ქართულ ენაზედ გამოცემას. ნაწერები გამოვა რამდენიმე ტომად.

ᲡᲐᲠᲢᲐᲯ. ს. შანშიაშვილის ახალი, ისტორიული დრამა ლექსად დაწერილი იბეჭდება ცალკე წიგნად და მოკლე დროში გამოვა. წიგნის ყდა დახატულია ახალგაზრდა მხატვრის დ. ქუთათელაძის მიერ.

ᲐᲜᲠᲘ ᲑᲐᲠᲑᲘᲣᲡᲘᲡ ᲠᲝᲛᲐᲜᲘ ᲪᲘᲪᲮᲚᲘ ამ დღეებში გამოვა. წიგნი სთარგმნა ფრანგულიდან თ. სახოკიამ.

ᲜᲘᲙᲝ ᲚᲝᲛᲝᲣᲠᲘᲡ ᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ სახელმ. გამომცემლობამ მიიღო გამოსაცემად. წიგნი ახლო მომავალში გამოვა.

ᲜᲘᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲣᲠᲗᲐᲑᲐ დაევალა მხატვრებს: მამალაძეს, ლანსერეს, და თოიძეს. მხატვრები გაემგზავრებიან გურიის იმ ადგილებში, საიდანაც აღებული ნინოშვილის მოთხრობების სიუჟეტები.

ᲐᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘᲐ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘ—ᲮᲝᲨᲐᲠᲐᲨᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ პირველი ტომი იბეჭდება და საიუბილეოდ გამოვა.

ᲘᲠ. ᲔᲕᲓᲝᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ. შემდინარე წელს გამოვა ირ. ევდოშვილის ნაწარმოებთა სრული კრებული სამ ტომად.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲛᲜᲗᲝᲑᲝ“ პოლიტ განათლების მთავარ მმართველობა სცემს ყოველთვიურ სამხატვრო-სალიტერატურო, მეცნიერულ მარქსისტულ ჟურნალს სახელწოდებით „მნთობი“. ჟურნალის თანამშრომლად მოწვეულნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არიან ადგილობრივი და უცხოელი ხელოვანნი. ჟურნალი გამოვა ამბ. ქართველიშვილის რედაქტორობით. ჟურნალში მეორე ნომრიდან დაიწყება ბეჭდვა გიორგი ლეონიძის მონოგრაფიის: „ივანე მაჩაბელი“.

ჟურნალი „კავკასიონი“ დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა გასაყიდად სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ჟურნალი „კ ავ კ ა ს ი ო ნ ი“. ჟურნალი დიდი ფორმატისაა და შეიცავს 336 გვერდს.

სანდრო ეუფლის წიგნი. საქართველოს პროლეტ. კულტის გამომცემლობა გამოსცემს მოკლე ხანში სანდრო ეუფლის წიგნს „ჩატახ“—ს რუსულ ენაზედ. წიგნი გადათარგმნილია ქართულიდან რუსულად ამხ. დუშენსკის მიერ. წიგნს რედაქტორობს ამხ. იგნატიევი.

ჟურნალი „პირამიდები“. გამოვიდა ჟურნალი „პირამიდები“—ს № 1 ფასი 20 კაპ.

პირველი ნაბიჯი ეკრანზე. სახელ. კინო-მრეწველობის დასი, რეჟისორ პერესტიანის მეთაურობით, გაემგზავრა დასავლეთ საქართველოში გიორგი წერეთლის მოთხრობის „პირველი ნაბიჯი“-ს ეკრანზე ადგილობრივ გადასაღებად.

ქალთა ჟურნალი. გამოვიდა ამიერ-კავკასიის მშრომელ ქალთა კავშირის ჟურნალი „ჩვენი გზა“. ჟურნალში მოთავსებულია მუშა ქალთა ლექსები და წერილები.

ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“. გამოვიდა ჟურ. „თეატრი და „ცხოვრება“ს მორიგი ნომერი.

ჟურნალი “წინ“ გამოვიდა მუშა-მწერლების ორგანო. ჟურნალში დაბეჭდილია ლექსები გ. ხეჩუაშვილის, შინატეხლის, შაქრო ნავთლუღლის და სხვ.

საიუბილეო წიგნაკი. ქართ. მსახიობთა კულტურულმა საბჭომ მსახიობი ქალის ტასო აბაშიძის 25 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად გამოსცა საიუბილეო წიგნაკი, რომელშიც დაბეჭდილია ტასო აბაშიძის სურათები სხვა და სხვა როლებში. წიგნი შედგენილია შალვა დადიანის მიერ.

მონოგრაფია „ივანე მაჩაბელი“. პოეტი გიორგი ლეონიძე ამზადებს ვრცელ მონოგრაფიას ივანე მაჩაბელზე, რომელიც დაიბეჭდება ჟურნალ „მნათობში“.

მუშათა ცენტრალურ კლუბის თეატრში კვირაში ერთხელ იდგმება სოიპერო წარმოდგენები, სახელმწიფო ოპერის მსახიობთა მონაწილეობით. ფასები ხელმისაწვდომია. ამავე კლუბში იმართება ქართული წარმოდგენებიც სახალხო სახლის მსახიობთა მიერ.

პროლეტკულტის დრამატიული სკოლის რეჟისორი დ. კობახიძე ამზადებს სცენაზე დასადგმელად ლოპე-დე-ვეგას „ცხვრის-წყაროს“ ახალი მიზანსცენებით.

რევოლიუციონური ლექსების კრებული. პოლიტგანათლების თმავარ-მმართველობამ დაიწყო რევოლიუციონურ ნაწარმოებთა კრებულის »რევდეკალმატორის“ ბეჭდვა. წიგნი გამოვა მარტის პირველ რიცხვებში.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ.

ნ. ბუხარინი „ისტორიული მატერიალიზმის თეორია“. მარქსისტული სოციოლოგიის პოპულიარული სახელმძღვანელო. თარგმანი პროფ. შალვა ნუცუბიძისა. ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა. ტფილისი—1923წ.—344 გვერდი.

საერთაშორისო მარქსისტულ ლიტერატურაში უკანასკნელ ხანამდე არ იყო სისტემატიური სახის ნაშრომი დიალექტიური მატერიალიზმის საზოგადო ნაწილის, ისტორიული მატერიალიზმის შესახებ. მაგრამ ამ უკანასკნელად ცნობილმა რუსმა მარქსისტმა ბუხარინმა გამოაქვეყნა საყურადღებო შრომა, რომელშიაც მან მოგვცა საკმაო სერიოზული სახით დალაგება-გაშლა მარქსიზმის მრავალ კარდინალურ პრობლემისა.

ავტორი ღრმა ერუდიციით ჩასწვდა ისტორიულ მატერიალიზმის ძირითად საკითხებს. მეცნიერების პრაქტიკულ მნიშვნელობას, დეტერმინიზმს და ინდეტერმინიზმს, მატერიალიზმს და იდეალიზმს, დიალექტიკას და მეტაფიზიკას, საზოგადოების ბუნებისა, კლასების და კლასთა ბრძოლის საკითხს და სხვ.

ტეხნიკურად წიგნი კარგად არის გამოცემული. ფასი არ აწერია.

შ. რ.

ჯონ რიდ „ათი დღე. რამაც შესძრა ქვეყნიერება“. ნ. ლენინისა და ნ. კრუპსკაიას წინასიტყვაობით. ჯონ რიდის მოკლე ბიოგრაფია ა. რ. ვილიამსისა. თარგმანი რუსულათ ილ. ზურაბიშვილისა და ან. საყვარელიძისა. გამომცემლობა „წიფილი წიგნი“ ტფილისი.—1923 წ. 340 გვერდი. ფასი 1 მან. 25 კაპ. ჩერვ.

ოქტომბრის დიდი რევოლიუციის შესახებ, რაც აქამდე დაწერილა, ყველაზე უპირველესი ადგილი უჭირავს ამერიკელ კომუნისტის ჯონ რიდის წიგნს: „ათი დღე რამაც შესძრა ქვეყნიერება“, რომელიც წარმოადგენს უშვალო ასახვას მომხდარ ფაქტებისას, იმ დიდ ქარიშხლისა, რომელმაც რუსეთის რევოლიუციონერი პროლეტარიატი მიიყვანა ბრწყინვალე გამარჯვებამდე.

ჯონ რიდის საყურადღებო შრომა, როგორც ამბობს წინასიტყვაობაში დიდი მასწავლებელი ვლ. ლენინი „იძლევა ᲒᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢ



ანტანტა სარკეში.

და შეუდარებელ სიცოცხლით დაწერილ მოთხრობას აწ განვლილ ამბებისას, რასაც უაღრესად მნიშვნელობა აქვს იმის გასაგებად, თუ რა არის პროლეტარული რევოლიუცია, პროლეტარიატის დიქტატურა“.

ცხოვრების და ისტორიის სინამდვილე შედუღებულ იქმნა ავტორის მიერ ერთ მტკიცე ჯაჭვში, რითაც მან მოგვცა მხატვრულ-რეალური სურათი ცხოვრების დუღილისა, ოქტომბრის რევოლიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციის ვანვითარებისა, მის ბრწყინვალე გამარჯვებისა საერთაშორისო მჩაგვრელთა ხროვაზე.

წიგნს დართული აქვს ჯონ რიდის მოკლე ბიოგრაფია (ა. რ. ვილიამსისა), მრავალი სურათი ბრძოლის დღეებიდან ამოღებული და სხვ.

წიგნი დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე. გარკვეული შრიფტით.

Ბ. რ.

ფაციფიზმის ჩემპიონი. ნახ. მაზრელისა.

ანგარიშის კაცი. ნახ. მაზრელისა.

ომის საჩუქარი. ნახ. მაზრელისა.

... და ამის შემდეგ მოხდა ზავი!.. ნახ. მაზრელისა

პასუხისმგებელი რედაქტორი: მ. ᲙᲐᲮᲘᲐᲜᲘ.

გამომცემელი: **სახელმწიფო გამომცემლობა.**

ს. ს. მ. უ. ს. 1-ლი სტამბა, პოლიგ. განყოფილ. პლეხ. პრ. 91. ტირაჟი 1000 ც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართვ. წითელი ჯვრის საზოგადოება

საქ. წით. ჯვ. ცენტრ. კომიტ. პრეზიდ. თავმჯდომარე ი. მამულია.

წ. ჯ. ცენტრალური კომიტეტის სადგომი.



წ. ჯ. აბანო-მატარებელი. აცრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



წითელი ჯვრის სანიტარული მატარებელი.

წ. ჯ. აბანო-მატარებელი. გასახდელი განყოფ.

წ. ჯ. აბანო-მატარებელი. აბანოს განყოფ.



წ. ჯ. აბანო-მატარებელი. დეზინფექცია.



წ. ჯ. აბანო-მატარებელი. სამრეცხველო.



მალარიით აკვანებდგან ბავშვები. (ალაზანველეთ).



მალარიით ავადმყოფი ბავშვები ჯარეკახეთში.

შავი ქვის მრეწველობის საქმეთა განსაკუთრებულ

მმართველობას

სჭირდება შემდეგი საგნები:

1. **ერთი მამოძრავებელი** შინაწვის (სასურველია დიზელი) 35-40 ძალის.
2. **ერთი ავტომობილი** „ფორდ“ მსუბუქი ან ნახევარ-სატვირთი.
3. **მაღაროების რელსები** 5 ვერსტამდის და ვაგონეტკები 10—20 ცალი.
4. КЛУБИК с плашками и метчиками от 3/8 до 1.
5. **რკინა ფურცლოვანი** 3—4 მ. მ. სისქით 15 ფუთამდის.
6. **საძაჩავი** საზეინკლო 3 ფუთამდის.
7. **ძლიბები** პირიანი 12—18 დ. 30 ცალი.
8. **კუთხედები** და ზაკლიოპკები 35 ფუთამდის.
9. **რკინის ბალკები** (коробчатых или двутавровых) 3 ნახ.—4 დიუმამდე 40 ფ.
10. **რკინა** (сортовое) 15 ფუთი.
11. ТАЛИ 3—5 ტონნით 1 ცალი.
12. **სასწორი** (десятичные) 30 ფ. და **საკაჭრო** 1 ფ.
13. **მილები რკინის** (оцинкованные) და შავი ნახ.—1 მ. მ., ზომით 850×675 მ. მ. 60 ც.
14. **მესრები** (решета) ფურცლოვანი რკინისაგან, სისქით 3—5 მ. მ., ზომით 850×675 მ. მ. ოთხკუთხანი ან მრგვალი ქრუქუტანებით 3—30 მ. მ. 50 ცალი.
15. **მავთულები** ტელეფონის (оцинкованные) 60 ფუთამდე.
16. **მავთული** სპილენძის 35 და 10 კვ. მ. მ. 80 ფუთამდე.
17. Бор-машина ერთი ცალი.
18. **სვეტები** მუხის ან აკაციების, სისქით 3—3 ნახ. ვერ. სამ-არშინიანი 5000 ცალამდე.
19. **სპეციალ-ტანისამოსი** სამთო-მადნო მუშებისათვის 500 კომპლექტი. **ფეხსაცმელები** მათთვისვე 500 წყვილი.
20. **ფანელი** ჭერების შემოსაფენად 1500 არშინი.
21. **საწყო ცენტრალურ სათბობისათვის**
22. **ფანჯრებისა და კარების საწყო და რაზები.**

წერილობითი წინადადებებით მოწოდების შესახებ და ცნობების მისაღებად უნდა მიმართონ განსაკუთრებულ მმართველობის კანცელარიას (ტროცკის ქუჩა № 20) 12—3 საათამდე ოფველ დღე გარდა უქმეებისა.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1924 წლის 17 თებერვალს უნივერსიტეტის მთავარ შენობაში მოხდება სახელმწიფო უნივერსიტეტის საბჭოს საჯარო

საზეიმო სხდომა

დამსახურებულ პროფესორის, ქიმიის დოქტორის

პეტრე გრიგოლის-ძე მელიქიშვილის

50 წლის სამეცნიერო მოღვაწეობის პატივსაცემად. სხდომაზე შესვლა მხოლოდ შესახსენელი ბარათებით შეიძლება. იმ დაწესებულებათა, რომელთაც სურთ მიიღონ იუბილეუმში მონაწილეობა, კეთილ ინებონ და ჩაწერონ საიუბილეუმო კომისიის თავმჯდომარე პროფ. **ა. დიდებულიძესთან** 12, 13, 14, 15 თებერვალს საღამოს 6 საათზე ფიზიკის ლაბორატორიუმში. (მთავარ შენობაში).

საქართველოს ს. მ. უ. ს. საზომ-საწონთა პალატა

დამატებით 1924 წლ. იანვრის 25 და 31-ან გაზ. „ზარია ვოსტოკაში“ (№№ 485 და 491) და იმავე რიცხვიდან გაზ. „კომუნისტში“ (№№ 20 872 და 25 877) გამოქვეყნებული განცხადებებისა წინადადებას აძლევს ყველა, განურჩევლივ სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და პირთ, რომლებსაც

სასინჯავათ და დაღის

დასმისათვის მოეპოვებათ სასწორები და ზომები (დღიანი და უდაო 1922 წლამდე) წარმოადგინონ ამ პალატაში დანიშნულ ვადებში **უშვალოდ** ს. მ. უ ს. საზომ-საწონთა პალატაში სათანადო გასასინჯავათ და დაღის დასასმელად.

ამასთანავე პალატა ღებულობს თავის სახელოსნოებში სასწორების და ზომების შეკეთებას. მისამართი: პლეხანოვის პრეს. № 117.

საქართ. ს. მ. უ. ს. საზომ-საწონი პალატის უფროსი **გოცირიძე**.

უფროსი შემმოწმებელი **სმირნოვი**.

სრულიად რუსეთის სამკერვალო მრეწველობის სინდიკატის

ამიერ-კავკასიის საოლქო განყოფილება

„სინდოვეიპროდ“ და „აზოდექდა“

ყველას აძლევს საშუალებას მოირთონ ტანსაცმელთა მაღაზიებში თავისი დამზადებული საქონლით.

ტფილისი: რუსთაველის პროსპექტი № 10 ტელ. № 6—78.

ბაქო: 28 აპრილის ქუჩა, ყოფილი ტელეფონის, № 6—1, კრივაია № 2.

მუშებსა და მოსამსახურეებზე კოლექტიურად ნისიად გაცემა

ყველა დაწესებულებებს,
პროფკავშირებს, სამნეო ნაწილებს,
კოოპერატივებს შეუძლიათ შეიძინონ 25—30
პროც. დაკლებით ნისიად
ოთხი თვის ვადით

საჭირო დამზადებული ტანთსაცმელი განუსაზღვრელ რაოდენობით.

დაწვრილებით ადგილობრივ.

ამიერ-კავკასიის საოლქო განყოფილების გამგე: **ზ. გაჯიევი.**

ტფილისის განყოფილების გამგე: **კანდე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

1924 წლის 1-ლ იანვრიდან საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალურმა კომიტეტმა გახსნა

საკუთარი სტამბა,

სადაც სწრაფად, ფაქიზად და ზომიერ ფასებში სრულდება ყოველგვარი სასტამბო საქმეები.

სტამბასთან გამართულია აგრეთვე წიგნთ-საკინძი სახელოსნო.

შეკვეთების მიღება შეიძლება ყოველ დღე სტამბაში—ლ. დუმბაძის ქ. № 3 (ყოფ. ველიამინოვისა).

ტელეფ. № 16—47 და 13—63.

წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტი.

1924 წლის იანვრიდან გამოდის

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების პერიოდული გამოცემა

„ბიულეტენი“

შემდეგის შინაარსით: მთავრობის განკარგულებანი წით. ჯვრის შესახებ; წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრ. კომიტეტის საქმიანობა; ავტონომიური ერთეულების წითელ ჯვართა და ცენტრალური კომიტეტის ფილიალების მოღვაწეობა; საკავშირო რესპუბლიკებისა და საერთაშორისო წით. ჯვრების ქრონიკა: წერილები საექიმო-სასანიტარო დარგიდან და სხვ.

რედაქტორი: **სარედაქციო კოლეგია.**

მისამართი: ცენტრ. კომიტეტი, თაიროვის შესახვევი № 5. (ლენინის ქუჩიდან).

დაიბეჭდა და გამოვიდა

სსქ. წ. ჯვრის მიერ გამოცემული

მქ. შეს. ოქროპირიძის წიგნი

„მალარია“.

ფასი 20 კ. ჩერვ. მთავარი საწყობი წ. ჯვრ. ცენტრ. კომიტეტში, თაიროვის შეს.

მზად არის დასაგეჭდად:

ა) ექ. ბეს. ოქროპირიძის მიერ გერმანულიდან ნათარგმნი, ჰამბურგის ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტის პროფესორების ნოხტისა და მაიერის წიგნი: „მალარია“, რომელსაც უძღვის ქართული გამოცემისთვის ავტორების მიერ საგანგებოდ დაწერილი წინასიტყვაობა.

ბ) წით. ჯვრის საზოგადოების გადამუშავებული წესდების პროექტი.

გ) საზოგადოების წლიური ანგარიში.

დ) ივნისის 1906 წლის გადასინჯული კონვენცია.

კირკის ქუჩაზე, (по кирочной) გრუენდზიცის ყოფილ აფთიაქში, გაიხსნა

საქართველოს წითელი ჯვრის აფთიაქი,

საიდანაც ღარიბებს შეღავათიანს პირობებში ეძლევათ წამლეულობა.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებაში

წევრად ჩაწერა და შემოწირულებათა მიღება სწარმოებს მთავარ სამმართველოში (თაიროვის შესახვევი № 5, ლენინის ქუჩიდან, ყოფ. ოლღას ქ.) ყოველდღე 10 – 3 საათამდე, კვირა უქმეებს გარდა.